დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 12 - 18 ივნისი
N 27 1491
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ტაში ჰიტლერს?




საქართველოში გამოიცა ჰიტლერის წიგნი, რომლის წინასიტყვაობა და ბოლოთქმაც ნაციზმის აპოლოგიაა! 8

## სტატუს-ქვო ან



2

## სტატუსს - ქვა!

**დემურ გიორხელიძე:**



«კანდიდატის სტატუსი ერთი დიდი ბლეფის ნაწილია!»

10 პირდაპირ გვეუბნებით, რომ ვერც სანქციებს დაგვიწესებენ და ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრიან!

## საავიაციო ჰაბი და სააკიაციო ბოდვები 6

**მამა დავითი (ისაკაძე):**



ბართლომეოსის ტომოსი უკრაინას ღმერთის სასჯელად დაუჯდა! 12



14

ხაბეიშვილსა და ნაცსექტას გასაღები აქვთ დაკარგული!

## უკვე

გოგის გოგოს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ახლახან ისევ ჩაურიცხეს 2,5 მილიონი რუბლი! 4




## ჩაურიცხეს!

## ვინ იგებს და ვინ აგებს? 11



24

«დოქტორ დოტის» შემდეგ თბილისში როტიც ჩამოვიდა!

**იგორ კვესელავა:**

დუდაევი სამი დღის განმავლობაში ყოყმანობდა, მიელო თუ არა გროზნოში ზვიადი!



20-21



21 ივანე ჯავახიშვილის თსუ-ში სტუდენტებს ლგბტ იდენტობის ლექციებს უკითხავენ!

## ვანმოხდილი 25



5 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახდა!

**რამაზ გახოკიძე:**

მაღალი წნევა, გულისა და თირკმლის უკმარისობა, ანემია, სიბრმავე, უშვილობა სწორედ ეთილირებულ ბენზინთან ერთად გამონაბოლქვი ტყვიის დამსახურებაა!



22

## გენერალისიმუსი

№31 (199) ★ 2023 წლის 12 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის სტალინური ეპოპეა დასრულდა!



15

# სტატუსს – ქვა!

***თანამედროვე მეტყველებაში ძალზე ხშირად გამოყენებული ლათინური ტერმინის სტატუს-კვოს (status quo) კლასიკური განმარტება ასეთია — ვითარებათა, ურთიერთობათა და საგანთა მდგომარეობა აწმყოში. შესაბამისად, როცა ამბობენ, რომ სტატუს-კვო უნდა შენარჩუნდეს ან სტატუს-კვო უნდა შეიცვალოს, არსებული ვითარებისა თუ მდგომარეობის შენარჩუნებას ან შეცვლას გულისხმობენ.***

მაშ, რა არის და რას ნიშნავს **სტატუსს — ქვა?**

აქ იგულისხმება **ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი,** რომელიც საქართველოსათვის საჯილდაო ქვად აქციეს!

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კანდიდატის სტატუსი ევროპელ პოლიტიკოსებს, მეტადრე, ევროპარლამენტის დეპუტატებს რიყის ქვასავით უჭირავთ ხელში და დაუნდობლად უბრახუნებენ თავში ქართულ სახელმწიფოს!

რაც ყველაზე მთავარია, საქართველოსთან მიმართებაში ევროპელ პოლიტიკოსთა, მეტადრე, ევროპარლამენტის დეპუტატთა განცხადებების, დირექტივების, ჭკუის სწავლებისა და თითის ქნევის შემხედვარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ცდილობენ, ქართველ ხალხს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისათვის ქვა ასროლინონ და ათქმევინონ — **მოგვშორდით, თავი დაგვანებეთ, რა შავ ქვად გვინდა თქვენი პოლიტიკურად მიხრწნილი ევროკავშირი, თუ მისი წევრობის გამო ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა და სახელმწიფოებრივი ღირსება კოლექტიური კუბილიუსის ფეხით უნდა გაითელოს?**

ევროპარლამენტართა გამალებულმა მცდელობამ, ქართველ ხალხს კანდიდატის სტატუსისათვის ქვა ასროლინონ, კიდევ ერთხელ იჩინა თავი გასულ კვირას, როცა ევროპარლამენტში ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს, თუ რამდენად ეფექტურად და ხარისხიანად ასრულებს ქართული მხარე კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭირო 12 რეკომენდაციას.

ასოცირების კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე ევროპარლამენტარმა პირდაპირ დასვა ტოლობის ნიშანი სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებასა და საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას შორის, ანუ ევროპელმა პოლიტიკოსებმა კიდევ ერთხელ, ცალსახად და არაორაზროვნად უთხრეს, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს — თუ გინდათ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის ღირსად ჩაგთვალოთ, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემოქმედ სააკაშვილს თავისუფლება უნდა აჩუქოთო!

აი, ევროპარლამენტარ **ჯოზას ოლეკასის** განცხადება:

> ***„პოლიტიკურ ჯგუფებს შორის პოლარიზაცია ძალიან ძლიერია. უმრავლესობამ, მმართველმა გუნდმა უნდა გამონახოს საშუალება, რომლითაც ეს პრობლემა მოგვარდება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება“.***

ეს განცხადება მხოლოდ იმაზე როდი მეტყველებს, რომ ევროპარლამენტის დეპუტატებს, რომლებიც სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვენ, საქართველოში კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, უკაცრაული პასუხია და, სულ კუბილიუსზე ჰკიდიათ. ყველაზე მთავარი, რაც ამ განცხადებიდან ჩანს, ის არის, რომ ევროპარლამენტის დეპუტატებს წარმოდგენა არა აქვთ, რა ვითარებაა საქართველოში, როგორია ქართველი ხალხის განწყობა და რას გამოიწვევს სააკაშვილის ციხიდან დროზე ადრე გაშვება.

## საქართველოს ხელისუფლება მართლაც ისე რომ მოიქცეს, როგორც ევროდეპუტატები უკიჟინებენ და ხვალ სააკაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლოს, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია კი არ მოისპობა ან შემცირდება, პირიქით, დღემდე არნახულ მასშტაბს მიაღწევს და უკიდურესად სახიფათო ხასიათს მიიღებს.

**პირდაპირ რომ ვთქვათ, სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლება საქართველოს სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრამდე მიიყვანს და შესაძლოა, გადაალახვინოს კიდეც ეს საბედისწერო ზღვარი!**

ქართველი ხალხის უდიდეს უმრავლესობას ჯერ მარტო ის ვერ მოუნელებია, რომ სისხლიანი რეჟიმის ბელად სააკაშვილს ოდენ 6-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, რომელსაც ციხის ნაცვლად სამოქალაქო კლინიკის ლუქს-პალატაში იხდის და საქართველოს ხელისუფლება მის გათავისუფლებას თუ გაბედავს, განრისხებული ხალხის პროტესტი ქვეყანას პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და ქაოსის ქარიშხლად დაატყდება.

**ნუთუ ეს არ იციან ევროპარლამენტარებმა, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს კანდიდატის სტატუსის სანაცვლოდ სააკაშვილის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებენ?**

**თუ არ იციან, მაშინ პოლიტიკოსები კი არა, სრული იდიოტები ყოფილან!**

**თუ იციან და მაინც ასე ლაპარაკობენ, გამოდის, გამიზნულად პროვოკატორობენ, რათა საქართველოში ტექტონიკური პოლიტიკური პროცესები და ანარქია გამოიწვიონ!**

**თუ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებაზეა დამოკიდებული, მაშინ ქართველი ხალხი აუცილებლად ესვრის ასეთ სტატუსს ქვას!**









**რა შავ ქვად იხლის თავში ქართველი ხალხი სტატუსს, რომლის სანაცვლოდაც მისგან ღირსებაზე, სამართლიანობასა და სუვერენიტეტზე უარის თქმას ითხოვენ?!**

ევროპარლამენტში გამართულ ასოცირების კომიტეტის სხდომაზე დეპუტატი **ჯოზას ოლეკასი** ერთადერთი არ იყო, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღებად პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა სჭირდება, რაც, მისივე თქმით, სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებით იქნება შესაძლებელი. იგივე და კიდევ უარესები ილაპარაკა ევროპარლამენტარმა **კოსმა ზლოტოვსკიმ:**

> ***„ზოგჯერ პოლარიზაცია შეიძლება ძალიან შორს წავიდეს. შესაძლოა, კარგი ჟესტი იყოს საქართველოს ხელისუფლებისგან ბატონი სააკაშვილის გათავისუფლება. იგი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტია და ის, თუ როგორც ეპყრობა მას საქართველოს ხელისუფლება, ნამდვილად იმედგაცრუებას იწვევს ბევრი ევროპარლამენტარისთვის“.***

გესმით? თურმე ბევრი ევროპარლამენტარი იმედგაცრუებული ყოფილა იმით, თუ როგორ ექცევა საქართველოს ხელისუფლება პატიმარ სააკაშვილს!

და როგორ ექცევა საქართველოს ხელისუფლება პატიმარ სააკაშვილს? თავზე დაჰფოფინებს, ციხის საკნის ან ციხის საავადმყოფოს მაგივრად საუკეთესო კერძო კლინიკის აპარტამენტში კოტრიალით ანებივრებს, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულზე ბევრად მეტ უფლებებს ანიჭებს და დანარჩენი 9 ათასი მსჯავრდებულისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ და პრივილეგირებულ პირობებს უქმნის.

## ევროპარლამენტარები, რომლებსაც პატიმარ სააკაშვილისადმი საქართველოს ხელისუფლების მოპყრობა აშფოთებთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას მაინც გაეცნონ, რომელშიც ნათქვამია, რომ სააკაშვილს საქართველოში მკურნალობისათვის ყველა აუცილებელი პირობა აქვს შექმნილი და საზღვარგარეთ გადაყვანას არ საჭიროებს.

თუმცა, დარწმუნებული ვართ, ევროდეპუტატებმა ეს მშვენივრად იციან, მაგრამ მაინც ისე ლაპარაკობენ, როგორც ლაპარაკობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმიცემით თუ დაემუქრებიან, ამით ყველა ბრძანებასა და დირექტივას შეასრულებინებენ, ყველაფერს აკადრებენ და ყველაფერს აკადრებინებენ.

არადა, ამგვარი მიდგომით, ასეთი უტიფრობითა და უპატივცემულობით ქართველი ხალხი იმ მდგომარეობამდე მიჰყავთ, რომ საქართველოს მთასა და ბარში, წყალსა და ხმელეთზე რაც კი ქვებია, ყველას ერთიანად დასტაცოს ხელი და სეტყვასავით დაუშინოს იმ კანდიდატის სტატუსს!

დიახ, **თუ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებაზეა დამოკიდებული, მაშინ ქართველი ხალხი აუცილებლად ესვრის ასეთ სტატუსს ქვას!**

ან რა შავ ქვად იხლის თავში ქართველი ხალხი კანდიდატის სტატუსს, რომლის სანაცვლოდაც მისგან ღირსებაზე, თავმოყვარეობაზე, სამართლიანობასა და სუვერენიტეტზე უარის თქმას ითხოვენ?!

**ასეთ სტატუსს — ქვა!**

**ქართველ ხალხს არ შეეშლება, როდის არის ჟამი ქვების შეგროვებისა და ქვების სროლისა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



თუ ევროპელ მეგობრებს რეალურად სურთ **პოლარიზაციის დასრულება,** ან მინიმუმზე დაყვანა, **კანდიდატის სტატუსი** უნდა მოგვცენ.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ირაკლი ღარიბაშვილის** ყველა გამოსვლა **ეროვნულ ინტერესებზეა დაფუძნებული.** ჩვენც გვქონდა ომი, დავკარგეთ ტერიტორიები და ამით რა მივიღეთ? — **მხოლოდ და მხოლოდ შეშფოთება და აღშფოთება.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



„ოცნების“ წარმომადგენლის ოჯახს რომ რუსეთიდან მიეღო ჰონორარი, **რა ამბავში იქნებოდა ხოშტარია?** რამდენად მორალურია, **სხვას აბრალებდე რუსეთუმეობას და შენ იღებდე ამხელა შემოსავალს?**

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



სასაცილო ამბავია, **ივანიშვილის დამარცხებაზე ხაბეიშვილი რომ ლაპარაკობს.** დღეს, ვინც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას იზიარებს, **2012 წლამდე იმ ცოდვებსაც იზიარებს და თანაავტორი ხდება იმ ყველაფრის,** რაც თავის დროზე ჩაიდინეს.

„ახალი თაობა“

**გიორგი ამილახვარი**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*



რაც შეიძლება **მეტი უცხოური განათლება უნდა შემოვიტანოთ საქართველოში,** აქტიურად ვმუშაობთ, რათა **მეტი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტის ფილიალები გავხსნათ.**

„პირველი არხი“

# სტატუს-ქვო!

*სულ მალე* ***გეორგიევსკის ტრაქტატის*** *ხელმოწერიდან* ***240 წელი*** *სრულდება. დოკუმენტი, რომელმაც საქართველოს ტკბილ-მწარე ხვედრი და სვე-ბედი განსაზღვრა, დღემდე* ***განქიქებისა*** *და* ***განსჯის*** *საგანია.* ***ერეკლეს განქიქებამ*** *ცნობილი ჯაშუშისა და 2-პროცენტიანი მოღალატის* ***ლევან ბერძენიშვილის*** *პორტრეტი თელავის საზოგადოებრივ ტუალეტში ჩამოკიდა, ხოლო* ***პატარა კახის*** *მიერ გადადგმული* ***პოლიტიკური ნაბიჯის განსჯამ ნიკოლოზ ბარათაშვილს „საფლავი მეფის ირაკლისა“*** *დააწერინა.*



## საფლავი მეფის ირაკლისა

*(კნიაზს მ... კ... ძეს ბარატაევს)*

**მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,**
**და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!**
**ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,**
**რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!**

**თაყვანსვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!**
**გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?**
**აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,**
**და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი.**

**ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო**
**მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო:**
**მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული**
**უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.**
**და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,**
**მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!**
**სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,**
**მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!**
**აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,**
**ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;**
**შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,**
**აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!**

**მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,**
**უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!**
**აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,**
**და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!**

**1842**




## ქვო ვადის?!

### კვირგვინოსნები

**არჩილ ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



**რატომ დაადანაშაულეს ზურაბიშვილმა და სხვა თანამდებობის პირებმა ცალსახად რუსეთი — იმ დროს, როცა აშშ და ევროკავშირიც კი გონივრულად იკავებენ თავს კახოვკის ჰესზე მომხდარის შეფასებისგან?** იმიტომ, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ერთმანეთს ებრძვიან და ყველაფერი დასწრებაზეა! სიმართლის, ანუ საქართველოს ეროვნული ინტერესების მხარეს დღეს დგანან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** და თბილისის მერი **კახი კალაძე.**

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სააკაშვილსა და კეზერაშვილზე** უცხოელების მხარდამჭერი განცხადებები აიღეთ და ივარაუდეთ, **რა თანხა მოხვდა ამ ადამიანების ჯიბეში** — ფულით შესაძლებელია, **უცხოელი ექსპერტების, ყოფილი დიპლომატების განცხადებები იყიდონ.**

„ინტერპრესნიუსი““

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ჩვენ მიერ წარდგენილი ინიციატივის შედეგად, **საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს მხოლოდ ის, ვისაც ეცოდინება ქართული, საქართველოს ისტორიისა და ქართული სამართლის საფუძვლები** და, ამავდროულად, პროცესი იქნება მოქალაქეობის მიღების მსურველისთვის ბევრად უფრო სამართლიანი და მოქნილი.

„იმედინიუსი“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*ფეხბურთელი*



ღრმად მწამს, რომ სეზონის **საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს** მარტო მე არ ვიმსახურებ. თანაგუნდელების გარეშე ამ პრიზს ვერ მოვიგებდი.

„ახალი თაობა“




# რუსეთი ნამდვილად არ დაიშურებს რუბლებს იმისათვის, რომ „კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიაში – მგიმოში გამოწვრთნილმა ლიაკა ხოშტარიამ საქართველოში ანტირუსული მოძრაობის მედროშის ამპლუა შეინარჩუნოს!

# უკვე ჩაურიცხეს!

***დაახლოებით ორი კვირაა გასული მას შემდეგ, რაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის, იგივე მგიმოს კურსდამთავრებულმა ელენე გოგის ასულმა ხოშტარიამ მორიგი „ანტირუსული აქცია“ გამართა და კახეთში ქორწილი ჩაუშალა ისრაელის მოქალაქეს, მომღერალ მიკა ვინოკუროვს, რომელიც უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციას ღიად გმობს და სოციალურ ქსელში ანტისაომარ გზავნილებს ავრცელებს.***

რაკი „კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიაში — **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამოზრდილმა ხოშტარიამ** უკრაინის ოკუპაციის მგმობელ და ომის შეწყვეტის მომხრე ისრაელის მოქალაქეს მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩაუშხამა, ვფიქრობდით, რომ რუსული სპეცსამსახურები გოგის გოგოს ამ გარჯას აუცილებლად დაუფასებდნენ და საბანკო ანგარიშზე ამჯერადაც ჩაურიცხავდნენ სოლიდური რაოდენობის რუბლებს.

**„მალე ჩაურიცხავენ!“** — სწორედ ასე ერქვა ორი კვირის წინათ **„ასავალ-დასავალის“ 25-ე ნომერში** გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც აღვნიშნავდით, რომ **მორიგი ვითომ ანტირუსული, სინამდვილეში კი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი გამოხტომის გამო** ლიაკა ხოშტარია ნამდვილად იმსახურებდა მოზრდილი ჰონორარის მორიგ ულუფას რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან.

და აი, ჩვენი ვარაუდი ზედმიწევნით გამართლდა: **ელენე ხოშტარიას მამის — გოგი ხოშტარიას ანგარიშზე 2,5 მილიონი რუსული რუბლი სწორედ იმ დროს ჩაირიცხა, როცა გოგის გოგო რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენას აპროტესტებდა და კახეთში აქციას მართავდა, აქაოდა, ისრაელის მოქალაქე ვინოკუროვის ქორწილს მისი ძმის ცოლი — სერგეი ლავროვის ქალიშვილი რატომ ესწრებაო!**

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ელენე ხოშტარიას მამის ანგარიშზე** 2,5 მილიონი რუსული რუბლი, რაც დაახლოებით 80 000 ლარის ეკვივალენტურია, ამა წლის 22 მაისს ჩაირიცხა და ეს არის ყველაზე მსხვილი ტრანზაქცია, რომელიც რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან **ხოშტარიას ოჯახის** სასარგებლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულდა.

ცხადია, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული მილიონობით რუბლი ამჯერადაც გაფორმებულია, როგორც ჰონორარი გოგი ხოშტარიასათვის, რომელიც მისი ბიძის — ცნობილი ქართველი მხატვრისა და სცენოგრაფის სოლიკო ვირსალაძის ერთ-ერთი მემკვიდრე გახლავთ. საავტორო უფლებების დაცვის კანონიდან გამომდინარე, **ლიაკას მამას** ჰონორარი იმ შემთხვევაში ეკუთვნის, თუ რუსეთის თეატრები სპექტაკლების გასაფორმებლად **სოლიკო ვირსალაძის** სასცენო ნამუშევრებს გამოიყენებენ.

მაშინაც კი, როცა მსოფლიოში კოვიდპანდემია მძვინვარებდა, სახელოვნებო ცხოვრება ჩამკვდარი იყო და არცერთი თეატრის სცენაზე არცერთი სპექტაკლი არ იდგმებოდა, ხოშტარიებს რუსეთის ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი მაინც ერიცხებოდათ, თითქოს იქაურ თეატრებს მუშაობა და ვირსალაძის სასცენო კოსტიუმების გამოყენება წამითაც არ შეეწყვიტოთ. შესაბამისად, **უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, 2021 წლიდან დღემდე, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ხოშტარიას ანგარიშზე 5 მილიონ 300 ათასი რუბლია ჩარიცხული, რაც დაახლოებით 170 000 ლარს უდრის.**

ხედავთ, როგორ პირუთვნელად და ზედმიწევნით იცავს რუსეთის სახელმწიფო თითოეულ კანონსა და ადამიანის ყველა უფლებას, საავტორო უფლებების ჩათვლით?

მერე რა, რომ საავტორო უფლებების დაცვა ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი ძალზედ პრობლემატურია და მთელ მსოფლიოში ყველაზე ხშირად სწორედ საავტორო უფლებების შესახებ კანონი ირღვევა? რუსეთი, როგორც დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ნამდვილი მექა, ამ მხრივაც გამონაკლისია!

თანაც, აქ მხოლოდ საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვაზე როდია ლაპარაკი... **ელენე და გოგი ხოშტარიების მაგალითი იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ ლოიალურად, ჰუმანურად და დემოკრატიულად ექცევა რუსეთის ფედერაცია თავის მტრებსა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.** აბა, ნახეთ: მიუხედავად იმისა, რომ ელენე ხოშტარია რუსეთთან მებრძოლი ამორძალია, ანტირუსულ დროშას ყველაზე მაღლა აფრიალებს, საქართველოში ჩამოსულ რუს სტუმრებს ლაყე კვერცხებს ესვრის და დღენიადაგ კრემლის აგენტების მხილებაშია, რუსეთის ხელისუფლებას აზრადაც არ მოსდის, მისი საავტორო უფლებები დაარღვიოს და მილიონობით რუბლის ოდენობის ჰონორარი დაუკავოს!

როგორც ჩანს, სულ ტყუილად ადანაშაულებენ რუსეთს ანტიდემოკრატიულობაში!

როგორც ჩანს, სულ ტყუილად აბრალებენ პუტინის რეჟიმს — კანონი, სამართალი, ადამიანის უფლებები და ცივილიზებული თამაშის წესები ფეხებზე ჰკიდიაო!

როგორც ჩანს, სულ ტყუილად ამბობენ, რომ რუსეთს არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არასოდეს დაუცვია და არცერთი საერთაშორისო ვალდებულება არასოდეს შეუსრულებია!

**რუსეთი, რომელიც ასე პატიოსნად იცავს თავისი დაუძინებელი მტრის — ელენე ხოშტარიას საავტორო უფლებებს, ანტიდემოკრატიულობაში რა ნამუსით უნდა დაადანაშაულო?**

**რუსეთს, რომელიც თავის ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს — ელენე ხოშტარიას ერთი დღითაც არ უგვიანებს მილიონობით რუბლის ოდენობის ჰონორარს, რა ნამუსით უნდა დააბრალო კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა?**

არა, ელენე და გოგი ხოშტარიების შემხედვარე, იძულებული ხარ, იწამო, რომ რუსეთზე დემოკრატიული, კანონის უზენაესობის პატივისმცემელი და ადამიანის უფლებების განუხრელად დამცველი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე არ არსებობს!

**ამიტომაც ჩაურიცხეს ხოშტარიას 2,5 მილიონი რუსული რუბლი სწორედ იმ დღეებში, როცა მოსკოვიდან ჩამოფრენილ პირველ პირდაპირ რეისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საპროტესტო აქციით დახვდა და ღიად დაიმუქრა — ფიზიკურად დავარბევ ყველა ოფისს, რომელიც თბილისი-მოსკოვის რეისზე ავიაბილეთებს გაყიდისო!**

რა ლაპარაკი უნდა, რომ

**გოგის გოგო რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ახლახან გადმორიცხული 2,5 მილიონი რუბლის დიდ ნაწილსაც ანტირუსული აქციების ორგანიზებაში დახარჯავს!**

**რუსეთი ნამდვილად არ დაიშურებს რუბლებს იმისათვის, რომ „კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიაში — მგიმოში გამოწვრთნილმა ლიაკა ხოშტარიამ საქართველოში ანტირუსული მოძრაობის მედროშის ამპლუა შეინარჩუნოს!**

ამიტომაც ურიცხავენ და კიდევ ჩაურიცხავენ!

***ჯაბა ხუბუა***




## კვირგვინოსნები

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ბოლო პერიოდში **რუსეთისგან ხოშტარიას ოჯახის ანგარიშზე 70 ათას დოლარზე მეტია ჩარიცხული**, არავინ იფიქროს, რომ რომელიმე ქვეყანა, მითუმეტეს, რუსეთი თავისი ინტერესის გარეშე რამეს აკეთებს.

„იმედინიუსი“

**ალექსანდრე ელისაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



რუსეთი მტრად თუ მიგიჩნევს, ისე გადაკეტავს დაფინანსებას, ვერც გაასაჩივრებ, **საინტერესო ტესტი იქნებოდა, ხოშტარიამ ფული უკრაინულ ჯარს ჩაურიცხოს,** დარწმუნებული ვარ, შეწყდებოდა გადარიცხვები.

„პირველი არხი“

**ანდრია გვიდიანი**
*ექსპერტი*



**ხოშტარიასა** და მისი თანამოაზრეების ლოგიკით, **ლიაკას რუსული ფული უსუნია,** ხოლო აქ ჩამოსული **რუსი ტურისტების ფული ყარს** — უტიფრობის რა მასშტაბზეა საუბარი.

„იმედინიუსი“

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახდა!

***2023 წლის 7 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა წარადგინა და საერთო კრებამ აკადემიის პრეზიდენტად აირჩია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი...***



Georgian National Academy of Sciences
(საქართველოს მეცნიერებათა აკადემია)
3 დღე ·

განცხადება

2023 წლის 7 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც განხილული იყო რიგი საორგანიზაციო და ამავდროულად, აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების საკითხი. საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში უბადლო ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## ვულოცავთ ჩემს ძვირფას მასწავლებელს!

აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** რომელიც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას 2013 წლის ივნისიდან ხელმძღვანელობდა და სააკაშვილის მიერ გასაუქმებლად განწირული და იავარქმნილი ინსტიტუცია გადაარჩინა, ღირსეულად წავიდა.

ჩვენ ვერ ჩამოვთვლით იმ ოთხასამდე მონოგრაფიას, წიგნსა თუ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ბატონი როინის ავტორობით თუ რედაქტორობით სხვადასხვა დროსა და ეპოქაში გამოიცა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ **ჩემს ძვირფას მასწავლებელს, რომელსაც თაობები აღუზრდია, ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ბაგრატიონთა წარმომავლობისა და ქართული დიპლომატიის ისტორიის შესახებ.** ფასდაუდებელია მისი ღვაწლი პირველი ქართული ენციკლოპედიის შექმნის საქმეში, რომლის მთავარი რედაქტორის მოადგილედაც 1972 წელს დაინიშნა.

სწორედ ამ წელს მოხდა თბილისში სასახლის კარის გადატრიალება და საბჭოთა საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და „ტეკას" პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ შანტაჟის გზით დიდი პატრიოტი და ქვეყნის მოჭირნახულე ცეკას პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე** გზიდან ჩამოიშორა. **რეპრესიებში მოჰყვა როინ მეტრეველიც, რომელიც მჟავანაძის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას ხელმძღვანელობდა.** როგორც ცნობილმა პროფესორმა და მკვლევარმა, ბატონმა **იგორ კვესელავამ** ჩემთან საგაზეთო საუბარში განაცხადა, **რომ არა შევარდნაძის მიერ მოწყობილი გადატრიალება, ვასილ მჟავანაძის შემდეგ საქართველოს ცეკას პირველი მდივანი სწორედ ბატონი როინ მეტრეველი გახდებოდა და ქვეყნის ბედიც სულ სხვა გზით წარიმართებოდა!**

მართლაც, გაუნათლებელი და მხოლოდ ხალხის დაჭერასა და „ჩაშვებაზე" „გამაცადინებული" შევარდნაძის ნაცვლად საქართველოს მესაჭედ ეყოლებოდა უგანათლებულესი და, რაც მთავარია, დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის საქართველოს იდეალებს ნაზიარები მამულიშვილი, რომელიც, როგორც სწორუპოვარი ისტორიკოსი, დიპლომატი და სამშობლოზე მოფიქრალი კაცი, ქვეყანას არა დაპირისპირებისა და შურისგების, არამედ ერთიანობისა და შერიგების გზით წაიყვანდა.

**როინ მეტრეველმა, როგორც დიდმა ისტორიკოსმა, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ბრწყინვალე თანავარსკვლავედში საპატიო ადგილი ღირსეულად დაიმკვიდრა.**

დიდ მეცნიერთან ერთად ბატონი როინი დიდი დიპლომატი და ღვთისნიერი კაცია...

ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ ურთულეს დროს, 1991 წლის 14 ოქტომბერს, დანიშნა ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მახსოვს უნივერსიტეტის კორიდორებში ე.წ. „შავი პროფესურისა" და ავტომატიანი ბანდიტების თარეში, გაწევ-გამოწევა და ლანძღვა-გინება, შევარდნაძის სტუმრობა უნივერსიტეტის კლუბში და წივილ-კივილი, რომელიც იმ ვიზიტს თან ახლდა... **არცერთ სიბინძურეში ბატონი როინი არ გარეულა. ისე გამოიარა ურთულესი ეპოქა, ქართული პატიოსნებით სავსე მის სინდის-ნამუსს ზადი არ გაჰკარებია.**

სწორედ ბატონი როინის დროს დაიბრუნა დედაუნივერსიტეტმა ჭეშმარიტი ავტონომია, რომელიც 1926 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი განდევნეს, საქართველოს უპირველეს ალმა-მატერს დაკარგული ჰქონდა.

მახსოვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი. უფრო სწორად, ვერ ვემზადებოდი და მეცადინეობას გულს ვერ ვუდებდი, რადგან უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის იმ კათედრას, რომლის ასპირანტურაშიც სწავლის გაგრძელებას ვგეგმავდი, ასპირანტთათვის ადგილი არ ჰქონდა. რაც შეეხება ე.წ. მიზნობრივ ასპირანტურას, ანუ ფასიან სწავლებას, რომელიც ახალი შემოღებული იყო, მისი არც გაგონება მინდოდა და არც საშუალება მქონდა, ფული გადამეხადა... ველოდებოდი უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ **როინ მეტრეველთან** შეხვედრას, რათა ჩემი ბედი გამერკვია და მისი კაბინეტის შესასვლელთან დაღლილი, მშიერი და დამაშვრალი კედელზე ვიყავი მიყრდნობილი.

როგორც წესი, საათში ერთხელ მივაკითხავდი უნივერსიტეტის რექტორის მდივან ქალს უკვე მრავალგზის გაცვეთილი კითხვით — ბატონი როინი გათავისუფლდა?

სრულიად მოულოდნელად, როცა რექტორთან შეხვედრის ყოველგვარი იმედი გადამეწურა და შინ წასვლას ვაპირებდი, გაიღო კაბინეტის კარი, გამოვიდა ბატონი როინ მეტრეველი კორიდორში, მომიბოდიშა და თბილად მითხრა — შვილო, ვიცი თქვენი ამბავი. მთელი უნივერსიტეტიდან ოცდაათი კაცია თქვენს დღეში. ოცდაათივეზე გავაგზავნე განათლების სამინისტროში მოთხოვნა, რათა სხვადასხვა ფაკულტეტებისთვის ასპირანტურის განყოფილებაში ადგილები დაეშვათ, მაგრამ ყველაზე უარი მივიღე. ახლა ეს სია თორმეტ კაცამდე შევამცირე, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი თქვენი კათედრაც არის და იმედი მაქვს, სამინისტრო ასპირანტურისთვის ადგილს გამოუყოფს! დროს ნუ კარგავ, ჩაუჯექი და იმეცადინე, ადგილი იქნებაო!

როგორც გიმნაზიაში მისული მაქსიმოვიჩისგან — დიდი აკაკი წერეთელი, მეც ისე სიხარულით გამოვფრინდი უნივერსიტეტიდან, ჩავუჯექი, თავი მოვიკალი და უნივერსიტეტის ასპირანტი გავხდი!

იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვნახე უნივერსიტეტში სააკაშვილისა და მისი ადგილობრივი დოქსოპულოების მიერ ტუალეტში ჩაკეტილი პროფესურაც და ის სამარცხვინო სცენაც, როცა 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი აქციების დროს უნივერსიტეტში ბზის ტოტები დაუფინეს ამერიკელი აგენტებისა და ქართველი „გეი-კონჩიტების" „მამაშას", უწიგნურ და უთვისტომო ნინო ლომჯარიას, რომელიც საქართველოს მტრებმა უნივერსიტეტში სტუდენტების ასაბუნტებლად გაგზავნეს.

**ეს იყო დაცემა, რომელსაც როინ მეტრეველი არ დაუშვებდა. თანაც, ბედის ირონიით, ეს ყველაფერი ხდებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში, სადაც აკადემიკოს როინ მეტრეველის არაერთი საჯარო ლექცია და გამოსვლა მომისმენია!**

ბატონი როინი რომ საქართველოს პოლიტიკური ლიდერი გამხდარიყო, დარწმუნებული ვარ, არც პატიმრების გამაუპატიურებელი ცირეკიძე გვეყოლებოდა, არც „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგედია დაიწერებოდა და არც 9 აპრილი მოხდებოდა!

**ვულოცავთ ჩემს ძვირფას მასწავლებელს!**

**„ასავალ-დასავალი" მეცნიერებათა აკადემიასაც ულოცავს, რომ ღირსეული პრეზიდენტი ჰყავს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## ბატონი როინი რომ საქართველოს პოლიტიკური ლიდერი გამხდარიყო, დარწმუნებული ვარ, არც პატიმრების გამაუპატიურებელი ცირეკიძე გვეყოლებოდა, არც „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგედია დაიწერებოდა და არც 9 აპრილი მოხდებოდა!

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ბიძინა ივანიშვილმა** იცის, რომ „ოცნების" დამარცხება მისი დამარცხება იქნება და **„ოცნებას" რომ სძინავს,** ბიძინას არ სძინავს. მისი დამარცხება ადვილი არ იქნება, რადგან სხვა თვალით უყურებს მოვლენებს და **ბევრი გენიალური სვლაც აქვს გაკეთებული.**

„რეზონანსი"

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის" წევრი, პარლამენტარი*



**ნაციონალურ მოძრაობას** ქართულ პოლიტიკაში **მომავალი არა აქვს!**

„რეზონანსი"

**რობერტ სტურუა**
*რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი*



გაიგეთ, ქართველებო, **საქართველო მარტოა! სრულიად მარტო!** გავუძლებთ ყველა განსაცდელს, **არავინ გვჭირდება — გაწვრთნილები ვართ!** ნუ აჰყვებით ამაოებით დასუსტებულ ქართველებს! **ვიცი, მარტო ვარ, მარტო დავრჩები, ეული,** არავისგან არაფერს ვითხოვ, პირიქით, მე მართმევენ... და მჯერა, დარწმუნებული ვარ, დიდხანს ვიქნებით, ძალიან დიდხანს! მაშინაც, როცა არავინ იქნება...

„ახალი თაობა"

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



არცერთ ოპოზიციურ პარტიას **არ შესწევს დღეს ძალა, „ქართულ ოცნებას" სერიოზული კონკურენცია გაუწიოს** და არჩევნებზე მოსვენება დაუკარგოს.

„ახალი თაობა"

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი, პარლამენტარი*



ვინც თვლის, რომ **დამოუკიდებლად 5 პროცენტის გადალახვა არ შეუძლია,** გზა დაგვილოცია — ნაციონალურ მოძრაობასთან არანაირ სისტემურ თანამშრომლობას არ ვაპირებთ.

„ინტერპრესნიუსი"

# საავიაციო ჰაბი და

***ქართული პოლიტიკური პარტიების გრძელ რეესტრში კიდევ ერთი ახალი პარტია გაჩენილა, როგორც წესი, ერთობ ხმამაღალი და პრეტენზიული სახელწოდებით — „რუსთაველის გზა“. არ იკითხავთ, ვინ ბრძანდება ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი? ცნობილი პუტჩისტი აკია ბარბაქაძე!***




**კიტოვანის გზით მავალმა აკია ბარბაქაძემ საკუთარ პარტიას „რუსთაველის გზა“ დაარქვა!**




მე და ჩემმა ღმერთმა, ასეთი შესაბამისობა და ზედგამოჭრილობა ძალზედ იშვიათია — **აკია ბარბაქაძე** და **შოთა რუსთაველი; აკიას გზა და რუსთაველის გზა;** პუტჩი, სამოქალაქო ომი და კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობა, როგორც აკია ბარბაქაძის შემოქმედება და „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რუსთაველის შემოქმედება... პირდაპირ აკვდებიან ერთმანეთს **შოთა რუსთაველი** და **აკია ბარბაქაძე.** ყოვლად შეუძლებელია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და პუტჩის თანაავტორი ცალ-ცალკე, ერთმანეთის გარეშე წარმოიდგინო.

არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ **აკია ბარბაქაძე,** უშუალოდ რუსთაველს კი არა, რუსთაველის სახელობის გამზირს გულისხმობს, როცა საკუთარ პარტიას **„რუსთაველის გზას“** უწოდებს. ვინ იცის, იქნებ იმის თქმა უნდა, რომ ხელისუფლების შეცვლის, დამხობისა თუ გადატრიალების ერთადერთი გზა რუსთაველის გამზირზე მიტინგების მოწყობა, **„მოლოტოვის კოქტეილების“** სროლა და, თუ საჭირო გახდა, პარლამენტის შენობის წინ ერთი დიდი ქვემეხის გამოგორებაა? **აკი, თავის დროზეც სწორედ ასე ქნესაკია ბარბაქაძემ, დევი ჭანკოტაძემ და მათმა ამფსონებმა — რუსთაველის გამზირზე 100-მილიმეტრიანი კალიბრის საზენიტო ქვემეხი დადგეს და მერე მოხდა ის, რაც მოხდა — ხალხის მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტის დამხობა, ძმათამკვლელი ომი, სისხლი და ცხედრები.**

**პუტჩისტ აკია ბარბაქაძეს, რომელმაც საკუთარ პოლიტიკურ პარტიას „რუსთაველის გზა“ დაარქვა, ცხადია, ისიც კარგად ახსოვს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში საკმაო წვლილი შეიტანა „რუსთაველის საზოგადოებამ“, რომლის პრეზიდენტიც აკაკი ბაქრაძე გახლდათ!**

**ისე, ერთობ ალიტერაციულად კი ჟღერს — „რუსთაველის საზოგადოების“ ხელმძღვანელი აკაკი ბაქრაძე და „რუსთაველის გზის“ ხელმძღვანელი აკია ბარბაქაძე!**

პუტჩისტ **აკია ბარბაქაძეს,** რომელმაც საკუთარ პოლიტიკურ პარტიას **„რუსთაველის გზა“** დაარქვა, ცხადია, ისიც კარგად ახსოვს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში საკმაო წვლილი შეიტანა **„რუსთაველის საზოგადოებამ“,** რომლის პრეზიდენტიც **აკაკი ბაქრაძე** გახლდათ.

ისე, ერთობ ალიტერაციულად კი ჟღერს — **„რუსთაველის საზოგადოების“ ხელმძღვანელი აკაკი ბაქრაძე და „რუსთაველის გზის“ ხელმძღვანელი აკია ბარბაქაძე!**

მოკლედ, საოცარი მეტამორფოზების კაცია ეს **აკია,** რომელიც ადრე საქართველოში რუსეთის მიერ ინსპირირებული და ხელშეწყობილი პუტჩის აქტიური მონაწილე იყო, რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს გამომხსნელ **ზვიად გამსახურდიას** ტყვიას ესროდა და ყველაზე ანტიდასავლური ძალის — **კოლექტიური კიტოვანის** სამსახურში იდგა, მაგრამ დღეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ პროდასავლელად და ანტირუსად მოაქვს თავი.

ერთ დროს თენგიზ კიტოვანის გზაზე მავალმა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ რუსული იარაღით მებრძოლმა, დღეს კი **„რუსთაველის გზაზე“ შემდგარმა აკია ბარბაქაძემ** იმხელა პროდასავლური მწვერვალები დაიპყრო, რომ უკვე სხვებს ადანაშაულებს რუსეთუმეობასა და კრემლის ინტერესების გატარებაში. მაგალითად, **აკია** სრული სერიოზულობით ირწმუნება, რომ **პრემიერ ღარიბაშვილის** განცხადება — **ვაზიანის ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების საერთაშორისო აეროპორტი უნდა ავაშენოთ, ნატოზე უარის თქმას ნიშნავს!**

საქართველოს მთავრობა ვაზიანში ახალი აეროპორტის მშენებლობას რომ განიხილავს, ამის თაობაზე **პრემიერმა ღარიბაშვილმა** გასულ კვირას განაცხადა:

> ***„ჩვენი ამბიციური მიზანია, რომ რეგიონის საავიაციო ჰაბი გავხდეთ. დღეს არსებული აეროპორტი არ არის დამაკმაყოფილებელი და ვერ უპასუხებს გამოწვევებს, ჩვენს ამბიციურ მიზნებს. მას აქვს თავისი მინუსები, შეზღუდვები და, რეალურად, დიდი განვითარების შესაძლებლობას ვერ იძლევა.*** *აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ საბჭოზე დავსვით ეს საკითხი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ, თუ გვინდა 20, 30 და 100-წლიანი პერსპექტივით ვიზრუნოთ ქვეყანაზე, ჩვენს მომავალ თაობებს დავუტოვოთ სათანადო ინფრასტრუქტურა და გამართული აეროპორტი, აუცილებელია ახალი ლოკაციის შერჩევა.* ***ამ მიზნით იდეალურია ვაზიანის ყოფილი აეროდრომი. ამიტომ, ჩემი დავალებით, ბოლო რამდენიმე თვეა, ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით“.***

მართლაც ამბიციური განაცხადია — **საქართველო, როგორც რეგიონის საავიაციო ჰაბი!**

ეს კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას!

ეს ხელშესახებ სარგებელს მოუტანს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით!

**განა, რა უნდა იყოს ამაზე პროდასავლური საქმე?**

**განა, დასავლელი პარტნიორებისა და მოკავშირეების ინტერესებში არ შედის განვითარებული და გაძლიერებული საქართველო?**

მაგრამ **აკია** თავს იკლავს — **თუ ვაზიანის ყოფილი აეროდრომის ადგილას ახალი საერთაშორისო აეროპორტი აშენდება, საქართველო ევროატლანტიკურ გზას ასცდებაო!**

**თუ საქართველო რეგიონულ საავიაციო ჰაბად გადაიქცევა, ეს რუსეთისათვის იქნება სასარგებლოო!**

**თუ რეგიონულ საავიაციო ჰაბად ქცეული საქართველო ეკონომიკურად განვითარდება, ამით კრემლისა და პუტინის საქმე გაკეთდებაო!**

აგერ, შესაბამისი ციტატაც პარტია „რუსთაველის გზის“

## კვირგვინოსნები



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*

**აგერ შვილი გააჩინა,** ღმერთმა ხელი მოუმართოს და ჯანმრთელი, ბედნიერი გაუზარდოს, **თუ კვდები, მოწამლული ხარ და სამარის კარზე ხარ, რანაირად არის ეგ ამბავი.** ხომ იძახდა სააკაშვილი, უკრაინაა ჩემი და საქართველოს არ ვეხებიო. **ხომ დადასტურდა, რომ სააკაშვილი სიმულანტობდა.**

„პალიტრანიუსი“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

**სააკაშვილის გარეშე ნაციონალური მოძრაობა როგორ უნდა გავიდეს არჩევნებში?!** ვისაც ეგეთი წარმოდგენა ჰქონდა პარტიაში, რომ **მიშა სადმე არ უნდა იყოს,** შესაბამისი ისტერიული შემოტევები აქვს დღეს.

„ახალი თაობა“



**დევი ჭანკოტაძე**
*პარლამენტარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“*

ოკუპანტი რუსეთის მიზანია, **შექმნას მეორე საბჭოთა კავშირი,** რაშიც ხელის შეშლა მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირს შეუძლია.

„რეზონანსი“



**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*

ვიდრე ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ **ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდეს,** ამით „ქართული ოცნების“ პოზიციებს მხოლოდ აძლიერებს!

„ინტერპრესნიუსი“



**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*

არჩევნების შემდეგ **მკვეთრად პროდასავლურ სახელისუფლებო კოალიციაში** „ქართული ოცნების“ ადგილს ვერ ვხედავთ.

„იმედინიუსი“

# საპროვოკაციო ბოდვები, ანუ აკია ბარბაქაძე ვაზიანის აეროპორტის წინააღმდეგ!



ვაზიანის ყოფილი აეროდრომი, რომლის ტერიტორიაზეც შესაძლოა, თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტი აშენდეს

— **ვაზიანის სამხედრო ბაზის ადგილას აეროპორტის აშენება ნატოს საწვრთნელ ცენტრზე უარის თქმას ნიშნავსო!**

მართალია, აკია სულაც არ იძლევა მიზეზს, რომ საზოგადოებას მისი გონებრივი შესაძლებლობების შესახებ მაღალი წარმოდგენა ჰქონდეს, მაგრამ, ერთი შეხედვით, არც ისეთი გონებაჩლუნგი ჩანს, რომ არ იცოდეს — **ხელისუფლებას ძალი-**



პუტჩისტი აკია ბარბაქაძე და პუტჩისტი გოგი ხოშტარიას შვილი ელენე ხოშტარია „ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დაანონსებისას. თბილისი, 2023 წელი.

**აკიასა და ლიაკასნაირ ჭკუის კოლოფებს რომ უპყრიათ ხელთ ანტირუსული და პროდასავლური ბაირაღები, სწორედ იმიტომ იზრდება საქართველოს მოსახლეობაში ნიჰილიზმი და უნდობლობა დასავლეთის მიმართ!**

ლიდერის **აკია ბარბაქაძის** სატელევიზიო გამოსვლიდან **(სტილი დაცულია. რედ.):**

***„ჩვენ ვხედავთ ქმედებას ვაზიანის სამხედრო აეროდრომთან დაკავშირებით, ეს, ფაქტობრივად, არის ნატოზე უარის თქმა. ეს არის ნატოსა და საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი. ჩვენი ნომერ პირველი სამხედრო ბაზა არის ვაზიანის სამხედრო ბაზა და იქ არ შეიძლებოდა ამ ინფრასტრუქტურის შეტანა.*** *ეს ნიშნავს ნატოს საწვრთნელ ცენტრზე უარის თქმას. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მიერ კიდევ ერთი კოჭის გაგორება პუტინისთვის და ამ საკითხში დაწინაურებულია ღარიბაშვილი.* ***რა ინფრასტრუქტურას გვიქმნიან ვაზიანში — რუსების სამხედრო თვითმფრინავები რომ კარგად დაფრინდნენ?“***

აკი ბარბაქაძე არამხოლოდ სისულელეს ლაპარაკობს, არამედ ურცხვად იტყუება და გამიზნულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. საქმე ის არის, რომ **ნატოსა და საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი ვაზიანში კი არა, კრწანისში მდებარეობს.** დიახ, კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის ბაზაზე, სადაც ამერიკელი საზღვაო ქვეითები ქართველ სამხედროებს 1997 წლიდან მოყოლებული წვრთნიან, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი 2015 წლის აგვისტოში გაიხსნა პირადად ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის თანდასწრებით.

**„რუსთაველის გზის“ ლიდერმა აკია ბარბაქაძემ,** როგორც ჩანს, არ იცის რუსთაველის აფორიზმი — **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“** — თორემ ასე ხელაღებით არ მოიტყუებოდა **ანაც რომ სურდეს, ვაზიანის ახალ აეროპორტში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები ვერც „კარგად“ და ვერც „ცუდად“ ვერ დაფრინდებიან, რადგან ძველი აეროდრომის ადგილას სამხედრო კი არა, სამოქალაქო აეროპორტის მშენებლობა იგეგმება.**

რაც შეეხება ვაზიანის სამხედრო ბაზას, თუ ქართული სახელმწიფო იმხელა ფინანსურ რესურსს გამონახავს, რომ ახალი და დიდი საერთაშორისო აეროპორტი ააშენოს, ცხადია, არც ვაზიანის სამხედრო ბაზის სხვა ლოკაციაზე გადატანა გაუჭირდება.

მოკლედ,

**აკია ცდილობს, საქართველოს რეგიონულ საავიაციო ჰაბად გადაქცევას საპროვოკაციო ბოდვებით დაუპირისპირდეს. მისი მონაჩმახი – ხელისუფლება ვაზიანში ახალ აეროპორტს რუსეთის სასარგებლოდ აშენებს, არაფრით ჩამოუვარდება ლიაკა ხოშტარიას მიერ დაბრეხვებულ იდიოტობას – წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში მთავრობამ ხიდი იმიტომ ააშენა, რომ ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსული ტანკები ადვილად გადმოვიდნენო!**

აი, ასეთებს — **აკიასა და ლიაკასნაირ ჭკუის კოლოფებს რომ უპყრიათ ხელთ ანტირუსული და პროდასავლური ბაირაღები, სწორედ იმიტომ იზრდება საქართველოს მოსახლეობაში ნიჰილიზმი და უნდობლობა დასავლეთის მიმართ!**

თუმცა, ვინ იცის, აკიასა და ლიაკასნაირთა მიზანიც იქნებ სწორედ ეს არის!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ნებისმიერი **დაყოვნება და მერყეობა კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით,** ააქტიურებს არაკეთილმოსურნე ძალებს — მივმართავ ევროპელ კოლეგებს, **მიიღონ გადაწყვეტილება, რომელსაც საქართველო იმსახურებს.**

„იმედინიუსი“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



ორი წლის წინ ვთქვით, რომ **„ვერთიანდებით საქართველოსთვის, არავის წინააღმდეგ“** — დღეს ვამბობთ, რომ **ვერთიანდებით საქართველოსთვის და ყველას წინააღმდეგ,** ვინც ქვეყნის ევროპულ, თავისუფალ, ერთიან მომავალს უქმნის საფრთხეს.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



**პუტინმა** რომ ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, **საქართველოში მოფრინავს „აზიმუტით“,** რას აპირებს ხელისუფლება?

„ახალი თაობა“

**ირაკლი ნადირაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



გამარჯვების ფორმულა ისევ და **ისევ ნაციონალურ მოძრაობაში** და მასთან თანამშრომლობაშია.

„პირველი არხი“

**ბენ ჰოჯესი**
*ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილი მთავარსარდალი*



მეჩვენება, რომ **საქართველოს პრემიერ-მინისტრს არ სურს ქვეყანა ნატოს წევრი გახდეს,** რადგან შიშობს და გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი საქართველოს თავს დაესხმება.

„ინტერპრესნიუსი“

# ტაში

*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ლევან თაქთაქიშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტიდან შევიტყვეთ, რომ წლეულს საქართველოში ქართულ ენაზე გამოუციათ ადოლფ ჰიტლერის ცნობილი წიგნი „ჩემი ბრძოლა“ (გერმანულად — Mein Kampf).*





*სრულიად საქართველოს; ქართველ ერს; ჩემს ოჯახს; თანამებრძოლებს; მხარდამჭერებს; ქართული ეროვნული იდეის ფუძემდებელს - წმინდა ილია ჭავჭავაძე მართალს; ჩვენს ეროვნულ გმირებს - ბატონ მერაბ კოსტავასა და ბატონ ზვიად გამსახურდიას; ქართული ფაშიზმის ფილოსოფიურ მამას - ბატონ გრიგოლ რობაქიძეს; ,,ვერმახტის ქართული ლეგიონის" მეთაურ ბატონ შალვა მაღლაკელიძეს; ჩემი სკოლის სასწავლო ნაწილსა და ისტორიის მასწავლებელს ქალბატონ ნორა კაკაურიძესა და სკოლის დირექტორს ქალბატონ გულიკო ჯაშაშვილს, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემში სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში!*

*რაღა თქმა უნდა, ამ წიგნს ვუძღვნი ადოლფ ჰიტლერს - რომლის პირველი ნაწილის გადათარგმნა სიმბოლურად, სწორედ მის დაბადების დღეს 20 აპრილს დავასრულე და ამ წიგნით იმ ქვეყნად მსურს მივულოცო დაბადების დღე!*



### მთარგმნელისაგან

ადოლფ ჰიტლერის შესახებ ათეულობით წელიწადია შეგნებულად ვრცელდება დეზინფორმაცია, სიყალბე, ცილისწამება, პასქვილი. მის პიროვნებას, მის ჭეშმარიტ საქმეებსა და მიზნებს განზრახ ამახინჯებენ, სიბინძურეში თათხავენ მის სახელს; მის ხმას, მის სიტყვებს კრძალავენ სოციალურ ქსელში, ტელევიზიებში, გაზეთებში... თუმცა, ახალი თაობა და არა მარტო ახალი თაობა, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში დაინტერესდა მისი პიროვნებით და სულ უფრო მზარდ ყურადღებას იჩენს აღნიშნული საკითხის მიმართ. ამიტომაც, გადავიწყვიტე ტყუილს, დეზინფორმაციას, ცილისწამებებს ერთხელ და სამუდამოდ მოვუღო ბოლო და ქართველი ერისათვის ვთარგმნო ადოლფ ჰილერის - „ჩემი ბრძოლა"; პირდაპირ, პირველი პირიდან გადავცე ქართველ ერს თუ სინამდვილეში რას ფიქრობდა დიდი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, თეთრი რასის ერთერთი ყველაზე გამოჩენილი გმირი - ადოლფ ჰიტლერი.

კითხულობ ამ წიგნს და განცვიფრდები, ვინაიდან მასში აღწერილი მოვლენები მთელი სიზუსტით ასახავს ჩვენი სამშობლოს - საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და ზუსტად მისი იდენტურია. ამიტომ, ეროვნულად მოაზროვნე კაცი, შეუძლებელია, უდიდესი პატივისცემით არ განიმსჭვალო დიდებული ადოლფ ჰიტლერისადმი - თეთრ ღვთისშვილთა არიული რასის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილი პიროვნებისადმი, დიახ, თეთრი არიული რასის - რომლის

# საქართველოში გამოიცა ჰიტლერის წიგნი, რომლის წინასიტყვაობა და ბოლოთქმაც ნაციზმის აპოლოგიაა!

გამოუციათ და გამოუციათ, მერე რა მოხდა?

პირველად ხომ არ გამოიცა ქართულ ენაზე ჰიტლერის წიგნი?

„ჩემი ბრძოლა“ სხვადასხვა ადამიანის თარგმანითა და სხვადასხვა რედაქციით საქართველოში აქამდეც ხომ ბევრჯერ დასტამბულა?

**კი ბატონო, აქამდეც არაერთხელ გამოსულა საქართველოში ჰიტლერის ამ ავტობიოგრაფიული ნაშრომის ქართული თარგმანი.**

**დაინტერესებულ ქართველ მკითხველს აქამდეც მრავალჯერ ჰქონია საშუალება, მშობლიურ ენაზე წაეკითხა ეს ნაწარმოები, რომელიც, რეალურად, ნაცისტურ დოქტრინას წარმოადგენს და რომლის იდეოლოგიასაც თავიდან ბოლომდე დაეფუძნა მესამე რაიხის მმართველობა.**

**„ჩემი ბრძოლა“,** ყველა ბოროტებასთან ერთად, ანტისემიტიზმის მანიფესტიც არის, რომელშიც ჰიტლერმა ებრაელები გერმანიის უბედურების მთავარ მიზეზად და მთელი კაცობრიობის საფრთხედ გამოაცხადა, მაგრამ **საქართველოში, სადაც არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმის ადგილი, ამ წიგნს ყოველთვის კითხულობდნენ, დღესაც კითხულობენ და მომავალშიც წაიკითხავენ.** ყოველ შემთხვევაში, **უცილოდ უნდა წაიკითხონ, რათა საქართველოში ვერასოდეს შეძლოს გაბატონება ნაცისტურმა იდეოლოგიამ, რომელიც, შესაძლოა, ხან კონსერვატიზმით იყოს შენიღბული და ხანაც — ლიბერალიზმით.**



მაშ, რატომ ვამახვილებთ ყურადღებას, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ და არაფრით გამორჩეულ ფაქტზე, რასაც **ჰიტლერის წიგნის მორიგი ქართული თარგმანის** გამოცემა ჰქვია?

საქმე თავად წიგნში კი არა, იმ წინასიტყვაობასა და ბოლოთქმაშია, რომელიც მას მთარგმნელმა, ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობის“ მეთაურმა (ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს. რედ.) **გიორგი ჭელიძემ** დაურთო.

მოდით, ჯერ ვნახოთ, რას წერს თავის ფეისბუქ-პოსტში **ლევან თაქთაქიშვილი,** რომელიც, როგორც თვითონ გვითხრა, **ჭელიძის მიერ ნათარგმნ ჰიტლერის წიგნს** ქუჩაში, პრესის სტელაჟზე შემთხვევით წააწყდა და შეიძინა:

> „წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა ამაზრზენი! **„გადავწყვიტე, პირდაპირ, პირველი პირიდან გადავცე ქართველ ერს, თუ სინამდვილეში რას ფიქრობდა დიდი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, თეთრი რასის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გმირი — ადოლფ ჰიტლერი“.** აკრძალავ და უფრო მეტი იყიდის! რა სამარცხვინოა წიგნის დაბეჭდვა კი არა, ამ წინასიტყვაობით გამოქვეყნება“.

**გიორგი ჭელიძე,** რომელმაც ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ თარგმნა და ნაცისტ ფიურერს ოსანა აღუვლინა, 2019 წელს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გაასამართლეს. მან სასჯელი — **3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა** — სრულად მოიხადა და საპატიმრო ცოტა ხნის წინათ დატოვა.

**ჭელიძე** დაპატიმრებამდე სამოქალაქო აქტივიზმით იყო დაკავებული და ნაცისტურ იდეებს ღიად დეკლარირებდა არამხოლოდ ვერბალურად, არამედ ჟესტიკულაციითაც. მაგალითად, საჯარო სივრცეში, მათ შორის, საკუთარ სასამართლო პროცესზეც, დემონსტრაციულად იყენებდა ცნობილ ნაცისტურ მისალმებას, რომელიც მესამე რაიხში იყო დამკვიდრებუ-

**არ არსებობს უფრო დიდი შეურაცხყოფა ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას სულებისათვის, ვიდრე მათი გაიგივება ჰიტლერთან და ნაციზმთან, რასაც გიორგი ჭელიძე სჩადის!**

## კვირგვინოსნები

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



დროულია და სწორია, უცხოურ ენაზე ჩვენს ქვეყანას **„SAKARTVELO“** ეწოდოს.

„რეზონანსი“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*„ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი*



საქართველოს **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები** მოსკოვშია.

„საერთო გაზეთი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



**ყოვლად ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი კამპანია მიდის პრემიერის წინააღმდეგ.** მეტწილად ავტორები ორთოდოქსი ნაცები არიან. **ამ უზნეო ხალხს აქვს პრეტენზია ევროპელობაზე და ცივილიზებული სამყაროს წევრობაზე.** დამკვეთებიც უწონებენ, ჩანს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ბადრი ჯაფარიძემ** ცალკე რა უნდა ქნას? რა პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია? **საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს.** ამიტომ, ჩემს **ხაბესთან** თანამშრომლობა მოუწევთ, **ხაბესთან** თანამშრომლობა კი იმას ნიშნავს, რომ **ყველანი არიან რადიკალები და ჩვეულებრივი მწვალებლები.** მათი ხელისუფლებაში მოსვლა ღმერთმა არ ქნას — **გგონიათ, ვინმეს დაინდობენ?**

„იმედინიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**„ლელოსგან“** პოლიტიკაში ფულის ინვესტირების ყველაზე სწორი გზა იქნება, **„გირჩი“ დააფინანსონ** და არა ის, რომ თვითონ აკეთონ საქმე, რომელიც არ გამოსდით.

„პირველი არხი“

# ჰიტლერს?



გიორგი ჭელიძის ეს ფოტო და ციტატა შეტანილია მის მიერ ნათარგმნ ჰიტლერის წიგნში „ჩემი ბრძოლა“









## ნაციზმის გამფეტიშებელ ჭელიძეს, შესაძლოა, ამბიცია ჰქონდეს, რომ საქართველოში ნომერ პირველი ნაცისტია, მაგრამ ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ახალაიებსა და სხვა დიდრონ ნაცისტებს!

„37 წელი რომ იყოს და რომ მოხვიდეთ და რომ მხვრეტდეთ ფანრების შუქზე, მაინც ასე გავაკეთებ მარჯვენა ხელს და ასე ვიტყვი - დიდება ქართველ ერს !

ერთადერთი ჩემი დანაშაული ეს არის, ჩემი ერის, ჩემი სამშობლოს, ჩვენი სახელმწიფოს უკიდეგანო სიყვარული!”

„საქართველოს ეროვნული ერთობის” მეთაური

გიორგი ჭელიძე

ლი. ამის ამსახველი ერთი ფოტო მის მიერ ნათარგმნ და გამოცემულ ჰიტლერის წიგნსაც ერთვის ასეთი ტექსტით:

**„37 წელი რომ იყოს და რომ მოხვიდეთ და რომ მხვრეტდეთ ფანრების შუქზე, მაინც ასე გავაკეთებ მარჯვენა ხელს და ასე ვიტყვი — დიდება ქართველ ერს!“**

ბოლოსიტყვაობაში, რომელიც წიგნის უკანა ყდაზეა დატანილი, **ჭელიძე** წერს, ვის ეძღვნება ჰიტლერის „ჩემი ბრძოლის“ მისეული თარგმანი **(სტილი და პუნქტუაცია დაცულია. რედ.)**:

*„სრულიად საქართველოს; ქართველ ერს; ჩემს ოჯახს; თანამებრძოლებს; მხარდამჭერებს; ქართული ეროვნული იდეის ფუძემდებელს — **წმინდა ილია ჭავჭავაძე** მართალს; ჩვენს ეროვნულ გმირებს — ბატონ **მერაბ კოსტავას** და ბატონ **ზვიად გამსახურდიას;** ქართული ფაშიზმის ფილოსოფიურ მამას — ბატონ **გრიგოლ რობაქიძეს,** „ვერმახტის ქართული ლეგიონის“ მეთაურ ბატონ **შალვა მაღლაკელიძეს;** ჩემი სკოლის სასწავლო ნაწილსა და ისტორიის მასწავლებელს ქალბატონ **ნორა კაკაურიძესა** და სკოლის დირექტორს ქალბატონ **გულიკო ჯაშაშვილს,** რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემში სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში! რაღა თქმა უნდა, ამ წიგნს ვუძღვნი **ადოლფ ჰიტლერს** — რომლის პირველი ნაწილის გადათარგმნა სიმბოლურად, სწორედ მის დაბადების დღეს 20 აპრილს დავასრულე და ამ წიგნით იმ ქვეყნად მსურს მივულოცო დაბადების დღე!“*

**როგორც ხედავთ, ჭელიძეს ჰგონია, რომ ეროვნულობა და ფაშიზმი ერთი და იგივეა! თან ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე და ადოლფ ჰიტლერი, ზვიად გამსახურდია და ადოლფ ჰიტლერი, მერაბ კოსტავა და ადოლფ ჰიტლერი, გრიგოლ რობაქიძე და ადოლფ ჰიტლერი ერთი და იგივე იდეებისა და იდეალებისათვის იღვწოდნენ!**

**ჭელიძეს** მიაჩნია, რომ ანტისემიტიზმი, ნაციზმი და თეთრი რასის უპირატესობის თეორია, რომლის პრაქტიკულ ხორცშესხმასაც ჰოლოკოსტი და საკონცენტრაციო ბანაკები წარმოადგენდა, ეროვნული იდეოლოგიაა!

არადა, ყველაფერი პირიქით არის!

ეროვნულ იდეოლოგიასა და ჯანსაღ კონსერვატიზმს ჰიტლერსა და ნაციზმზე დიდი მტერი არ ჰყოლია, არ ჰყავს და არც ეყოლება!

**საკონცენტრაციო ბანაკებთან, 6 მილიონი ებრაელის გაჟუჟვასთან და ბევრ სხვა ბოროტებასთან ერთად, კაცობრიობის წინაშე ჰიტლერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული სწორედ ის არის, რომ გლობალისტებსა და ნეოლიბერალებს ხელთ მისცა სამუდამო იარაღი ეროვნული იდეოლოგიის დისკრედიტაციისათვის!**

დიახ, რომ არა **ადოლფ ჰიტლერი და მისი ნაცისტური რეჟიმი,** დღეს გლობალისტები და ნეოლიბერალები ასე ხელაღებით ვერ შეძლებდნენ, ნამდვილი ეროვნული იდეოლოგია, ნამდვილი და ჯანსაღი კონსერვატიზმი ეჭვმიტანილის ამპლუაში ჩაეყენებინათ, რომელსაც გამუდმებით უწევს, ამტკიცოს, რომ ნაციზმთან და ფაშიზმთან არაფერი აქვს საერთო!

არ არსებობს ეროვნული იდეოლოგიის იმაზე დიდი მტრობა, ვიდრე ფაშიზმისა და ჰიტლერის იდეალიზაცია ეროვნული იდეოლოგიის სახელით, რასაც **გიორგი ჭელიძე** აკეთებს!

**არ არსებობს უფრო დიდი შეურაცხყოფა ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას სულებისათვის, ვიდრე მათი გაიგივება ჰიტლერთან და ნაციზმთან, რასაც გიორგი ჭელიძე სჩადის!**

**ჰიტლერის წიგნის მთარგმნელ და ნაციზმის გამფეტიშებელ ჭელიძეს,** შესაძლოა, ამბიცია ჰქონდეს, რომ საქართველოში ნომერ პირველი ნაცისტია, მაგრამ ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას **სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ახალაიებსა და სხვა დიდრონ ნაცისტებს,** რომლებმაც საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი შექმნეს! ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ **კოლექტიური მეგისქარდავები და კოხტაკოდუები,** რომლებმაც ქართული ციხეები ნამდვილ საკონცენტრაციო ბანაკებად გადააქციეს, ჭელიძეს იოტისოდენა შანსიც არა აქვს, უპირველესი ფაშისტისა და ნაცისტის სტატუსი დაისაკუთროს!

და კიდევ: **ლიბერალების ქურქში გახვეული ქართველი ნეოფაშისტები, რომლებიც წიგნების დაწვაში არაერთხელ არიან შემჩნეული, არავითარ შემთხვევაში არ დაწვავენ გიორგი ჭელიძის მიერ ნათარგმნ ჰიტლერის წიგნს, რომლის წინასიტყვაობა და ბოლოთქმაც ნაციზმის აპოლოგიას წარმოადგენს!** პირიქით, ისინი ამ წიგნს ისევ და ისევ ეროვნულ იდეოლოგიასთან საბრძოლველად გამოიყენებენ — **აი, ნახეთ, რა ხალხი ლაპარაკობს ეროვნულობის სახელით და როგორი ფაშისტები გვიპირისპირდებიან პროგრესულ ლიბერალებსო!**

**ჭელიძის მიერ ნათარგმნ ჰიტლერის წიგნს, რომლის წინასიტყვაობა და ბოლოთქმაც ნაციზმის აპოლოგიას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, არც ეროვნული იდეოლოგიის მიმდევრები დაწვავენ, რადგან ისინი ნამდვილი ეროვნულები არიან, რომლებსაც ფაშიზმთან არაფერი აკავშირებთ!**

ხოლო იქ, სადაც წიგნებს არ წვავენ, არც ადამიანებს დაწვავენ!

*ჯაბა ხუბუა*

## არ არსებობს ეროვნული იდეოლოგიის იმაზე დიდი მტრობა, ვიდრე ფაშიზმისა და ჰიტლერის იდეალიზაცია ეროვნული იდეოლოგიის სახელით, რასაც გიორგი ჭელიძე აკეთებს!

## კვირგვინოსნები

**დავით ასათიანი**
*ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე*



როცა **150-მდე ადვოკატი ციხეში იჯდა უმეტესად აბსურდული ბრალდებებით 2007-2012 წლებში** და ამ დროს ზოგიერთები სამინისტროებსა და უწყებებში რომ მუშაობდით ბედნიერად, ის ხალხი მაინც **ნუ ლაპარაკობთ ბრტყლად ადვოკატთა ბედზე გულდათუთქულები.** უკეთურება არ გვავიწყდება. ცნობისათვის, დღეის მდგომარეობით და **ბოლო 5 წელია,** პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით არცერთი, ვიმეორებ **არცერთი ადვოკატი პატიმრობაში არ იმყოფება!**

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



რუსეთს შეუძლია, **ხოშტარიას** ნებისმიერ მომენტში დაფინანსება შეუწყვიტოს, თუ მიიჩნევს, რომ **ელენე ხოშტარია** მას რეალურად ებრძვის. რამდენიმე კვირის წინ, როცა მოსკოვი-თბილისის რეისი შესრულდა, ვიხუმრე, რომ **ელენე ხოშტარიას ფულს ვეღარ ურიცხავენ და, ალბათ, პილოტმა ჩამოუტანა-მეთქი**, როგორც ჩანს, არ მიხუმრია და ეს გადარიცხვები მართლაც გრძელდება.

„იმედინიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ **ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აღსასრული გარდაუვალია.** ყველაფერი რუსული თუ მიუღებელია, მაშინ **რატომ არის თავად ხოშტარია ასეთი დაფინანსების მიმღები?** საზოგადოება ამ კითხვას სვამს და იმსახურებს, რომ **ხოშტარიამ პასუხები გასცეს.**

„რეზონანსი“

**თემურ გვალია**
*მსახიობი*



**ვანო მერაბიშვილი** ნაციონალური მოძრაობის **ბანდის მეთაური** იყო. რაც მან აკეთა, მაგისთვის 6 წელი ოაზისია.

„TV იმედი“

***რაოდენ ძნელი დასაჯერებელიც არ უნდა იყოს, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ ძლიერ შეფოთავენ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს ქართული ეკონომიკა იზრდება და დაქცევის მაგივრად, წინ მიდის.***

*როგორც ამერიკული გამოცემა CNBC წერს, საქართველო და სომხეთი, შესაძლოა, დასავლეთის მხრიდან ერთგვარი შურისძიების სამიზნედ იქცნენ იმის გამო, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვთ. კერძოდ, 2022 წელს ქართული ეკონომიკა 10,1 პროცენტით გაიზარდა, სომხური კი — 12, 6 პროცენტით.*

*ხსენებული ამერიკული გამოცემის სტატიის მიხედვით,* ***დასავლეთის შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ შესაძლოა, საქართველო, სომხეთი, ყაზახეთი და თურქეთი გამოყენებული არიან „სავაჭრო კარიბჭედ“, რომლის გავლითაც რუსეთში არასანქცირებული, მაგრამ ორმაგი დანიშნულების საქონელი ხვდება — მაგალითად, სარეცხი მანქანის ნაწილები, რომლებსაც კრემლი სამხედრო წარმოებისათვის იყენებს.***

*კიდევ ერთი დასავლური გამოცემა Pjkitico აქვეყნებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორის* ***ჯიმ ო'ბრაიენის*** *განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო თურქეთთან, ყაზახეთთან, სომხეთთან და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ერთად სანქციების გვერდის ავლის პრობლემას იწვევს. მისი თქმით,* ***ომის საწარმოებლად საკვანძო მიკროჩიპებისა და ელექტრონიკის ექსპორტი რუსეთში ომამდელ დონეს დაუბრუნდა, რადგან იგი უკეთ ახერხებს სანქციებისათვის გვერდის ავლას.***

*ასეთი ბრალდებების მიუხედავად, არსად ჩანს თუნდაც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ საქართველო დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გვერდის ავლის ინსტრუმენტად არის გამოყენებული და მისი ტერიტორიის გავლით რუსეთში სანქცირებული საქონელი შედის. ასეთი რამ მართლა რომ ხდებოდეს, ამერიკულ და ევროპულ სპეცსამსახურებს, რომელთა ყურადღების მიღმაც საქართველოში მაღლა — ჩიტი და დაბლა ჭიანჭველა ვერ გაჭაჭანდება, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება და გამოქვეყნება ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ.*

***მაშ, რას ემსახურება ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან უსაბუთო და უარგუმენტო საუბრები იმის შესახებ, რომ საქართველო, შესაძლოა, რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებოდეს და რატომ აშფოთებთ მათ უკრაინის ომის ფონზე ქართული ეკონომი-***



**„კანდიდატის სტატუსი და, საერთოდ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ერთი დიდი ბლეფის ნაწილია!**

**„როცა ევროპარლამენტარები და ამერიკის სახდეპის მაღალჩინოსნები საქართველოს უსუსურ ბრალდებებს უყენებენ და სანქციებით ემუქრებიან, ეს ცხადად აჩვენებს, რა სავალალო დღეშია კოლექტიური დასავლეთი!“**

## დემურ გიორხელიძე:

# პირდაპირ გეუბნებით, რომ ვერც სანქციებს დაგვიწესებენ და ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრიან!

***კის ზრდა? ამ საკითხზე ცნობილ ეკონომისტსა და ანალიტიკოსს დემურ გიორხელიძეს*** *ვესაუბრებით:*

— ქართული და სომხური ეკონომიკები საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლებების მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით კი არა, მათგან დამოუკიდებელი გარემოებების შედეგად გაიზარდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ბელარუსში ე.წ. ფერადი რევოლუციის მცდელობას ჰქონდა ადგილი, ხოლო უკრაინაში რუსეთის სამხედრო ოპერაცია დაიწყო, ამ ქვეყნებს უამრავმა მოქალაქემ გაარიდა თავი და, ძირითადად, იმ სახელმწიფოებს მიაშურა, სადაც არასოდეს ჰქონია ადგილი სტუმრებისადმი აგრესიას, თუ არ ჩავთვლით ხელოვნურ პროვოკაციებს, რომლებსაც დღეს საქართველოში ნეოლიბერალური იდეოლოგიით მოშხამული „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები აწყობენ.

**— ე.ი. საქართველოს ეკონომიკის 10-პროცენტიანი ზრდა იმან გამოიწვია, რომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით მოხდა რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეთა შემოდინება?**

— დიახ, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ეს გახლავთ! რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეები საქართველოში თავიანთი დანაზოგებით ჩამოვიდნენ, ბევრი მათგანი იურიდიულ პირადაც დარეგისტრირდა და საქართველოს ბიუჯეტში გადასახადები შეაქვს... იგივე ხდება ჩვენს მეზობელ სომხეთშიც, რომლის ეკონომიკამაც კიდევ უფრო დიდი სარგებელი ნახა. ამის გამო საქართველო დასავლეთისაგან აგრესიასა და სანქციებს თუ იმსახურებს, მაშინ ჩვენ სხვანაირად დავსვამთ საკითხს.

**— კერძოდ?**

— ჯერ კიდევ 9 წლის წინათ, 2014 წლის ივნისში, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და იმთავითვე გაიშალა დიდი პროპაგანდა, თითქოს ეს ჩვენი ეკონომიკის აყვავებას გამოიწვევდა, მაგრამ მე, დეტალური ანალიზის საფუძველზე, მაშინვე განვაცხადე, რომ **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ქართული ეკონომიკა ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებდა.** დღეს, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 წლისთავზე, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორებს რუსეთი და თურქეთი წარმოადგენენ. მაშ, სად არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სად არის მათი ზრუნვა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე? სად არიან ჩვენი ამერიკელი პარტნიორები და რატომ არ დებენ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში? რა, რუსეთმა აუკრძალა ამის გაკეთება?

**— ამერიკულ გამოცემაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოში რუსული პროდუქციის იმპორტი 79 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი 7 პროცენტით არის მომატებული...**

— მერედა, ამაში ცუდი რა არის? რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდა ასე ძალიან თუ აშფოთებთ, მაშინ ამერიკელებმა წაიღონ ქართული პროდუქცია თავიანთ ბაზარზე! ან ევროკავშირს ვინ უშლის, ყველაფერი ქართული, რაც რუსულ ბაზარზე იყიდება, თავის ბაზარზე შეიტანოს და გაყიდოს? უთხრან ქართველებს — ნუ გაყიდით ნურაფერს რუსეთში, ევროპის ბაზარზე შემოიტანეთ და ჩვენ უფრო მეტს გადაგიხდითო! ამის გაკეთება არ უნდათ და თან გვეუბნებიან — რუსეთშიც ნურაფერს გაყიდით, შიმშილით ამოწყდითო!

**როცა ევროპარლამენტარები და ამერიკის სახდეპის მაღალჩინოსნები საქართველოს უსუსურ ბრალდებებს უყენებენ და სანქციებით ემუქრებიან, ეს ცხადად აჩვენებს, რა სავალალო დღეშია კოლექტიური დასავლეთი!**

**— კოლექტიური დასავლეთის შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენაც არის და კეთდება მინიშნებები, რომ ამის გამო, შესაძლოა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მოგვცენ! თქვენი მოლოდინი როგორია?**

— კანდიდატის სტატუსი და, საერთოდ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ერთი დიდი ბლეფის ნაწილია! **„შინ ევროპისკენ!“** — ეს არის დეგენერატული სლოგანი, რომელიც დასავლურ დაფინანსება-




**„შინ ევროპისკენ!“ – ეს არის დეგენერატული სლოგანი, რომელიც დასავლურ დაფინანსებაზე გამოზრდილი ნეოკომკავშირელებისათვის ფულის კეთების საშუალებას წარმოადგენს!“**

## კვირგვინოსნები

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ **საქართველო მიიღებს სტატუსს,** დარჩენილი დრო გამოყენებული უნდა იყოს **მაქსიმალური პროგრესისთვის,** მნიშვნელოვანია, რომ **საქართველოდან კარგი ამბები მოდის.**

„იმედინიუსი“

**მარკეტა პეკაროვა-ადამოვა**
*ჩეხეთის პარლამენტის თავმჯდომარე*



ევროკავშირი და ნატოს ქვეყნები ახლა უფრო ერთიანები არიან, ვიდრე ოდესმე, **პუტინი ვერასდროს შეძლებს ჩვენს გაყოფას** — ჩვენ გვჭირდება **მნიშვნელოვანი მოთამაშეები, როგორიც საქართველოა.**

„ინტერპრესნიუსი“

**გრიგოლ გაგნიძე**
*ჟურნალისტი*



არის საშიშროება, **პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა,** რომელმაც არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსის სახელი დაიმკვიდრა, **წინასაარჩევნოდ შეიწყალოს სააკაშვილი.** ამით დაშლილი ნაცპარტია კვლავ გაერთიანდება. ეს უცხოეთიდან იქნება ნაკარნახევი, **რათა საქართველოში დესტაბილიზაცია მოხდეს.**

„საერთო გაზეთი“

**მამუკა არეშიძე**
*უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი*



რუსეთმა თავისი სულელური პოლიტიკით **ნატოს წევრთა რაოდენობაც გაზარდა** და ყველაფერიც დაკარგა. ახლა სამხრეთ კავკასიისთვისაა იბრძვის. **ახლა საქართველო ისე სჭირდება, როგორც მწყურვალს წყალი, ამიტომ, თუ „თაფლაკვერით“ ვერ მიაღწევს შედეგს, აუცილებლად მოგვიქნევს მათრახს.** რუსეთი აუცილებლად შეეცდება ჩვენს ჩათრევას პროვოკაციაში.

„კვირის პალიტრა“

# საქართველოს „დაუძინებელ მეგობრებს“ ქართული ეკონომიკის ზრდა აშფოთებთ!



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციების კოორდინატორი ჯიმ ო'ბრაიენი

ზე გამოზრდილი ნეოკომკავშირელებისათვის ფულის კეთების საშუალებას წარმოადგენს და არანაირი სხვა დანიშნულება არ გააჩნია!

კითხვას ვსვამ: **1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთს ყოვლად უვარგისი, გამყიდველი და დასავლეთის გავლენის ქვეშ მოქცეული ხელისუფლება ჰყავდა, რატომ არ მიიღეს საქართველო ევროკავშირსა და ნატოში?**

**— თქვენ გაქვთ პასუხი ამ კითხვაზე?**

— ამერიკისა და ევროპის პოლიტიკურ ელიტას საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სურვილი არასოდეს ჰქონია, მათ ეს სატყუარა მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდათ, რომ საქართველოში შეექმნათ თავიანთი **„მეხუთე კოლონა“**, რომელსაც, როცა დასჭირდებოდათ, რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ ცეცხლში ფიჩხად გამოიყენებდნენ! თუმცა, ქართველი ხალხი იმაზე მაგარი აღმოჩნდა, ვიდრე ამერიკასა და დასავლეთში ეგონათ და მათ საქართველოში თავიანთი ვერ გაიტანეს!

**— დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ქართველმა ხალხმა არ დაუშვა რუსთაველის გამზირზე ლგბტ პრაიდების მოწყობა, რაც, სამწუხაროდ, თავიდან ვერ აიცილა უკრაინელმა ხალხმა.

**2019 წელს კიევში, ხრეშჩატიკზე ჩატარებული უზარმაზარი ლგბტ პრაიდი, რომელშიც, ყველასათვის გასაოცრად, უკრაინულ ჯარსაც მიაღებინეს მონაწილეობა, კოლექტიური დასავლეთისათვის იმის ნიშანი იყო, რომ შეიძლებოდა, უკრაინელებისათვის ყველაფერი გაებედათ და გაუბედეს კიდეც.**

**„მთელი ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები წარმატებით ყიდულობენ სანქცირებული რუსეთისგან მილიარდობით დოლარის ღირებულების საქონელს!“**

ის, რაც დღეს უკრაინას სჭირს, უკრაინელი ხალხის შეცდომის ბრალია.

და კიდევ, **როცა სააკაშვილის გათავისუფლების საკითხსა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას ერთ სიბრტყეზე გვიყენებენ, ასეთი არც ნატო გვჭირდება და არც — ევროკავშირი!**

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, სანქციების დაწესებასთან დაკავშირებული მუქარები რეალურია თუ მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების დაშინებას ემსახურება?**

— პირდაპირ გეუბნებით, რომ **ვერც სანქციებს დაგვიწესებენ და ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრიან!** ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა სანქციები უნდა დაუწესონ საქართველოს, რომელსაც ინდუსტრია არ გააჩნია და არაფერს აწარმოებს ისეთს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება რომ სჭირდებოდეს? **ან რატომ უნდა დაგვიწესონ სანქციები, როცა მთელი ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები წარმატებით ყიდულობენ სანქცირებული რუსეთისგან მილიარდობით დოლარის ღირებულების საქონელს, რომელიც თავიანთი ეკონომიკების ფუნქციონირებისათვის სჭირდებათ?**

კიდევ ერთხელ ვამბობ:

**ძალიან სამარცხვინოა, როცა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი საქართველოს სანქცირებასა და დასჯაზე ლაპარაკობს.**

ამაზე დიდი უსუსურობის გამოვლინება ძნელი წარმოსადგენია!

თუ კოლექტიური დასავლეთი ჩვენს დასჯას მოინდომებს იმის გამო, რომ ომში არ შევეტენეთ და თავი არ გავინადგურეთ, ამისათვის ერთადერთი რესურსი გააჩნია — საკუთარი „მეხუთე კოლონის“ საშუალებით საქართველოში შიდა არეულობა მოაწყოს, თუმცა, არც ეს გამოუვათ, თუ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ხალხსა და ქვეყანას არ უღალატებს!

*ესაუბრა*
*გიორგი ძაძამია*

## „როცა სააკაშვილის გათავისუფლების საკითხსა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას ერთ სიბრტყეზე გვიყენებენ, ასეთი არც ნატო გვჭირდება და არც – ევროკავშირი!“





# ვინ იტყუება?

## ნანა კაკაბაძე



***საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი ომის დროს დაინტერესებული მხარეები სისტემატურად იტყუებიან, ვინაიდან შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვების მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობა საინფორმაციო ომის მოგებაც არის. ამაში რუსეთ-უკრაინის ომში განვითარებული მოვლენების ინტერპრეტაციაც გვარწმუნებს.***

ჯერ იყო და, **მარიუპოლის** ბრძოლებზე გვესმოდა ყოველდღიური ტყუილები: ერთი მხრივ, რუსები გვარწმუნებდნენ, რომ დღედღეზე აიღებდნენ ქალაქს, მეორე მხრივ კი, უკრაინელები ამბობდნენ — რუსები იქ ვერასოდეს შესუნავდნენ, თუმცა, საბოლოო ჯამში ვნახეთ, ვინ დაეუფლა ტერიტორიებს.

თითქმის იგივე განმეორდა **ბახმუტშიც,** რომელიც ვერ აღმოჩნდა ელვისებურად ასაღები **(როგორც რუსული პროპაგანდა აფიშირებდა)**, თუმცა, ვერც უკრაინელების დაპირება აღმოჩნდა სიმართლე, რომ ქალაქს არასოდეს დათმობდნენ.

ახლა **ახალი კახოვკის** დამბა ააფეთქეს, რუსები და უკრაინელები კი მომხდარს ერთმანეთს აბრალებდნენ. ამერიკა და ნატოც დიპლომატიურად გველაძუობს — ჯერ დეტალებს ვაზუსტებთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს მაინც რუსეთის ბრალია, რომელიც ელექტროსადგურს აკონტროლებდა, თანაც, უკრაინაში რომ არ შეჭრილიყვნენ, ეს აფეთქებაც არ მოხდებოდაო.

**ასეთ შემთხვევაში ობიექტურ ადამიანს მართებს ყველა მხარის მოსმენა და დასკვნების გამოტანა მხოლოდ ღრმა ანალიზის შემდეგ, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ არის ადვილი სწორი შეფასებების გაკეთება, რადგან, უპირველესად, დასადგენია, ვისთვის უფრო მომგებიანია ეს ფაქტი.**

მაგალითად, ახალი კახოვკის დამბის აფეთქების თაობაზე ერთი მხარე ამტკიცებს, რომ მომხდარი რუსებს უფრო აწყობდათ, მეორე მხარე კი ამას აბსურდს უწოდებს, რადგან სწორედ რუსების მიერ კონტროლირებული ქალაქებისა და სოფლების უმრავლესობა იძირება და იმავე რუსების თავში სახლელია 20 ათას ადამიანზე მეტის ევაკუაცია, რადგან მათ მიერ კონტროლირებად ყირიმს ამ ტერაქტის შედეგად წყლით მომარაგება უწყდება.

რუსული მხარის მტკიცებით, რა თქმა უნდა, ეს ტერაქტი უკრაინელებმა განახორციელეს. იგივე ითქმის უკრაინელთა მიერ ფართოდ რეკლამირებულ კონტრშეტევაზე, რომელიც, მათი მტკიცებით, ათასობით რუსი მებრძოლის დახოცვით დაგვირგვინდა, ხოლო რუსების ინფორმაციით, ყველა შეტევა მოგერიებულია და რამდენიმე დღეში 4 ათასზე მეტი უკრაინელი ჯარისკაცი იმქვეყნად არის გასტუმრებული, ნატოს მიერ გადაცემული სამხედრო ტექნიკის განადგურებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მოკლედ, დასკვნების გამოტანისას ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ნებისმიერ ომში ყველა დაინტერესებული მხარე ტოტალურად იტყუება და ყველა მეომარ ქვეყანაში ოფიციალურად დაწესებულია სამხედრო ცენზურა.

**მთავარია, დავინახოთ შედეგები. ჯერჯერობით კი შედეგი ის არის, რომ რუსეთს უკრაინის 20 პროცენტზე მეტი ისევ ოკუპირებული აქვს.**

## კვირგვინოსნები

**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო ექსპერტი*



კითხვები ევროკავშირის ელჩსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს: 1. **ევროპიდან აზიის მიმართულებით ევროპული ბორტები იყენებენ რუსეთის საჰაერო სივრცეს. ასეთი ასობით ფრენა სრულდება. რატომ უხდით რუსეთის ნავიგაციას ფულს?** 2. მესმის თქვენი, ამოკლებთ მარშრუტს, ამცირებთ ყველანაირ საავიაციო ხარჯებს, ამცირებთ ფრენის დროს, რითიც თქვენს მგზავრებს უქმნით კომფორტს და ა.შ. **მაშინ ჩვენგან რატომ ითხოვთ, რომ ჩვენმა მგზავრებმა იფრინონ ტრანზიტით, სხვა ქვეყნების გავლით?**

„იმედინიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ერთადერთი, **რაც არაევროპულია დღეს საქართველოში, ეს არის რადიკალური ოპოზიცია,** რომელიც თავისი ბუნებითაა **ბოლშევიკური** და არაფერი აქვს საერთო ევროპული ტიპის პოლიტიკასთან.

„TV იმედი“

**მიკ უოლასი**
*ევროპარლამენტარი*



ომამდე ხუთი თვით ადრე ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლომ დაადგინა, რომ **უკრაინა ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებულია,** თუმცა, სტატუსი მივეცით მას და არა — საქართველოს.

„ტვიტერი“



*მამა დავითი (ისაკაძე):*

# ბართლომეოსის ტომოსი უკრაინას ღმერთის სასჯელად დაუჯდა!

***არნახული ტრაგედია დაატყდა უკრაინას — მიწასთან გასწორებული, ნაცარტუტად ქცეული ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ასეულათასობით მოქალაქის დაღუპვა, მილიონობით ლტოლვილი, ჩამოშლილი ეკონომიკა, აფეთქებული ჰესი და წყალში ჩაძირული მოსახლეობა, აფეთქებული ამიაკის მილსადენი და ეკოკატასტროფა... ასეთ მდგომარეობაში უკრაინა დიდი სამამულო ომის შემდეგ არ ყოფილა, როდესაც, ფაქტობრივად, თავიდან აშენდა ფაშისტების მიერ დაქცეული რესპუბლიკა. სად არის ამ გლობალური ტრაგედიის მთავარი მიზეზი? —*** *„უკრაინის დღევანდელი მდგომარეობა არის დედაეკლესიისგან მოწყვეტის გამო ამ ქვეყნისთვის უფლის მიერ მოვლენილი სასჯელი. უკრაინის ფაშისტური, უსულო, ეკლესიის მდევნელი ხელისუფლების ნაბიჯების გამო მთელი ერი ნადგურდება!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავით ისაკაძემ:***

— საზოგადოება ყოველთვის ისჯება, როდესაც ცხოვრების სწორი წესისაგან და ღვთისგან განდგომილება კრიტიკულ ზღვარს აღწევს. უკრაინის ტრაგედიაც ამით არის განპირობებული! ძველ აღთქმაში მრავლად არის აღწერილი და მსოფლიო ისტორიასაც კარგად ახსოვს ღმერთთან ადამიანების გლობალური დაპირისპირების ეპიზოდები, რასაც შემზარავი კატაკლიზმები მოჰყოლია.

ასე, მაგალითად, თავის დროზე **კრეისერ „ავრორას“ ზალპით** დაიწყო კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის ღვთისგან მასობრივად განდგომის ტრაგედია, რამაც მილიონობით ადამიანი გადაიყვანა ცხონების გზიდან. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია არამარტო მეფის რუსეთის, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ,

**როდესაც ჩვენ პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღეს, 26 მაისს, ვზეიმობთ, იქვე უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მაშინდელი ლიდერები – მენშევიკები, ბოლშევიკების განაყოფები იყვნენ, რომლებიც არანაკლები ღვთის–მბრძოლობით გამოირჩეოდნენ.**

შემორჩენილია სტენოგრაფიული ჩანაწერები, სადაც ასახულია **ნოე ჟორდანიასა** და მისი თანამოაზრეების დამოკიდებულება სარწმუნოებასთან და სასულიერო პირებთან. ბოლოს მათ არამხოლოდ ეკლესია, საქართველოს ეროვნული საგანძურიც პირწმინდად გაძარცვეს და ევროპაში გაიქცნენ.

პირდაპირ გეუბნებით: **სწორედ ასეთი ორიენტაციის გამო დაეცა საქართველოს პირველი რესპუბლიკა!** სამწუხაროდ, ამჟამად პრეზიდენტად მათი ნაშიერი მოგვევლინა და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქვეყანა რუსეთთან ომში ჩაებას და უკრაინასავით განადგურდეს. **ღმერთმა ამ ეტაპზე აგვაცილა ეს ხვედრი, რადგან ხელისუფლებაშიც და ერის უმრავლესობაშიც აღმოჩნდნენ ღმერთთან, რწმენასთან, ეკლესიასთან სწორი დამოკიდებულების მქონე ადამიანები!**

**— უკრაინასთან მიმართებაში რა მოვლენამ შეასრულა „ავრორას ზალპის“ ფუნქცია?**

— **ავადსახსენებელმა ტომოსმა** შეასრულა, რომელიც მსოფლიოს (კონსტანტინოპოლის) პატრიარქმა ბართლომეოსმა გამოსცა. ბართლომეოსი, რბილად რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობასთან დანასისხლად დაპირისპირებული დასავლური აგრესიული წრეების გავლენაში იმყოფება. **მან საეკლესიო სამართალზე გადაბიჯებით იმოქმედა სხვა ადგილობრივი ეკლესიის, კერძოდ, რუსეთის ეკლესიის იურიდიულ სივრცეში; მანვე ჩამოაყალიბა დედაეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი, სქიზმატური დაჯგუფება, რომელთაგან არაერთი ერისკაცი აბსოლუტურად კანონგარეშედ აკურთხა სასულიერო პირებად და მღვდელმთავრებადაც, რისი ნათელი მაგალითიც გახლავთ უკრაინის ცრუ მიტროპოლიტი ეპიფანე, რომელიც უკრაინის სქიზმატურ დაჯგუფებას სათავეში ჩაუყენა!** შემდეგში, მიზანმიმართულად დაიწყო უკრაინის ნამდვილი, მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა, რომელსაც სათავეში უდგას ღირსეული მღვდელმთავარი, **მიტროპოლიტი ონოფრე.**

**ჩვენ, ქართველი სასულიერო პირები, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინის კანონიკურ ეკლესიას, ვლოცულობთ განსაცდელში ჩავარდნილი ჩვენი უკრაინელი ძმებისთვის, რომლებსაც თანამედროვე უკრაინელი ფაშისტები პრეზიდენტ ზელენსკის წინამძღოლობით ეკლესიებიდან დევნიან.**

ისინი აპატიმრებენ და შეურაცხყოფენ მართლმადიდებელ მოსახლეობას, ხოლო მიტაცებულ მართლმადიდებლურ ტაძრებში აშარჟებენ ნამდვილ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას; მართავენ მკრეხელურ ღონისძიებებს, შოუებსა და უზნეო პერფორმანსებს. ამის დამადასტურებელი არაერთი ვიდეომტკიცებულება არსებობს!

**— როგორ დაიწყო ეს ტრაგედია?**

— ღმერთისგან განდგომილი უკრაინის პრეზიდენტი, დასავლელი ღვთისმბრძოლი ძალების მარიონეტი **პეტრო პოროშენკო** კონსტანტინოპოლში ჩავიდა და მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქისგან მიიღო ტომოსი (საეკლესიო დადგენილება), რომლის მიხედვითაც უკრაინის ეკლესია დამოუკიდებლად ცხადდებოდა. არადა, ავტოკეფალიის აღიარებას თავისი მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმები გააჩნია.

1686 წელს მსოფლიო პატრიარქმა **დიონისე მეოთხემ** უკრაინის ეკლესიის მართვის უფლება რუსეთის საპატრიარქოს მიანიჭა და, შესაბამისად, ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადავიდა.

საეკლესიო კანონთა თანახმად, თუ მიტროპოლიას ავტოკეფალია სურს, მან შესაბამისი თხოვნით დედაეკლესიას, მოცემულ შემთხვევაში, რუსეთის საპატრიარქოს უნდა მიმართოს, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მინიჭებული ავტოკეფალია უნდა ცნოს მსოფლიოში ყველა ადგილობრივმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. **კონსტანტინოპოლის პატრიარქს არანაირი უფლება არ ჰქონდა, სხვა პატრიარქის — დიონისეს გადაწყვეტილება გაეუქმებინა!** მთავარი კი ის არის, რომ უკრაინის კანონიკური ეკლესია, რომლის უმრავლესობას უკრაინელი ეროვნების მრევლი შეადგენს — სულაც არ ისწრაფვოდა ავტოკეფალიის მისაღებად. ამისთვის იღვწოდა მხოლოდ დასავლური ორიენტაციის მქონე უკრაინის უნიატი (ერესი, მწვალებლობა) **პრეზიდენტი პოროშენკო,** უკრაინის რადა და უკრაინის კანონიერ მიტროპოლიასთან განხეთქილებაში მყოფი ორი ჯგუფი: 1. კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (ასე უწოდებენ თავიანთ დაჯგუფებას), რომელიც 1992 წელს საეკლესიო სამართლის სრული დარღვევით გამოეყო რუსეთის ეკლესიას და აქედან გამომდინარე, მიტროპოლიტი ფილარეტი (დენისენკო) ანათემას გადაეცა; 2. უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც 1921 წელს



**„ბართლომეოსს პასუხს მოსთხოვს დიდი საეკლესიო კრება და თუ ასეთი კრება არ ან ვერ შედგება, იგი უმკაცრესად მაინც განისჯება, ოღონდ უკვე უფლის სამსჯავროზე და ღმერთმა დაიფაროს ყველა ადამიანი ასეთი მძიმე ხვედრისგან!“**

**კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებასთან დაკავშირებული ტომოსის ხელმოწერისას**

## კვირგვინოსნები

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



დღეს ხელისუფლება **არც პროდასავლურ და არც პრორუსულ** პოლიტიკას არ აწარმოებს, ის აწარმოებს საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე მორგებულ პოლიტიკას, რასაც **პროქართულად** წარმოადგენს.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის პრემიერობის კანდიდატად დასახელებამ** შესაძლოა, პირიქით, ცუდი სამსახური გაუწიოს ნაცმოძრაობას. იმ ვერსიამ, რომ **სააკაშვილი ისე იყო დაუძლურებული, ფეხზე დგომა არ შეეძლო, ძირს ვარდებოდა და გონებას კარგავდა,** სტრასბურგის ფილტრი ვერ გაიარა.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**ამათ მურუსიძე და კანდიდატის სტატუსი** ერთდროულად უნდათ?! არ გამოვა!

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



**უვიზო რეჟიმი, ორმხრივი პირდაპირი ფრენები, კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა** უნდა იყოს მეზობელ სახელმწიფოებს შორის, ამაში ცუდი არაფერია.

„ალია“

**გიორგი მელქონიძე**
*ანალიტიკოსი*



ნუ გვექნება ილუზია, რომ **რუსეთს მოფერებით და დაყვავებით აფხაზეთსა და ცხინვალს დავათმობინებთ** ან ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოსპობაზე ვათქმევინებთ უარს.

„კვირის პალიტრა“

საბჭოთა ხელისუფლების ხელდასხმით შეიქმნა, მაგრამ შემდეგ, ფაშისტურ გერმანიასთან, ფაშისტებთან კავშირის გამო საბჭოთა ხელისუფლების მიერვე იდევნებოდა და ამის გამო თავიანთ თავს **ლატაკომბური ეკლესია** უწოდეს.

**ბართლომეოსის მიერ ტომოსის გამოცემა და უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლად აღიარება ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევაა, რაც შეიძლება რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ეკლესიის „დამოუკიდებლად“ აღიარება ყოფილიყო.**

რა თქმა უნდა, რუსეთის ეკლესიას უფლება არა აქვს, სხვა ქვეყნის ეკლესიის შინაურ საქმეში ჩაერიოს და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აკი, ამას არც აკეთებს, იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს და აღიარებს მის მიერვე ოკუპირებული აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“.

ახლა კი ავტოკეფალიის ლეგიტიმური აღიარების მაგალითს მოვიყვან: ცოტა ხნის წინ მაკედონიის ეკლესიას, რომელიც მანამდე სერბეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ავტოკეფალია მიენიჭა. მაკედონიის ეკლესიის დამოუკიდებლობა თავად სერბეთის ეკლესიამ, შემდეგ კი სხვა მართლმადიდებელმა ადგილობრივმა ეკლესიებმაც აღიარეს. საეკლესიო სამართლის ფარგლებში, უკრაინაშიც ანალოგიურად უნდა მომხდარიყო და არა იმგვარად, როგორც დასავლეთის ანტიქრისტიანული ძალების მარიონეტმა ბართლომეოსმა იმოქმედა!

**— რა სასჯელი ელის ამის გამო მსოფლიო პატრიარქს?**

— მსგავს საკითხებს მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული კანონები არეგულირებენ. მსოფლიო ეკლესიის ისტორიას ახსოვს არაერთი შემთხვევა, როცა პატრიარქებიც ცდებოდნენ, თუმცა, მართლმადიდებლობას ინარჩუნებდნენ უბრალო ბერ-მონაზვნები. ეკლესიაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა ხარისხი ან იერარქიული დონე აქვს პიროვნებას... არამედ პრიორიტეტია სიმართლე, რომელიც განისაზღვრება საეკლესიო სამართლითა და დიდი სჯულისკანონით. კონკრეტული პირები, ვინც დიდ სჯულისკანონს არღვევდნენ, საეკლესიო კრებების დადგენილებებით მკაცრად ისჯებოდნენ. თუ ასე არ ხდებოდა, ეკლესიაზე და ერზე გადმოდიოდა ღვთის რისხვა. **დიახ, ბართლომეოსს პასუხს მოსთხოვს დიდი საეკლესიო კრება და თუ ასეთი კრება არ ან ვერ შედგება, იგი უმკაცრესად მაინც განისჯება, ოღონდ უკვე უფლის სამსჯავროზე და ღმერთმა დაიფაროს ყველა ადამიანი ასეთი მძიმე ხვედრისგან!**


კახოვკის ჰესის აფეთქების შედეგი: წყალში ჩაძირული დასახლება ხერსონის ოლქში




**— ასეთი დარღვევებით „მოპოვებულ“ უკრაინის „დამოუკიდებელ“ ეკლესიას მადლი გააჩნია?**

— არანაირი მადლი იქ არ არის! ისინი არიან ღვთისგან განდგომილი ადამიანები და, სამწუხაროდ, მწყობრად მიემართებიან ჯოჯოხეთში! მართლმადიდებლებს მათთან ერთად ლოცვის უფლებაც არა გვაქვს! კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გარდა, ოფიციალურად, არავის უღიარებია მათი ცრუ ეკლესიის „ავტოკეფალია“, თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როცა სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენლებს სქიზმატებთან ერთობლივად ულოციათ, რაც, ვიმეორებ, თავის მხრივ, ძალიან დიდი დარღვევაა და მორწმუნეთა მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყოლია. პირდაპირ გეუბნებით — **უკრაინელ მართლმადიდებელ მრევლში განხეთქილება არ არსებობს. უკრაინელი მართლმადიდებლების აბსოლუტური უმრავლესობა დარჩა დედაეკლესიის წიაღში, რომელსაც სათავეში მიტროპოლიტი ონოფრე უდგას.** ბართლომეოსის მიერ საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევებით აღიარებულ სქიზმატურ ეკლესიაში კი ერთიანდება დასავლეთ უკრაინის მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც საერთოდ არ არიან მორწმუნეები, არამედ, უნიატები და უღმერთონი არიან, ხოლო სქიზმატურ ეკლესიასთან და მის წინამძღოლ **ეპიფანესთან** პოლიტიკური ნიშნით არიან დაკავშირებული. თავის მხრივ, ეპიფანეს მფარველობს დასავლეთის ანტიქრისტიანული ძალების მარიონეტი კონსტანტინოპოლის (იგივე მსოფლიოს) საპატრიარქო.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დასავლეთის გავლენაში ყოფნის ტრადიცია გაცილებით ადრიდან იღებს სათავეს: ბართლომეოსის წინამორბედი **ათინაგორა,** რომელიც მწვალებლური ეკუმენისტური მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი ბრძანდებოდა, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა მას შემდეგ, რაც კანონიერი პატრიარქი უხეში ჩარევით გადააყენეს, 1949 წლის 26 იანვარს სპეციალური თვითმფრინავით სტამბოლში ჩამოიყვანეს და კონსტანტინოპოლის პატრიარქად გაამწესეს! გეტყვით იმასაც, რომ 2016 წლის ივნისში გამართულ კრეტის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იყო მცდელობა, მიეღოთ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგო კანონები. **ამას არ დაეთანხმნენ და ხელი არ მოაწერეს სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიის, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა.** მსოფლიოს მართლმადიდებელი საზოგადოება აღაშფოთა ფაქტმა, რომ კრეტის კრების მიმდინარეობას აკონტროლებდნენ ამერიკული სპეცსამსახურები, მათ შორის, ამერიკის მოქალაქე ბერძნული წარმოშობის ქალბატონი!


უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ეპიფანე

**— რით აიხსნება მართლმადიდებელი სარწმუნოების წინააღმდეგ აგრესიული დასავლური წრეების მხრიდან გამოცხადებული ომი?**

— სატანისტური ხროვის, ანტიქრისტიანული ძალების წინაშე მართლმადიდებელი ეკლესია არის და ქრისტეს მეორედ მოსვლამდე რჩება ერთადერთ დაუმორჩილებელ ციტადელად! როგორც წმინდა წერილი ღაღადებს, **„...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და, ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“** (მათე 16,18). უკრაინელი და ყველა სხვა ხალხების გადარჩენის გასაღები მართლმადიდებელი სარწმუნოების წიაღში დაბრუნებაში მდგომარეობს. იმედია, უკრაინის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია, მისი სასულიერო პირები, თუნდაც სიკვდილის რისკით, გააგრძელებენ ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებას.

მართლმადიდებელი სარწმუნოების, როგორც ქვაკუთხედის, წინააღმდეგ ომში ჯერ არავის გაუმარჯვია. დაე, ყველას ახსოვდეს სახარებისეული შეგონება: **„ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა. ყველა, ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაიმტვრევა, ხოლო, ვისაც ის დაეცემა, გასრესს“!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ნაკაშიძე**
*მსახიობი*



დღეს ბევრი რამ არ მომწონს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ **ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ომი არ მოხდეს.** მივმართავ ოპოზიციას: არ შეიძლება ახლა ისარი ესროლო ადამიანებს, რომლებმაც **ჩემზე და თქვენზე უკეთესად იციან, ამ სიტუაციაში როგორ მოიქცნენ და ომი ააცილონ საქართველოს.**

„კვირის პალიტრა“

**მაკა ჩიკვილაძე**
*გიორგი ანწუხელიძის მეუღლე*



**გიორგის სახელი ცოცხალია, ყოველდღე მესმის, მასზე ყოველდღე ვლაპარაკობთ.** შეიძლება, სოციალურ ქსელში ვნახო ინფორმაცია მის შესახებ, ტელევიზორში მოვუსმინო, გაზეთში წავიკითხო და ასეთი ადამიანი ყოველთვის ცოცხალია. **მე არ მტოვებს განცდა, რომ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად გვერდით არ მყავს. დამიჯერეთ, გიორგი ჩვენ გვერდით არის.**

„თბილისელები“

**თამარ კორძაია**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 26 აპრილამდე **საქართველოში რუსეთის მოქალაქეებზე გასხვისდა 424 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი მიწა, დარეგისტრირდა 8832 ინდმეწარმე, 889 იურიდიული პირი** — ეს სტატისტიკა საკმაოდ დიდია პატარა ქვეყნისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



იმის თქმა, რომ საქართველო **თავიდან ბოლომდე გადართულია რუსულ ბაზარზე,** უსაფუძვლოა. გვჭირდება **ფრთხილი პოლიტიკა,** რათა ჯერ გადავარჩინოთ და მერე გავზარდოთ ის რესურსები, რაზეც ჩვენი კეთილდღეობა და უსაფრთხოებაა დამოკიდებული.

„კვირის პალიტრა“

# ხაბეიშვილსა და ნაცსექტას გასაღები აქვთ დაკარგული!

*„ერთი ადგილის" გასაღები დაკარგა! — **იტყვიან ძალიან მთვრალ კაცზე, რომელიც გონზე აღარ არის და საკუთარ საქციელს ვეღარ აკონტროლებს. ამ სკაბრეზული იდიომის კორექტული ფორმით გამოყენება ოსტატურად მოახერხა მომღერალმა „უცნობმა" თავის ერთ პოპულარულ სიმღერაში, სადაც ჟღერს ფრაზა —** „სიმთვრალეში დამეკარგა გასაღები".*

ჰოდა, წინამდებარე წერილში უნდა ვისაუბროთ **ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელმაც გასაღები საბოლოოდ მაშინ დაკარგა, როცა გვამების შემგროვებელმა ვანო მერაბიშვილმა და ქართული ჯარის გამძარცველმა დავით კეზერაშვილმა თავმჯდომარედ თავიანთი ხელისბიჭი ლევან ხაბეიშვილი დაუსვეს.**

თუმცა, ხაბეიშვილი, რომელსაც **გასაღები ჯერ კიდევ მანამდე ჰქონდა დაკარგული,** სანამ მერაბიშვილი და კეზერაშვილი ნაცსექტის თავმჯდომარედ გაამწესებდნენ, ამტკიცებს, რომ **ხელისუფლების შეცვლის გასაღები** სწორედ მას უპყრია ხელთ. იგი დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც **გასაღები ასევე დაკარგული აქვთ,** ნაციონალური მოძრაობის ქოლგის ქვეშ გაერთიანებისაკენ მოუწოდებს და ჰპირდება, რომ **ხელისუფლების შესაცვლელი გასაღების** დუბლიკატებს დაურიგებს.

კერძოდ, აი, რას აცხადებს **გასაღებდაკარგული ხაბეიშვილი:**

> ***„ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რუსული პარტიის წინააღმდეგ მთავარი დამარცხების გასაღები ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ჩვენთან უნდა ისაუბროს ყველამ. მოვიდნენ და თუ უნდათ, მივეხმარებით ამ გასაღების გადამრავლებაში, რომ 5-7 პროცენტი მიიღონ, რათა ხვალ, ზეგ იყოს კოალიციური მთავრობა".***

ცხადია, **ხაბეიშვილს** უნდოდა, ეთქვა — **ივანიშვილის დამარცხების გასაღები** ნაცმოძრაობას აქვსო, მაგრამ საკუთარმა ქვეცნობიერმა ათქმევინა ის, რასაც გულის სიღრმეში ფიქრობს — **ნაცმოძრაობას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხების გასაღები აქვსო!**

დაუკვირდით: ხაბეიშვილმა თქვა, რომ ნაციონალურ მოძრაობას აქვს **გასაღები,** თუ როგორ უნდა დამარცხდეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში!

არ დაიზაროთ და კიდევ ერთხელ, უფრო კარგად დაუკვირდით, რა განაცხადა ნაცმოძრაობის თავმჯდომარემ — **ჩვენ გვაქვს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დამარცხების მთავარი გასაღებიო!** ე.ი. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა დავმარცხდეთ ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაშიო! ჩვენ გვაქვს იმის რესურსი, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა წავაგოთო!

ჯერ მარტო აქედანაც ჩანს, რომ **ხაბეიშვილს გასაღები აქვს დაკარგული,** ანუ ისეა არეული და გზააბნეული, რომ საკუთარ აზრებსა და სიტყვებსაც ვერ აკონტროლებს.

ზოგადად, ხაბეიშვილის მიერ ნათქვამ სიტყვას და ბუზის მიერ „ჰაერის გაფუჭებას" ერთნაირი ფასი რომ აქვს, ეს ისედაც კარგად ცნობილი და ბევრჯერ დამტკიცებული ფაქტია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, ნაცმოძრაობის თავმჯდომარის შიდაპარტიულ არჩევნებამდე გულზე მჯიღს რომ იცემდა — თუ საჭირო გახდა, კლინიკა „ვივამედს" შტურმით ავიღებ და სააკაშვილს პუტინის ტყვეობიდან ფიზიკურად გამოვიხსნიო, მაგრამ დღეს ბელადის მხარდასაჭერად ქუჩაში ერთი ქელეხის სამყოფი ხალხიც ვერ გამოჰყავს.

თუმცა, ხაბეიშვილმა ახლა რაც თქვა — **ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხების მთავარი გასაღები ნაციონალურ მოძრაობაში დევსო** — ეს აბსოლუტურად მართალია!

დიახ, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების" წინააღმდეგ ბრძოლაში ოპოზიციის დამარცხების მთავარი ფაქტორი სწორედ **გასაღებდაკარგული ნაციონალური მოძრაობა,** რომელიც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ჭირის დღესავით ეჯავრება და ხელისუფლებაში მის დაბრუნებას არასოდეს დაუშვებს!

ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" იმდენჯერ მოიგებენ არჩევნებს, რამდენჯერაც მათი მთავარი კონკურენტი და საპირწონე ნაციონალური მოძრაობა იქნება!

ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" ნებისმიერ არჩევნებში პირწმინდად დაამარცხებენ მთელ ოპოზიციურ სპექტრს, რომელიც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელის — ნაციონალური მოძრაობის ფრთებქვეშ ან ზურგს უკან მოიყრის თავს!

შესაბამისად, **გასაღებდაკარგული ხაბეიშვილის** მიერ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისათვის შეთავაზებული ფორმულა — **თუ გინდათ, არჩევნებში წარმატებას მიაღწიოთ, ნაცმოძრაობასთან გაერთიანდითო** — ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად, „ქართული ოცნების" გამარჯვების ფორმულაა!

ეს **გასაღებდაკარგულმა ოპოზიციურმა პარტიებმაც** მშვენივრად იციან და ამიტომაც არის, რომ **ხაბეიშვილის** შეთავაზებისაგან ყველა მათგანმა შორს დაიჭირა თავი, თუმცა, **ხაზარაძის** „ლელოც", **ვაშაძის** „სტრატეგია აღმაშენებელიც", **ჯაფარიძის** „გირჩიც", **ხოშტარიას** „დროაც" და **ელისაშვილის** „მოქალაქეებიც" იმ მდგომარეობაში არიან, რასაც წინ — წყალი და უკან მეწყერი ჰქვია. ისინი ვერც ნაცმოძრაობასთან გაერთიანებით ეღირსებიან არჩევნებში წარმატების მიღწევას და ვერც ნაცმოძრაობასთან გაერთიანების გარეშე შეძლებენ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას.

და, საერთოდ,

**ის 15 ოპოზიციური პარტია, რომელმაც ე.წ. ლგბტ მანიფესტს მოაწერა ხელი, დაკარგულ გასაღებს ვეღარასოდეს იპოვის!**



## ლევან ხაბეიშვილი:

## ივანიშვილის წინააღმდეგ დამარცხების გასაღები ნაციონალურ მოძრაობას აქვს!

**ხაბეიშვილს უნდოდა, ეთქვა — ივანიშვილის დამარცხების გასაღები ნაცმოძრაობას აქვსო, მაგრამ საკუთარმა ქვეცნობიერმა ათქმევინა, რომ ნაცმოძრაობას აქვს გასაღები, თუ როგორ უნდა დამარცხდეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში!**





**გასაღებდაკარგული ხაბეიშვილის მიერ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისათვის შეთავაზებული ფორმულა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად, „ქართული ოცნების" გამარჯვების ფორმულაა!**

ცხადია, **დაკარგულ გასაღებს** ვერც აფერისტი და პოპულისტი **ლევან ხაბეიშვილი** მიაგნებს, რომელიც ამასწინათ მეტროში ჩავიდა — ვითომ „უბრალო ხალხის" ნაწილი ვარ და „ჩვეულებრივი მოქალაქის" ცხოვრებით ვცხოვრობო, სინამდვილეში კი სახლიდან თუ ოფისიდან დაცვის გარეშე ვერ გადის, ვინმემ **გასაღებდაკარგულ ადგილას** პანჩური რომ არ ამოჰკრას!

**დაკარგული გასაღების ძიებაში ხაბეიშვილი კიდევ ბევრგან მივა, შევა და ჩავა, მაგრამ ვერაფრით ამოვა იმ პოლიტიკური ქაქიდან, რომელშიც ის და მისი პარტია ყელამდე არიან ჩავანოებულ-ჩაკეზერებული!**

*ჯაბა ხუბუა*

# გენერალისიმუსი

№31 (199) ★ 2023 წლის 12 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან


# კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის სტალინური ეპოპეა დასრულდა!

***უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი უკმაყოფილოა იმით, რომ მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ხელაღებით არ ადანაშაულებენ რუსეთს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებაში და არ აძლევენ ამ ფაქტს „რუსული ტერაქტის“ კვალიფიკაციას.***






**აი, რა განაცხადა ზელენსკიმ 2023 წლის 10 ივნისს:** *„სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ მსოფლიოში ზოგიერთ დონეზე სამარცხვინო გულგრილობაა ეკოციდთან და ადამიანურ ტრაგედიასთან მიმართებაში, რომელიც კახოვკის ჰესზე რუსულმა ტერაქტმა გამოიწვია. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც გლობალურ მასშტაბში უნდა იცავდნენ სიცოცხლეს, ერთი კვირის განმავლობაშიც ვერ ახერხებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამაშველო მისიის ფორმირებას და გაგზავნას, ზოგიერთი მსოფლიო სუბიექტი ვერ ბედავს თუნდაც მკაფიო და ძლიერი განცხადებებით გამოსვლას, რომლებიც ამ მორიგ რუსულ სამხედრო დანაშაულს დაგმობდნენ“.*

სანამ უკრაინა და რუსეთი **კახოვკის ჰესის** აფეთქებაში ერთმანეთს ადანაშაულებენ და სანამ უტყუარად იქნება დადასტურებული, კონკრეტულად ვინ ან რამ გამოიწვია ეს ტექნოგენური კატასტროფა, ეკოლოგიის სპეციალისტები და გარემოს დამცველები იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც შავი ზღვისპირა ქვეყნებს ელის. მაგალითად, **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ყოფილი მინისტრი, ბიოლოგი ნინო ჩხობაძე** აცხადებს: *„ეს არ ეხება მარტო ორ ქვეყანას — რუსეთსა და უკრაინას. ეს შეეხება შავი ზღვის მთელ სანაპიროს, რაღაც მომენტში ჩვენც შეგვეხება... მტკნარი წყლის ძალიან დიდი ნაკადი შევიდა შავ ზღვაში, რომელიც არის დაბინძურებული შხამქიმიკატებით. დარწმუნებული ვარ, დასახლებულ პუნქტებში ნავთობის მარაგებიც იყო, ჩვეულებრივი ბენზინგასამართი სადგურები... ყველაფერს გამორეცხავდა წყალი, ნაღმებიც შემოვიდოდა... ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით კატასტროფის მასშტაბები, რაც დადგება ყველა იმ სახელმწიფოში, რომელიც შავი ზღვის გარშემოა“.*

**კახოვკის ჰიდროელექტროსადგური,** რომელიც დნეპრის ჰიდროელექტრონაგებობათა კასკადის ბოლო, ქვედა საფეხურია, მდებარეობს ხერსონის ოლქის ქალაქ **ნოვაია კახოვკადან** 5 კილომეტრში. **საბჭოთა ინდუსტრიის ეს გიგანტი, რომელსაც სამართლიანად ეწოდა „კომუნიზმის დიადი მშენებლობა“, აიგო 1950-1956 წლებში.** მშენებლობის განკარგულება გაიცა სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 20 სექტემბერს, **სტალინის გარდაცვალებამდე ორწლინახევრით ადრე.** კახოვკის ჰესის მთავარ ინჟინრად დაინიშნა **პეტრო ნეპოროჟნი,** რომელიც 1962-1985 წლებში საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრი იყო.

**წყალსაცავის შევსება დაიწყეს ბელადის გარდაცვალებიდან 2 თვეში — 1953 წლის 23 მაისიდან. წყლის ქვეშ აღმოჩნდა 100-მდე დასახლებული პუნქტი, ათეულათასობით მოსახლე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იძულებით გაასახლეს სხვადასხვა მიმართულებით.**

1955-1956 წლებში **კახოვკის ჰესის წყალსაცავმა** დატბორა ე.წ. **„ველიკი ლუგი“,** რომელსაც უკავშირდება **„ზაპოროჟიეს სეჩის“** ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლები. წყალქვეშ აღმოჩნდა დნეპრისპირეთის 257 ათასი ჰექტარი — უაღრესად ნაყოფიერი მიწებითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.

**კახოვკის ინდუსტრიული გიგანტის ექსპლუატაციაში გაშვება გასული საუკუნის 50-იან წლებში იყო ნამდვილი ტრაგედია ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ხერსონის სოფლების დატბორვამ 70 წლის წინათ ჯოჯოხეთად აქცია ადამიანების ცხოვრება.** წყლის დონემ დნეპრში 16 მეტრით აიწია. მოგვიანებით, როცა **ხრუშჩოვმა ჩრდილოყირიმის არხი** გახსნა, ვერავინ იფიქრებდა, რომ კახოვკის ზღვიდან წყლის ინტენსიური აორთქლებისა და ნაპრალებიდან თითქმის 40-პროცენტიანი დანაკარგის გამო, ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, **წყლის მარაგის შესავსებად კვლავ წყალში გადაეყარა კოლოსალური თანხები** და დნეპრის სათავეებში შეექმნა კიდევ ოთხი არარენტაბელური წყალსაცავი, რომელიც დამოკლეს მახვილივით დაეკიდა მოსახლეობის თავზე. და აი, შედეგიც — **ბუნებასთან გაუმართლებელი ბრძოლა დამთავრდა კატასტროფით, რომელშიც, სამწუხაროდ, ადამიანის ხელიც ჩაერია.**

**კახოვკის ჰიდროელექტროსადგური,** რომელსაც ერთად აგებდა საბჭოთა ხალხი და, უპირველესად, რუსი და უკრაინელი მშრომელები, 2023 წლის 6 ივნისიდან **აღარ არსებობს.** გადამთიელთა მიზანი მიღწეულია — **პოლიტიკურმა ინტრიგებმა წალეკა ნდობა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც სტალინური აღმშენებლობის დიად ეპოპეას ქმნიდნენ!**



**2023 წლის 6 ივნისი. კახოვკის ჰესის აფეთქება**



**1941 წლის 18 აგვისტო დნეპროჰესის აფეთქება**

**ამ ორ ფოტოს ერთმანეთისგან 82 წელი აშორებს.**
*მარცხნივ* — **დნეპროჰესის კაშხლის** აფეთქება გერმანელი ფაშისტების შემოტევის შესაჩერებლად;
*მარჯვნივ* — **კახოვკის ჰესის კაშხლის** აფეთქება...



# სვიმონ მასხარაშვილი:



## გერმანიის გაერთიანების იდეა „მეგრელთა საქმესთან“ ერთად იქცა ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რის გამოც ლავრენტი ბერია 1953 წლის 26 ივნისს გაანადგურეს!



**„1953 წლის 24 ივნისს, ლიკვიდაციამდე ორი დღით ადრე, ბერია ნამდვილად მოსკოვში იყო! არის ვერსია, რომ ის 22 ივნისსაც მოსკოვში გახლდათ...“**

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ბერიას „ასდღიანი მმართველობის“ კულმინაციური ეტაპის, კერძოდ, 1953 წლის ივნისში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საეჭვოდ აგორებული იმ საპროტესტო მოძრაობის შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც გერმანიის გაერთიანებას ძირი გამოუთხარა და ლავრენტი პავლოვიჩის კარიერა და სიცოცხლე შეიწირა:***

— 1949 წლის 7 ოქტომბრიდან მოყოლებული, რაც საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, აღმოსავლეთ გერმანიის საბოლოოდ გაკომუნისტების მიზნით, დაიწყო იძულებითი კოლექტივიზაცია, შემოიღეს გეგმები, დაიწყო ქვეყნის ქონების ნაციონალიზაცია და მუშებისთვის ხელფასის შემცირება. მთელი ოთხი წლის განმავლობაში, 1953 წლის აპრილამდე, ვიდრე ლავრენტი ბერიას „ასდღიანი მმართველობა“ არ დამყარდა, სწორედ ასე გრძელდებოდა... ამის გამო 1949 წლიდან 1953 წლის აპრილამდე გერმანიაში პერმანენტულად იმართებოდა გაფიცვები, რათა ხორცზე, ხელოვნურ თაფლსა და სხვა პროდუქტებზე ფასები აღარ გაზრდილიყო. მუშები აპროტესტებდნენ სამუშაო დღის გაზრდას და ხელფასების შემცირებას, მაგრამ ივნისში ამ პროტესტმა ერთობ უცნაური და საეჭვო ფორმები მიიღო.

ყველაფერი დაიწყო 1953 წლის 9 ივნისს, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ძალის — „გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის“ პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. პრეზიდიუმმა ლავრენტი ბერიასთან კონსულტაციების შედეგად დაადგინა შემდეგი:

*1. დაუყოვნებლივ შეწყდებოდა გეგმების გაზრდა და ხელფასების შემცირება;*

*2. გათავისუფლდებოდა ყველა ის პირი, რომელიც „სპეკულანტობის ბრალდებით“, კერძო ვაჭრობისა და კერძო მეწარმეობის გამო დააკავეს;*

*3. საწარმოს ხელმძღვანელები, რომლებიც „კაპიტალისტობის“ ბრალდებით რეპრესიებში მოაყოლეს, დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ადგილებს;*

*4. კერძო საკუთრება დაუბრუნდებოდა ყველა იმ გერმანელს, რომელიც ქვეყნის დასავლეთ ნაწილში იყო გაქცეული და ქონება და საწარმოო საშუალებები ჩამორთმეული ჰქონდა;*

*5. დაუყოვნებლივ შეწყდებოდა იძულებითი კოლექტივიზაცია...*

**— ეს ხომ ე.წ. სოციალისტურ კურსზე უარის თქმას ნიშნავდა?**

— დიახ, სწორედ ამას ნიშნავდა და **ლავრენტი ბერიაც** სწორედ ამას შეეწირა!

**— ანუ ლავრენტი ბერია იყო ამ ყველაფრის ინიციატორი?**

— დიახ, ბერია იყო ამ ყოველივეს ინიციატორი, რადგან სწორედ ბერიასთან შეთანხმდა თითოეული ეს პუნქტი! ეს დადგენილება დემოკრატიული გერმანიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და პარტიის პრეზიდიუმმა მიიღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1953 წლის ივნისის დასაწყისში აღმოსავლეთ გერმანიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ოტო გროტევოლმა,** პრეზიდენტმა **ვილჰელმ პიკმა** და სახელმწიფო საბჭოს მომავალმა თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტმა** მოსკოვში ლავრენტი ბერიასთან კონსულტაცია გაიარეს. 1953 წლის 11 ივნისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარ სამთავრობო გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ ეს დადგენილება გამოქვეყნდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჟურნალისტი, რომელმაც ეს წერილი დაწერა, გახლდათ **რუდოლფ ჰერშტადტი,** რომელიც არ ყოფილა არც მარქსისტული წრეების წარმომადგენელი და არც ნაცისტი, პირიქით, ებრაელი იყო და ჰოლოკოსტის მსხვერპლი.

ამ უმნიშვნელოვანესი სტატიის დედაარსი ის გახლდათ, რომ დიადი გერმანიის გასაერთიანებლად ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო! კერძოდ, უნდა განვითარებულიყო კერძო წარმოება, კერძო საკუთრება და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მაქსიმალურად ახლო კონტაქტი დამყარებულიყო!

1953 წლის 11 ივნისს გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ გამოქვეყნებულ ამ წერილს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმოდენა რეზონანსი მოჰყვა, გაზეთის ტირაჟი მაშინვე დაიტაცეს და შავ ბაზარზე გაზეთის ერთი ეგზემპლარი ოცდაათჯერ უფრო ძვირად იყიდებოდა. 11 ივნისის შემდეგ ხელისუფლებამ დააკმაყოფილა გაფიცული მუშების მოთხოვნები და თანამდებობებზე მართლაც დააბრუნა საწარმო-დაწესებულებების ის ხელმძღვანელები, რომლებიც რეპრესიებში მოჰყვნენ. **ამ ყველაფერმა გააჩინა ცრუ მოლოდინები და აგორდა ჭორები, თითქოს საბჭოთა საოკუპაციო ჯარები აღმოსავლეთ გერმანიიდან გადიოდა და ამერიკის ჯარი შემოდიოდა, თითქოს ხელისუფლება შეშინდა და უკან დაიხია... სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯები გადადგა კრემლთან, კონკრეტულად, ლავრენტი ბერიასთან შეთანხმებით.**

**— რაც შეეხება გერმანიიდან საბჭოთა ჯარის გაყვანას?**

— აღმოსავლეთ გერმანიიდან წითელი არმია რომ უნდა გამოსულიყო, ამ აზრს სტალინიც ემხრობოდა და ბერიაც, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ამერიკის ჯარიც დატოვებდა. 1953 წლის 9 ივნისის სამთავრობო დადგენილებას ამერიკული რადიო და პრესა ამერიკის ხელისუფლების გამარჯვებად აცხადებდა, რითიც შეერთებული შტატები ბერიას მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს და გერმანიის მოსახლეობასაც აგულიანებდა, რათა ანტისაბჭოთა გამოსვლები დაეწყოთ!

**— საინტერესოა, სინამდვილეში რა ხდებოდა 1953 წლის ივნისში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ბერიას ბანაკი როგორ შეხვდა საპროტესტო ტალღას?**

— ამ მხრივ ძალიან საინტერესოა უშიშროების პოლკოვნიკის, ბერიას ერთგული თანამებრძოლის, ტამბოველი რუსის **ივან ანისიმეს ძე ფედეიკინის** მიერ შედგენილი ანალიზი-რაპორტი, რომელშიც წერია, რომ არავითარი ანტისაბჭოთა და სტალინის, ბერიასა და კომუნისტური პარტიის საწინააღმდეგო ლოზუნგები გერმანელ დემონსტრანტებს 1953 წლის ივნისის აქციებზე არ ჰქონიათ, სამაგიეროდ, ისინი უკმაყოფილებას არ მალავდნენ გერმანელი კომუნისტების, ადგილობრივი მმართველი ფენის მიმართ, რომლებიც დანაპირებს და დადგენილებით გათვალისწინებულ პუნქტებს მყისიერად არ ასრულებდნენ. მთავარი ის არის, რომ **ფედეიკინის** მიერ შედგენილი რაპორტი-ანალიზი თავიდან ბოლომდე საბჭოთა დაზვერვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეფუძნებოდა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ იმ საპროტესტო აქციებში დასავლეთ ბერლინის, ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობაც მონაწილეობდა, მაგრამ ხაზგასმით მართლაც შეიძლება იმის თქმა, რომ ანტისტალინური, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური მოწოდებები იქ არ ყოფილა!

პროტესტი გამოიწვია კონკ-



1953 წლის ივნისის საპროტესტო გამოსვლები ბერლინში

## „1953 წლის ივნისში ბერლინში დაწყებული საპროტესტო აქციების უკან სინამდვილეში მიხეილ სუსლოვი და გიორგი მალენკოვი იდგნენ!“

რეტული გერმანელი კომუნისტი მაღალჩინოსნების უუნარობამ და უქნარობამ. ამით 1953 წლის 9 ივნისს დაწყებული პროტესტი, რომელიც დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, რადიკალურად განსხვავდებოდა 1956 წელს — უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხეთში, კერძოდ, პრაღაში, განვითარებული მოვლენებისგან, როცა საბჭოთა ტანკებს ხალხი დაუპირისპირდა და სისხლი დაიღვარა.

**ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატები და მის მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და არასწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ, ყველაფერი ისე წარმოეჩინათ, თითქოს მთელი აღმოსავლეთ გერმანია სტალინის, ბერიასა და საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ აღდგა. მოგვიანებით ამასვე იმეორებდნენ ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური ხაზის მიმდევარი ისტორიკოსებიც, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა...**

**— მაშ, რა მოხდა და რატომ გახდა ბერლინში ბერიას სასწრაფოდ ჩასვლა საჭირო? საერთოდ, ისიც გასარკვევია, როდის ჩავიდა ან, საერთოდ, ჩავიდა თუ არა ბერია ბერლინში?**

— მოხდა ისე, რომ გერმანიაში დაწყებულ საპროტესტო მოძრაობას საეჭვოდ მიეტმასნენ პროვოკატორები და დაიწყეს მოსახლეობაში ხმების გავრცელება, თითქოს საბჭოთა ჯარი ბერლინიდან გადიოდა და მის ნაცვლად ამერიკის ჯარი უნდა შემოსულიყო. როგორც ჩანს, ვიღაცას გერმანიაში ბერიას სცენარით მოვლენების განვითარება ხელს არ აძლევდა. ის, რაც 1953 წლის 11 ივნისს „ნოიეს დოიჩლანდში" გამოქვეყნდა, ქმნიდა იმის მყარ გარანტიას და საფუძველს, რომ გერმანია გაერთიანებულიყო. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პროფკავშირულ გაზეთში ხალხის გამაღიზიანებელი კონკრეტული სტატიები, წესით, არ უნდა გამოქვეყნებულიყო და კონკრეტული გერმანელი ჩინოვნიკები, რომელთა კონტროლიც საბჭოთა სპეცსამსახურებს ძალიან კარგად გამოსდიოდათ, ასე პროვოკაციულად არ უნდა მოქცეულიყვნენ! **როგორც ჩანს, ამ პროვოკაციის წყარო გერმანიაში კი არა, სულ სხვაგან, კერძოდ, კრემლში იყო და საშიშ სპექტაკლს ლავრენტი ბერიას მოწინაალმდეგენი აწყობდნენ.**

1953 წლის 13-14 ივნისიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩაირთო ბერიას მოწინაალმდეგეთა მანქანა, რომლის მიზანიც არა გერმანიის განახლება, გაერთიანება და 9 ივნისის დადგენილების ცხოვრებაში უსწრაფესად გატარება, არამედ ამ პროცესის ჩაგდება და ძირის გამოთხრა იყო! ხაზგასმით ვაცხადებ — **1953 წლის გაზაფხულზე გერმანიის გასაერთიანებლად იდეალური სიტუაცია შეიქმნა!** არადა, თუ ლავრენტი ბერიას ინიციატივით გერმანია გაერთიანდებოდა და ნეიტრალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა, მაშინ ლავრენტის კრემლში კონკურენციას ვერავინ გაუწევდა და სტალინის ტახტზე ისევ ქართველი ავიდოდა! ამიტომ გერმანიის გაერთიანების გეგმა კრემლში მოკალათებულმა შეთქმულებმა დაბლოკეს და ბერიასაც უსასტიკესი განაჩენი გამოუტანეს!

**— მაშინ რა გამოდის, ბერია გერმანიის გაერთიანებას შეეწირა?**

— მე ასე ვიტყოდი: გერმანიის გაერთიანების იდეა „მეგრელთა საქმესთან" ერთად იქცა ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რის გამოც ლავრენტი ბერია 1953 წლის 26 ივნისს გაანადგურეს! **გერმანიის გაერთიანებით ბერია სტალინის შემდეგ შეიძენდა უზარმაზარ ავტორიტეტს, რაც მისი პოლიტიკური კორონაციისთვის აბსოლუტურად საკმარისი იყო.** გერმანიის გაერთიანება შეამცირებდა უზარმაზარ სამხედრო ხარჯებს და საბჭოთა ეკონომიკის ძალიან სწრაფ განვითარებას უდიდეს სტიმულს მისცემდა. ქვეყანას გაუჩნდებოდა სტალინის მიერ წამოწყებული იმ უდიდესი პროექტების ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა, რომელსაც აგრძელებდა ბერია და რომელსაც მოგვიანებით ნიკიტა ხრუშჩოვმა ბოლო მოუღო! ეს ეხება უკრაინის სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის გასწვრივ სარკინიგზო ხაზის გაყვანას და უამრავი ახალი ტექნოლოგიის დანერგვას. **მოკლედ, თუ ბერია ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და გერმანიას გააერთიანებდა, შემდეგ მას თითსაც ვერ დააკარებდნენ.** როდესაც ვიღაცები ავრცელებდნენ ჭორებს — „ბერიას საბჭოთა ჯარები გამოჰყავს გერმანიიდან და იქ ამერიკის ჯარების შეყვანა უნდა!" — მათ ზუსტად იცოდნენ, რომ ბერიას პირდაპირ ხერხემალში ურტყამდნენ! სწორედ ამ ჭორებით ამზადებდნენ ნიადაგს იმისათვის, რაც სულ ცოტა ხანში ბერიას ასე წარმატებით დააბრალეს, როცა ის **„დიდი ბრიტანეთის ჯაშუშად"** გამოაცხადეს.

**— გამოდის, ბერიასა და მისი გუნდის ყურადღება მთლიანად ბერლინისკენ იყო მიპყრობილი და არა კრემლისკენ...**

— გერმანიაში განსაკუთრებით 1953 წლის 17 ივნისიდან აირია მონასტერი, რადგან ვიღაც გერმანელი ხელმძღვანელები, გაურკვეველი ტიპები გამოვიდნენ და პროვოკაციული განცხადებები გააკეთეს — გერმანიის დეკომუნისტიზაციას ვეწინააღმდეგებით, კერძო საკუთრება უნდა აიკრძალოს და იძულებითი კოლექტივიზაციაც უნდა გაგრძელდესო! ცხადია, ეს ყველაფერი ხელ-ფეხს უხსნიდა ბერიას დაუძინებელ მტერს **მიხეილ სუსლოვს,** რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა გერმანიის პროფკავშირებთან. ყველაფრიდან ჩანს, რომ გერმანიაში გამართული აქციების დღეებში ლავრენტი ბერია ზურგზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მოკლედ, **1953 წლის ივნისში ბერლინში დაწყებული საპროტესტო აქციების უკან სინამდვილეში მიხეილ სუსლოვი და გიორგი მალენკოვი** იდგნენ!

**— როდის ჩავიდა ბერია ბერლინში?**

— ზუსტად არავინ იცის, საერთოდ იყო თუ არა ჩასული ბერია ბერლინში, რადგან მისი ვიზიტები, როგორც წესი, ყოველთვის გასაიდუმლოებული იყო. მოგეხსენებათ, **1953 წლის 15 აპრილს ბერიამ თბილისში ცეკას პლენუმი ჩაატარა და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეცვალა, მაგრამ ამის შესახებ ქართულ გაზეთებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება.** ხრუშჩოვის დროინდელი რუსი ისტორიკოსები — **მედვედევი** და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ბერია გერმანიაში იყო, მაგრამ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები — **იური ჟუკოვი, ევგენი სპიცინი** და სხვები ეჭვს გამოთქვამენ და ვერ ამტკიცებენ 1953 წლის ივნისში ბერია ბერლინში ნამდვილად იყო თუ არა! კაცმა რომ თქვას, იქ ბერიას ჩასვლა და არჩასვლა არ გახლავთ მთავარი პრობლემა, რადგან ტელეფონით გაცემული ბრძანებითაც შეიძლებოდა იმ პროვოკატორების დაშოშმინება. **ფაქტია, რომ 1953 წლის 24 ივნისს, ლიკვიდაციამდე ორი დღით ადრე, ბერია ნამდვილად მოსკოვში იყო! არის ვერსია, რომ ის 22 ივნისსაც მოსკოვში გახლდათ.**

ერთი რამ გამორიცხულია — ლავრენტი ბერია გერმანიაში ორი კვირის განმავლობაში ნამდვილად არ ყოფილა! 17 ივნისს, როცა დიდი აქციები დაიწყო, ის ბერლინში არ იყო. არც 24 ივნისს ყოფილა იქ, შესაბამისად, განცხადება იმისა, რომ ბერია ორი კვირით გერმანიაში გადაბარგდა, სისულელეა! **თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, 1953 წლის 18, 19, 20 და 21 ივნისს ლავრენტი ბერია ნამდვილად იყო გერმანიაში, მაგრამ 22 ივნისს ის უკვე მოსკოვში დაბრუნდა, რადგან არ მგონია, ვსევოლოდ მერკულოვის საკითხი ტელეფონით, პირისპირ შეხვედრის გარეშე გადაეწყვიტა.**

**— რას გულისხმობთ?**

— მოგეხსენებათ, უახლოესმა და ძველმა მეგობარმა **ვსევოლოდ მერკულოვმა,** რომელიც მთელი ცხოვრება უშიშროებაში მუშაობდა და 1953 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი გახლდათ, ბერიას სთხოვა, უშიშროებაში თუნდაც დაბალ თანამდებობაზე დაებრუნებინა, რაზეც ბერიამ კატეგორიული უარი უთხრა და სამუდამო შვებულებაში გაუშვა! ტრაგედიაც აქედან დაიწყო.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***


ნიკიტა ხრუშჩოვი, ნიკოლაი ბულგანინი, გიორგი მალენკოვი, ლაზარ კაგანოვიჩი და მიხეილ სუსლოვი

## ისტორიკოსის თვალით


1953 წლის ივნისის საპროტესტო გამოსვლები ბერლინში

**„თანამედროვე რუსი ისტორიკოსები – იური ჟუკოვი, ევგენი სპიცინი და სხვები ეჭვს გამოთქვამენ და ვერ ამტკიცებენ, 1953 წლის ივნისში ბერია ბერლინში ნამდვილად იყო თუ არა!"**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## მართალია თუ არა, რომ სტალინი საოცრად თავშეკავებული იყო, არასოდეს კარგავდა წონასწორობას?



მართალია. ყველა, ვინც ახლოს იცნობდა **ბელადს** და მოგონებები დაგვიტოვა, ერთხმად ამტკიცებს, რომ არ ახსოვთ, **სტალინი** მდგომარეობიდან გამოსულიყო და ხმისთვის აეწია. თანაც, ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ნებისმიერი სხვა ადამიანი თავს ვერ შეიკავებდა. **მარშალი როკოსოვსკი** წერს, რომ ესწრებოდა **ბელადის** შეხვედრას **გენერალ-პოლკოვნიკ კოზლოვთან** — ყირიმის ფრონტის ყოფილ სარდალთან — მას შემდეგ, რაც მან ქერჩის ოპერაცია ჩააფლავა და უამრავი ადამიანი ტყუილუბრალოდ დაიღუპა. **სტალინი კოზლოვს მშვიდად, ხმადაბლა ესაუბრებოდა, გამოთხოვებისას ხელიც კი გაუწოდა. ამასთან, ასევე მშვიდად დასდო ბრალი ყირიმის ფრონტის დაშლაში, სარდლობიდან მოხსნა და გენერალ-მაიორობამდე ჩამოაქვეითა. მარშალი ვასილევსკი** მეორე შემთხვევას იხსენებს, როდესაც **სტალინგრადის ფრონტიდან** მოვიდა ცნობა, რომ რამდენიმე სატანკო კორპუსი უარს აცხადებს გარღვევაზე წასვლაზე. **სტალინმა** მშვიდად მოისმინა ეს ინფორმაცია და მცირე პაუზის შემდეგ ყურმილში თქვა: **„რცხვენოდეთ“.** ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტანკები მყისვე დაძრულიყვნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით გაერღვიათ გერმანელთა დაცვის ხაზი. კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. **ფლოტის ადმირალი ისაკოვი** მოგვითხრობს, რომ ომამდე მცირე ხნით ადრე უმაღლესი გენერალიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე სამხედრო-საჰაერო ძალთა მაშინდელმა სარდალმა, **გენერალ-ლეიტენანტმა რიჩაგოვმა** პირდაპირ დასდო ბრალი **სტალინს** იმაში, რომ ავიატორები გაუმართავი თვითმფრინავებით დაფრინავენ და ამის გამო ავარიულობა ძალიან მაღალია. **„თქვენ გვაიძულებთ, კუბოებით ვიფრინოთ,“** — სიტყვასიტყვით ასე განუცხადა **რიჩაგოვმა.** ბრალდება უსამართლო იყო, **სტალინი** უამრავ ძალასა და ენერგიას უთმობდა სამხედრო ავიაციის განვითარებას. ამასთან, ეს ყველას თანდასწრებით ითქვა და დარბაზში მსხდომი მხედართმთავრები ქარიშხლის მოლოდინში გაირინდნენ. მაგრამ ქარიშხალი არ ატყდა. სამარისებურ სიჩუმეში ბელადის მშვიდი, დაბალი ხმა გაისმა: **„ეს არ უნდა გეთქვათ.“** ამის შემდეგ **სტალინმა** სხდომა დახურა.

**ადმირალი ისაკოვი** წერს: **„სტალინის განრისხებას მასთან დაახლოებული ადამიანები თვალებით ხვდებოდნენ — გუგები უვიწროვდებოდა, გარსი უმუქდებოდა, თუმცა, გარეგნულად ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. მას შეეძლო საკუთარი გრძნობების დაფარვა, თანაც, ძალიან კარგად. ამისათვის დიდი ხნის გამომუშავებული ჩვევები ჰქონდა: ბოლთას სცემდა, პირს იბრუნებდა, იატაკს ჩააცქერდებოდა, ჩიბუხს უჩხიკინებდა, ეწეოდა. ამ ყველაფერს იმისათვის სჩადიოდა, რომ თავი შეეკავებინა, გრძნობები არ გამოემჟღავნებინა, არ გაეცა.“**

## საყოველთაოდ ცნობილია სტალინის ომისდროინდელი ბრძანება „არცერთი ნაბიჯი უკან!“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საბრძოლო მოქმედებების მსვლელობაში. მაშინ პირველად შემოიღეს НКВД-ს ეგრეთ წოდებული გადამღობი რაზმები. მაგრამ არსებობდა სხვა ბრძანებაც – მათთვის, ვინც ტყვედ ბარდებოდა. იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ ამის შესახებ?

ბრძანება **„არცერთი ნაბიჯი უკან!“ (№ 227), რომელიც სტალინგრადის ბრძოლების დროს მიიღეს, ითვალისწინებდა არამხოლოდ გადამღობი რაზმების შექმნას, არამედ ფრონტებზე არსებულ მდგომარეობაში გარდატეხის შეტანისკენ მიმართულ მთელ რიგ ზომებს და, უპირველესად, ამასთან დაკავშირებით სამხედრო შენაერთთა მეთაურების პასუხისმგებლობას.** რაც შეეხება გადამღობ რაზმებს, ისინი პირველად **1942 წელს** არ მოუგონიათ. ასეთ რაზმებს სამოქალაქო ომის პერიოდში ფართოდ იყენებდა **ტროცკი, წითელი არმიის მაშინდელი მთავარსარდალი.** სწორედ ის გახლავთ ავტორი კონცეფციისა, რომ წითელარმიელი არჩევანის წინაშე უნდა დააყენო **„წინ წასვლისას შესაძლო სიკვდილსა და უკან დახევისას გარდაუვალ სიკვდილს“** შორის. **ებრაელი ტროცკის** ეს მნიშვნელოვანი გამოცდილება ომის დროს პირველებმა ჰიტლერელმა არიელებმა გამოიყენეს, რომლებსაც ვერმახტის შემტევი ნაწილების უკან მუდმივად ჰყავდათ ესესელებისგან დაკომპლექტებული **„მეორე ფრონტი“.**



იაკობ ჯუღაშვილი ტყვეობაში

ახლა მეორე ბრძანებაზე ვისაუბროთ, რომელიც ტყვედ ჩავარდნილებს ეხებოდათ.

ომის დასაწყისში, მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, წითელი არმიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა უზარმაზარი მასა ალყაში აღმოჩნდა. 1 მილიონზე მეტი ადამიანი ტყვედ ჩავარდა. იყო მტრისთვის ნებაყოფლობით ჩაბარების ბევრი შემთხვევაც. ამასთან, ტყვეთა დიდი ნაწილი ოკუპანტებთან თანამშრომლობას თანხმდებოდა. ამ პირობებში **1941 წლის 16 აგვისტოს ი. სტალინის** ინიციატივით გამოიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანება **№ 270,** რომლის თანახმად ტყვედ ჩაბარებული მაღალი რანგის მეთაურები მოღალატეებად ითვლებოდნენ და მათი უახლოესი ნათესავები (ბავშვების გარდა) რეპრესიებს ექვემდებარებოდნენ. უდავოდ ბარბაროსული, მაგრამ იმ მომენტისთვის აუცილებელი ზომაა. როგორც ნახეთ, საუბარია არა რიგით წითელარმიელებსა და უმცროს მეთაურებზე, არამედ გენერლებსა და უფროს ოფიცრებზე, თანაც, ხაზს ვუსვამთ — ნებაყოფლობით ტყვედ ჩაბარებულებზე. მდგომარეობა მაშინ მართლაც კრიტიკული იყო. საკმარისია ითქვას, რომ ომის პირველსავე დღეებში ტყვეობაში აღმოჩნდა არმიის რამდენიმე სარდალი, დივიზიათა მეთაურები, ისეთი მხედართმთავრები, როგორებიც იყვნენ **გენერალ-ლეიტენანტი პონედელინი** [sic: **ჟილენკოვი**], **გენერალ-მაიორები მალიშკინი, ტრუხინი, ბლაგოვეშჩენსკი, ბუნიაჩენკო, მალცევი** და სხვები. მოგვიანებით გერმანელებს ჩაბარდა მე-2 დამრტყმელი არმიის სარდალი, **გენერალ-ლეიტენანტი ვლასოვი.** დროთა განმავლობაში ისინი ე.წ. რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ორგანიზატორები გახდნენ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში შეღავათი არავის ეწეოდა. მეტსაც გეტყვით, როდესაც ცნობილი გახდა **სტალინის** ვაჟის — **უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილის** დატყვევების შესახებ, თუმცა, ის უფროს ოფიცრად არ ითვლებოდა და ტყვედ ჩავარდნის გარემოებებიც უცნობი იყო, ბელადმა მისი ცოლის — **იულია მელცერი-ჯუღაშვილის** დაპატიმრება და გადასახლება ბრძანა. მათი სამი წლის გოგონა **გალინა,** რომელზეც **სტალინს** მზე და მთვარე ამოსდიოდა, დედის დაბრუნებამდე ბაბუასთან, მახლობელ აგარაკზე ცხოვრობდა.





**მოლოტოვის** მოგონებებიდან ცნობილია, რომ ამ საკითხის განხილვისას **სტალინმა** (იქნებ სიტუაციის განსამუხტავად) საკუთარ თავზეც ჩამოაგდო სიტყვა. მან თქვა: **„ჩვენი კანონებით ტყვედ ჩაბარებულთა უახლოესი ნათესავები იზოლაციას ექვემდებარებიან. უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილის უახლოესი ნათესავი მე ვარ. ასე რომ, თუ გადასახლებას მიპირებთ, ტურუხანსკი მირჩევნია, მაინც ნაცნობი ადგილებია.“**

## რუსეთისა და რუსების მიმართ ი. სტალინის დამოკიდებულება მთელი მისი შეგნებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე არ შეცვლილა. იგი ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა რუს ხალხს, რუსულ კულტურას და ეს ქვეყანა მსოფლიოს წამყვანი და ყველაზე მძლავრი ქვეყნების რიცხვში შეიყვანა. საინტერესოა, რა დამოკიდებულებაა სტალინის მიმართ რუსეთში?



რუსეთისთვის უფრო მეტი არცერთ მმართველს არ გაუკეთებია. სწორედ **სტალინმა, ჩერჩილის** სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ჩაიბარა კავიანი რუსეთი და ატომური იარაღით აღჭურვილი დატოვა იგი.“** სწორედ მის ხელში იქცა რუსეთი ორიდან ერთ-ერთ სუპერსახელმწიფოდ. რაც შეეხება **სტალინის** მიმართ რუსეთის დამოკიდებულებას, აქ, როგორც ჩანს, უნდა განვასხვაოთ ოფიციალური რუსეთი, ანუ მისი ხელმძღვანელობა, კარის ისტორიკოსები, პუბლიცისტები და რუსი ხალხი. თუკი პირველ შემთხვევაში პოლიტიკური კონიუნქტურა პერიოდულად ცვლიდა ამ დამოკიდებულებას, მეორე შემთხვევაში იგი, პრაქტიკულად, სტაბილური რჩებოდა. თანაც, საგულისხმოა, რომ **სტალინის** აღვირახსნილი ლანძღვის პერიოდში მისი პიროვნებისადმი, საქმეებისადმი ხალხის ლტოლვა უფრო ძლიერდებოდა. დღეს, უბრალო ადამიანების სრული სოციალური დაუცველობის პირობებში, რუსეთში (ისევე, როგორც საქართველოში) სტალინის **„რეიტინგი“** კიდევ უფრო გაიზარდა. ასე, მაგალითად, ფონდი **„საზოგადოებრივი აზრის“** მიერ ათეული წლების წინათ მოსკოვში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 1500 გამოკითხული (როგორც ქალაქის, ისე სოფლის მცხოვრები) რესპონდენტიდან 52,9 პროცენტმა **სტალინის** მოღვაწეობა მთლიანად დადებითად შეაფასა, და მხოლოდ მესამედზე ნაკლებმა (27,1 პროცენტი) დაახასიათა იგი უარყოფითად. დანარჩენებს პასუხის გაცემა გაუძნელდათ.





ბელადისადმი ნეგატიურად განწყობილი რესპონდენტები მას მასობრივ რეპრესიებში ადანაშაულებენ. **სტალინის** თაყვანისმცემლები კი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მის როლს გერმანიაზე გამარჯვებაში (35 პროცენტი), ქვეყანაში წესრიგის დამყარებაში (28,9 პროცენტი), ამასთან, ყოველი მათგანი თვლის, რომ **„სტალინმა იხსნა რუსეთი“** და რომ **„სტალინის დროს რიგითი მოქალაქეების ცხოვრება უზრუნველყოფილი და სტაბილური, სოციალური წყობილება კი — სამართლიანი იყო.“**


ქვეყნის ბედი
2023 წლის 12 ივნისი. № 31(199)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# როგორ ვიმგზავროთ საქართველოდან რუსეთისკენ სწრაფად, იაფად და კომფორტულად?

***2023 წლის 10 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2 განკარგულება გამოსცა: გააუქმა საქართველოს მოქალაქეებისთვის 2000 წლიდან ცალმხრივად მოქმედი სავიზო რეჟიმი და აღადგინა 2019 წლიდან აკრძალული პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა საქართველოსთან. რუსული კომპანია „აზიმუტის“ კუთვნილმა თვითმფრინავმა მარშრუტით „მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი“ 19 მაისს თავისი პირველი ფრენა შეასრულა. მას შემდეგ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას მრავალი მოქალაქე მომართავს, რომელთაც მოსკოვსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში საქმიან ფორმატში ან, სულაც, ტურისტად გამგზავრება სურთ. როგორ ვიმოგზაუროთ რუსეთის მიმართულებით უხიფათოდ, სწრაფად და იაფად? გთავაზობთ პასუხებს ყველაზე ხშირად დასმულ კითხვებზე.***




რუსეთის ტერიტორიაზე შესასვლელად ამიერიდან საჭირო აღარ არის ვიზა. **სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სრულიად საკმარისია, მოქალაქემ წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.** რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეებს, ისინი 2012 წლიდან ისედაც უვიზოდ შემოდიოდნენ საქართველოში, რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაწესებული შეღავათი, ფაქტობრივად, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეეხო.

— **„დადგინდეს, რომ 2023 წლის 15 მაისიდან საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ფედერაციაში შედიან და გადიან რუსეთის ფედერაციის ვიზის გაცემის გარეშე, მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე (საქართველოს მოქალაქის პასპორტი, დიპლომატიური პასპორტი, სამსახურებრივი პასპორტი, მეზღვაურის წიგნაკი, საქართველოში დასაბრუნებელი სამგზავრო დოკუმენტი)“,** — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ გაცემულ განკარგულებაში.

რუსეთის ტერიტორიაზე გადასულ საქართველოს მოქალაქეებს იქ დარჩენის უფლება **90 კალენდარული დღის განმავლობაში** ეძლევათ, მაგრამ იმ პირებს, ვინც რუსეთში დარჩენას 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დააპირებენ ან, ვინც რუსეთში სამუშაოდ გაემგზავრება, ვიზა მაინც დასჭირდებათ.

რუსეთის მიმართულებით, კერძოდ კი, მოსკოვში, საქართველოდან ყოველწლიურად არცთუ ისე ცოტა მგზავრი მიფრინავს. ფრენები ხორციელდება როგორც თბილისის საერთაშორისო, ასევე ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებიდან.

**თბილისი-მოსკოვის მიმართულებით მოქალაქეებს მომსახურებას ქართული ავიაკომპანია „Georgian Airwais“ საკმაოდ იაფად სთავაზობს.** ბილეთის ფასი, სულ რაღაც, 200 დოლარია და პირდაპირი რეისით მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტში **3 საათსა და 15 წუთში** მოხვდებით. ავიაკომპანიამ 2023 წლის 20 მაისიდან აღადგინა მოსკოვისკენ (და იქიდან უკან, თბილისისკენ) პირდაპირი რეისები. კვირაში 7 რეისი ხორციელდება.

2023 წლის 17 მაისიდან ანალოგიური მიმართულებით და სიხშირით პირდაპირ რეისებს ასევე ახორციელებს რუსული ავიაკომპანია „Azimuth Airlains“. ავიაბილეთების ღირებულება არც აქ არის საშუალო ფენისთვის მიუწვდომელი და **230 დოლარს** შეადგენს. ამ კომპანიით მოსკოვში ჩასასვლელად **3 საათი და 35 წუთია** საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ბილეთის ფასი არ არის სტაბილური. გამგზავრებამდე გარკვეული ხნით ადრე შეძენილი ბილეთის ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია გამგზავრების წინა დღეებში შეძენილი ბილეთის ფასზე.

რაც შეეხება **ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს,** იქიდან ავიაკომპანია Red Wings-ი ქუთაისი-მოსკოვის საჰაერო ხაზზე ფრენებს ივნისიდან ახორციელებს კვირაში 3-ჯერ სიხშირით, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს.

**აღნიშნული ავიაკომპანია კვირაში 3 სიხშირით, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, თბილისი-სოჭი-თბილისის მიმართულებითაც აპირებს ოპერირებას.**

მგზავრებმა ბილეთის შეძენის დროს უნდა გაითვალისწინონ, რომ კვირის შუა დღეებთან შედარებით, ფასი უფრო მაღალია დასვენების დღეებში. წინასწარ, გამგზავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, შეძენილი ბილეთის ფასი კი, როგორც ყოველთვის, შეუდარებლად მცირეა გამგზავრების წინ შესაძენ ბილეთის ღირებულებაზე.

ვისაც თვითმფრინავით მგზავრობაზე ჯიბე არ მიუწვდება, ყურების ჩამოყრა არ მართებთ, რადგან რუსეთის დედაქალაქამდე ავტობუსით ჩასასვლელად, სულ რაღაც, 200 ლარი დასჭირდებათ!




**პასუხები მოქალაქეთა მიერ ყველაზე ხშირად დასმულ კითხვებზე!**

საკმაოდ კომფორტული ავტობუსები რეგულარულად გადიან თბილისის დიდუბისა და თბილისის ორთაჭალის ავტოსადგურებიდან.

**ვიქტორი**, ***ავტობუსის მძღოლი:*** — თბილისიდან მოსკოვამდე ავტობუსი იქამდეც მოძრაობდა, ვიდრე რუსეთთან სავიზო რეჟიმი მოქმედებდა და პირდაპირი ავიარეისები აღდგებოდა. ჩვენთვის მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა, ძველებურად, კვირაში ერთხელ, ზაფხულის სეზონზე კი ყოველ მეოთხე დღეს გავდივართ თბილისიდან. რაც შეეხება ორთაჭალის ავტოსადგურს, იქიდან ყოველდღე გადის მოსკოვის მიმართულებით ავტობუსი. მოსკოვამდე ჩასვლას დაახლოებით, 25-30 საათს ვანდომებთ. ხვალ დილის 10 საათზე რომ გავალთ, თუ საბაჟოზე დიდი რიგი არ დაგვხვდა, ზეგ საღამომდე მოსკოვში ვართ! საბაჟოზე ბოლო დროს რუსეთიდან საქართველოსკენ მომავალი მგზავრების ხარჯზე რიგმა იმატა და ზოგჯერ 5 საათითაც შევყოვნებულვართ.

**— რა ხდება ლარსის გამშვებ პუნქტზე?**

— დიდი არაფერი. მოქალაქე წარადგენს საერთაშორისო პასპორტს (აქ პირადობის მოწმობა არ მოქმედებს), სადაც ჩაურტყამენ შტამპს და რუსულ ენაზე ავსებს საემიგრაციო ფურცელს.

**— მოსკოვში სად გაქვთ ბოლო გაჩერება?**

— ადრე ბოლო გაჩერება ყაზანის ვაგზალზე გვქონდა, ახლა მეტროს სადგურ „ვლადიკინოსთან“ გვაქვს ფინიში.

**— ბევრია თბილისიდან მოსკოვში წამსვლელი?**

— ზაფხულობით ავტობუსი მგზავრებით ბოლომდე ივსება. წლის სხვა დროს მგზავრების რაოდენობა შედარებით ნაკლებია. აგვისტოს ბოლოს რუსეთიდან პირიქით — საქართველოსკენ მომავალი მგზავრების ნაკადი იზრდება. სავიზო რეჟიმის გაუქმებამ, რა თქმა უნდა, მგზავრების რაოდენობაზეც იქონია გავლენა — საქართველოს მოქალაქე გაცილებით მეტი ადამიანი მიემგზავრება რუსეთში და რუსეთიდან — საქართველოში. რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები მას შემდეგ, რაც სკოლიდან ბავშვებს დაითხოვენ, მასობრივად მოემართებიან ხოლმე საქართველოში თავიანთი ოჯახებისკენ ან ნათესავებთან, სადაც მოზარდები ზაფხულს ატარებენ. ავტობუსი ხომ თბილისსა და მოსკოვს შორის მგზავრობის ყველაზე იაფი ტრანსპორტია. მოსკოვამდე — 200 ლარი, საკმაოდ ხელმისაწვდომი თანხაა. მოსკოვიდან თბილისამდე კი შედარებით იაფი — 150 ლარი ჯდება მგზავრობა.

**— მაგრამ 30 საათის გატარება დახურულ სივრცეში არცთუ ისე ადვილია...**

— არა, რატომ? საკმაოდ კომფორტული ავტობუსია. ზაფხულში — კონდიციონერით, ზამთარში — გათბობით.

**— თქვენი მგზავრები ყველანი ბოლო პუნქტამდე, მოსკოვამდე მოგყვებიან?**

— არა, მგზავრების რაღაც ნაწილი როსტოვში ჩამოდის. უფრო სწორად, რადგან ახლა ავტობუსი როსტოვში აღარ შედის და შემოვლითი გზით მოძრაობს, როსტოვთან 6 კილომეტრში მდებარე პუნქტში ჩადის, რომელსაც „აქსაი-ბატაი“ ეწოდება.

●

რუსეთში იაფად მგზავრობის სხვა საშუალებაც არსებობს, თუ ტაქსით ან მინივენით ლარსის გამშვებ პუნქტს გადალახავთ და **ვლადიკავკაზში** აღმოჩნდებით. ავტომანქანების მძღოლთა ნაწილი ქართველია, ნაწილი კი ვლადიკავკაზის მკვიდრი, ეთნიკურად ოსები არიან, რომელთა უმრავლესობა ქართულად გამართულად საუბრობს.

**ავთანდილ ჩოხელი**, ***მინივენის მძღოლი:*** — წარმოშობით დუშეთიდან ვარ, მაგრამ ვლადიკავკაზში ვცხოვრობ. 13 წელია, რაც მგზავრები თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის დამყავს და ამით ვარჩენ ოჯახს. მგზავრები მანამდეც გადამყავდა, ვიდრე რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო ურთიერთობა იყო. ჩემს მინივენში 6 ადამიანი ეტევა. რეისს 2 დღეში ერთხელ ვასრულებ — ვლადიკავკაზში ჩამყავს მგზავრები და მეორე დღეს უკან ვბრუნდები. ვლადიკავკაზამდე 200-მდე კილომეტრია, 3 საათში თავისუფლად ჩავიდოდი, რომ არა ლარსის გამშვებ პუნქტთან იძულებითი შეჩერება.

**— დიდი ხანი გიწევთ ლოდინი?**

— გააჩნია, რამდენი მანქანა მოიყრის თავს. შეიძლება ძალიან ცოტა, ნახევარი საათი ან ბევრი, 2-3 საათიც მოგვიწიოს გაჩერება.

**— ვლადიკავკაზამდე მგზავრობა რა ღირს?**

— 100 ლარი ჯდება. ზოგჯერ, თუ მგზავრთა შესაბამისი რაოდენობა შეგროვდება, მინვოდშიც მივდივარ, რაც მგზავრს 150 ლარი დაუჯდება. ვლადიკავკაზიდან მინვოდამდე ავტობუსებიც დადიან, ქართულ ფულზე გადაანგარიშებით, მგზავრობა 20-30 ლარი ჯდება. ვლადიკავკაზში ჩასული ადამიანისთვის რუსეთის ნებისმიერი ქალაქის მიმართულებით გზის სხვადასხვა ტრანსპორტით გაგრძელების ფართო პერსპექტივა იშლება: ავტობუსი, მატარებელი, თვითმფრინავი, ტაქსი... თუ გზას მოსკოვისკენ ავტობუსით გააგრძელებთ, 100 ლარამდე დაგიჯდებათ მგზავრობა. ავტობუსის ბილეთის შეძენას ვლადიკავკაზის ავტოსადგურში შეძლებთ.

მატარებლები ყველა მიმართულებით გადიან ვლადიკავკაზიდან; მოსკოვამდე მგზავრობა მატარებლით 150 ლარამდე ღირს. პეტერბურგამდე და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებამდე მატარებლით მგზავრობა სირთულეს არ წარმოადგენს.

რაც შეეხება თვითმფრინავს, ვლადიკავკაზთან ახლოს მდებარე ბესლანის აეროპორტიდან რუსეთის ბევრი მიმართულებით მიფრინავენ ადგილობრივი რეისები. ბილეთები არც ძვირია, არც ძალიან იაფი — 300-500 ლარი ჯდება. თუ ადრე შეიძენთ ბილეთს, ფასი მნიშვნელოვნად მცირეა.




*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***

# P.S.

მგზავრებს შეუძლიათ, **ავთო ჩოხელს** დაუკავშირდნენ ვოცაპით ტელეფონის ნომერზე: **+790 54 88 10 46.** მისი მინივენით სწრაფად, იაფად და კომფორტულად იმგზავრებთ ვლადიკავკაზამდე, შემდეგ კი რუსეთის სხვადასხვა ქალაქამდე გზას პირადი ბიუჯეტის შესაბამის, თქვენ მიერ არჩეული ტრანსპორტით გააგრძელებთ.

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წ. №11–15, 16–17, 18–19, 20–21,22–26*



„ექიმების ფორმაში გადაცმული შეიარაღებული მებრძოლები ვითომდაც დაჭრილების გადასარჩენად სასწრაფოს მანქანით უნდა მისულიყვნენ სასტუმრო „თბილისთან“, შესულიყვნენ შენობაში და თენგიზ სიგუა აეყვანათ!“

*იგორ კვესელავა:*

# დუდაევი სამი დღის განმავლობაში ყოყმანობდა, მიეღო თუ არა გროზნოში ზვიად გამსახურდია!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს დევნილი პრეზიდენტის თბილისიდან და საქართველოდან უვნებლად გაღწევა შეიარაღებული ოპოზიციის გეგმებში არანაირად არ შედიოდა და შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას „მენავთობეების“ საფარქვეშ მოქმედი მკვლელები გროზნოშიც მიუგზავნა:***

— მოგეხსენებათ, საქართველოდან დევნილი **ზვიად გამსახურდია** სომხეთში, საკურორტო ქალაქ იჯევანში, ცხრა დღის განმავლობაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში მას დასახმარებლად გაეგზავნა სხვადასხვა ჯგუფი, ხოლო ჩეჩნეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ჯოჰარ დუდაევმა** ყოყმანი დაიწყო, მიეღო თუ არა გროზნოში ზვიადი. დიახ, ეს უნდა ითქვას — დუდაევი სამი დღის განმავლობაში ყოყმანობდა!

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ დუდაევი გამსახურდიას მიღებაზე ყოყმანობდა?**

— ამ ცხრა დღეში, როცა ზვიადი იჯევანში იყო, საქართველოდან ჩეჩნეთში რამდენიმე ჯგუფი ჩავიდა. სწორედ ამ ქართველებთან საუბრისას ყოყმანობდა დუდაევი და ბოლომდე ვერ გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა გამსახურდია ჩეჩნეთში. **დუდაევი საკმაოდ ჭკვიანი და ფრთხილი კაცი იყო. ის რუსეთის არმიის გენერალი გახლდათ და ძალიან კარგად იცოდა, რაზე იყვნენ წამსვლელი ამერიკელების მიერ მართული ლოთი ელცინი და მისი მარიონეტული ხელისუფლება.** ამიტომ ამ სიფრთხილის გამოჩენასა და ყოყმანში ისეთი მცირე ერის ლიდერის გამტყუნება, როგორიც **დუდაევი** იყო, ძნელია. მაგრამ ისევ მაწვალებს და ეჭვის ჭია მღრღნის, როცა ვფიქრობ 1992 წელს ბაქოში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც, ჩემი ინფორმაციით, **დუდაევი, ელჩიბეი და შევარდნაძე** ესწრებოდნენ. ახლაც ვაზუსტებ ამ შეხვედრის დეტალებს...

**— ბოლოს და ბოლოს, როდის გაიმართა ეს შეხვედრა?**

— როგორც მარწმუნებენ, ეს შეხვედრა გაიმართა **1992 წლის თებერვალში ან საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლამდე,** როცა ზვიად გამსახურდია სულ ახალი დამხობილი იყო! ბუნებრივია, შეხვედრის მთავარი საკითხი აუცილებლად იქნებოდა ზვიად გამსახურდიას პრობლემა! დიახ, პრობლემა იყო გამსახურდია შევარდნაძისთვის, რუსეთისთვის და ამერიკისთვის... მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რამდენად წარმოადგენდა ის პრობლემას დუდაევისთვის და რა თქვა დუდაევმა ბაქოში გამართულ საიდუმლო შეხვედრაზე. აი, ამის გარკვევა და გაშიფვრა ლამის მთელი ჩემი მეცნიერული მუშაობისა და ცხოვრების მიზნად იქცა!

**— როგორც ვატყობ, დუდაევის პერსონის მიმართ თქვენ შეკითხვები გაქვთ?**

— დღემდე ვერ გამირკვევია, **დუდაევმა, რომელსაც ამოდენა რესურსი ჰქონდა და ხალხი და ჯარი ემორჩილებოდა, როგორ ვერ მოახერხა სამეგრელოში ორი ვერტმფრენის გამოგზავნა,** რათა შევარდნაძის ღორ-ძაღლებით გარემოცული ზვიად გამსახურდია გამოეხსნა და ჩეჩნეთში გადაეყვანა?

**— დუდაევმა გამოუგზავნა ზვიადს ვერტმფრენიც და ვიდრე საქართველოსკენ წამოვიდოდა, მეგობარი და მასწავლებელი გააფრთხილა კიდეც, როცა დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია იმ საფრთხის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო!**

— ვერტმფრენს დუდაევი სვანეთში აგზავნიდა იმ შემთხვევაში, თუ ზვიადი სვანეთში ავიდოდა... ბარემ სამეგრელოში გამოეგზავნა დალოცვილს ის ვერტმფრენი!

**— ზვიადს ჩეჩნეთში დაბრუნებაზე საუბარიც არ სურდა და ეს ფაქტია!**

— დიახ, ვიცი ამის შესახებ, მაგრამ შესაძლოა, ზვიად გამსახურდია გროზნოში არ წასულიყო და სადმე, ევროპის რომელიმე ქვეყნისთვის შეეფარებინა თავი. ვერტმფრენის გამოგზავნასაც რომ თავი დავანებოთ, ჯოჰარ დუდაევს ისედაც შეეძლო ზვიად გამსახურდიას გადარჩენა. **დუდაევს 50 სპეცრაზმელი რომ გამოეგზავნა და ტყე-ტყე გადმოსულიყვნენ საქართველოში, დარწმუნებული ვარ, ჩეჩნები ზვიადის გადარჩენას შეძლებდნენ.**

**რობიზონ მარგველანი და მისი ჯგუფი** ამტკიცებენ, რომ ზვიადს გროზნოში დაბრუნებაზე საუბრის გაგონებაც არ სურდა და ეს პოლიტიკასთან დაკავშირებული არ ყოფილა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მის ნაამბობში ძალიან ცოტა რამ შეიძლება იყოს სარწმუნო! ფაქტი ერთია — შევარდნაძე ძალიან იყო შეწუხებული, რომ ზვიად გამსახურდიამ საქართველოდან გაასწრო და ვერ მოკლეს. ამიტომ, ჩამოვიდა თუ არა, ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისთვის მუშაობა დაიწყო! ამ მიზნით **გროზნოში, ზუსტად იმ სახლის წინ, სადაც ზვიად გამსახურდია ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ბინა დაიქირავეს საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და მის უახლოეს გარემოცვას გამუდმებით უთვალთვალებდნენ.** ქართველი სპეცაგენტები გროზნოში დაბინავდნენ, როგორც „მენავთობეები“ და „ბიზნესმენები“, რომლებიც ვითომდა გროზნოში ნავთობის ბიზნესით იყვნენ დაინტერესებული. ცხადია, ესენი იყვნენ მკვლელები, რომლებსაც ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული. სპეცსამსახურის მიერ გროზნოში მივლინებულ ქართველ მკვლელებთან ერთად პრეზიდენტის დროებითი რეზიდენციის წინ ასევე იკრიბებოდნენ ის ჩეჩენი ოპოზიციონერებიც, რომლებიც დუდაევს ეურჩებოდნენ და კრემლის დაკვეთების შესრულებაში დაოსტატებული იყვნენ. ამ ჩეჩენ ოპოზიციონერებს, რომლებიც ჯოჰარ დუდაევსა და ზვიად გამსახურდიას ემტერებოდნენ, შევარდნაძე აფინანსებდა!

**— მაინც რას ითხოვდნენ ჩეჩენი ოპოზიციონერები?**

— ჩეჩენი ოპოზიციონერები, რომელთა საფარქვეშაც შევარდნაძის სპეცსამსახურების ქართველი თანამშრომლებიც მოქმედებდნენ, ჩეჩნეთიდან ზვიად გამსახურდიას, მისი ოჯახისა და მხლებლების გაძევებას მოითხოვდნენ! მათ მიერ განიხილებოდა პრეზიდენტის მოტაცების გეგმაც, რისთვისაც ისინი რეზიდენციას გამუდმებით მეთვალყურეობდნენ და გამსახურდიასა და მისი ოჯახის წევრების მოძრაობის მარშრუტს სწავლობდნენ. საბოლოო ჯამში, შევარდნაძის მიერ გამოგზავნილი მკვლელები, რომლებიც „მენავთობეებად“ ასაღებდნენ თავს, გაიშიფრნენ და გროზნოდან გაქრნენ.

**— ვინ იყვნენ ეს მკვლელები?**

— ამ პიროვნებათა შესახებ ჩემთვის უცნობია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გამოძიებამ იცის! რაც კარგად არის ცნობილი, ეს გახლავთ **ჯაბა იოსელიანის** სკანდალური განცხადება — **„ყველა უკანონო მიტინგი დარბეული იქნება, ყველას ტყვიას ვესვრით!“** ასევე — **„დემოკრატია ლობიობანა ხომ არ გგონიათ?! დემოკრატიის გულისთვის ყველას დაგხვრეტთ!“** ამას ამბობდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ანუ ედუარდ შევარდნაძის პირველი მოადგილე და ამის თაობაზე ამერიკასა და ევროპას ხმა არ ამოუღიათ!

1992 წლის 6 იანვარს საქართველომ მარტო კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი კი არა, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადი განვითარების გზა და სახელმწიფოებრიობაც დაკარგა, რადგან ხელისუფლების სათავეში ბანდიტები და მკვლელები მოვიდნენ. ხელისუფლება შეიძლება, ქვეყანაში დაამხონ და სისხლით მოსულმა ძალამ ქვეყანა ააყვავოს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მოხდა უბედურება — საქართველომ სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი დაკარგა! აღარაფერს ვამბობ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვაზე. ჩვენ დღესაც სახელმწიფოებრიობის ძიებაში ვართ!

**— წინა ნომერში თქვენ საუბრობდით რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო კომისრის, გენერალ ლევან შარაშენიძის შესახებ, რომლის სახელსაც უამრავი უბედურება უკავშირდება!**

— გენერალი **ლევან შარაშენიძე,** რომელიც პირდაპირ კავშირში იყო გენერალ **სუფიან ბეპაევთან, ვალერი პატრიკეევთან,** სხვა რუს მაღალჩინოსნებთან და „რუსთაველის ომის“ დროს ბანდიტებს იარაღს აწვდიდა, რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან განიხილავდა სპეცოპერაციის ჩატარებას, რომლის მიზანიც ზვიად გამსახურდიას თვითმფრინავის ვაზიანის სამხედრო აეროპორტში დასმა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დატყვევება იყო. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ერევნიდან გროზნოსკენ მიმავალ თვითმფრინავს, რომელშიც ზვიადი იჯდა, მინ-




ზვიად გამსახურდია და ჯოჰარ დუდაევი

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



თუ საქართველომ დეკემბერში სტატუსი ვერ მიიღო, **ქვეყანაში დაიწყება საპროტესტო აქციები.** პოლიტიკურ სტაბილურობას საფრთხე დაემუქრება და **რუსული სპეცსამსახურები მღვრიე წყალში თევზის ჭერას დაიწყებენ.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ კაპანაძე**
*გენშტაბის ყოფილი უფროსი, გადამდგარი გენერალი*



გერმანიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, **ომში მყოფ ქვეყანას ნატოში არ მივიღებთო.** ეს არის პირდაპირი ინსტრუქცია რუსეთისთვის — **თუ გინდა რომელიმე ქვეყანა ამ ალიანსში არ გაწევრდეს, ომი გამოუცხადეო.**

„კვირის პალიტრა“

**გია მურღულია**
*პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი*



სიტყვები, რომელიც ვითომ მე ვთქვი **გურამ შარაძეზე, „ჩვენ ის უფრო ადრე უნდა მოგვეკლა“,** ყურს, გულს და ყველაფერს ერთნაირად ჭრის. ფიქრიც კი წარმოუდგენელია ამაზე და არ მგონია, **რუსუდან შარაძეს** თავად სჯეროდეს, თუმცა, რადგან ამის შესახებ საჯაროდ თქვა, **როგორც ჩანს, მაინც ეჭვი აქვს** და ამ ეჭვისგან რაც უფრო სწრაფად გათავისუფლდება, მით უკეთესია.

„სარკე“

**გიორგი კეკელიძე**
*ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი*



**ქართველ ხალხს მე ვნახულობ იმ სოფლებში,** სადაც თითქმის ყოველდღე დავდივარ, ვნახულობ ათასობით და **მათ ყველაზე უკეთ იციან საკუთარი სოფლისა და ქალაქის ფასი,** იციან ადგილი მსოფლიოს რუკაზე და **არც კრემლის მოტრფიალეების სჯერათ და არც — ზერელე მოლიბერალო აროგანტული ტიპაჟების,** მხოლოდ საკუთარი თავი რომ მიაჩნიათ ჩვენს მამულში სინათლის ღერძად.

„ახალი თაობა“

**პრეზიდენტის საქმე**

# „გამსახურდიას ვაზიანში დაპატიმრების გეგმას საბჭოთა კავშირის ავიაციის მარშალი და თავდაცვის მინისტრი ევგენი შაპოშნიკოვი კურირებდა!“



ვოდის თავზე ორივე მხრიდან ამოუდგნენ რუსული „სუ“-ები და **ზაურ ბედიას** აიძულებდნენ, ვაზიანში დამჯდარიყო, მაგრამ მან სასწაულით ძალიან დაბალ სიმაღლეზე იფრინა და გროზნოში მშვიდობიანად დაეშვა. ზვიად გამსახურდიას ვაზიანში დაპატიმრების გეგმას საბჭოთა კავშირის ავიაციის მარშალი და თავდაცვის მინისტრი **ევგენი შაპოშნიკოვი** კურირებდა... სხვათაშორის, გენერალი **ლევან შარაშენიძე** ხუნტის პირველი დესპანი იყო საერთაშორისო არენაზე...

**— სად, როგორ, როდის?**

— თბილისში გადატრიალება სულ ახალი მომხდარი იყო, როცა ბელარუსში სამიტი გაიმართა და **თენგიზ სიგუას** ხელმძღვანელობით 1992 წლის 3 იანვარს ჩამოყალიბებულმა სამხედრო საბჭომ, ანუ იმავე ხუნტამ, რომელიც თბილისსა და დანარჩენ საქართველოში მშვიდობიან მიტინგებს ხვრეტდა, რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო კომისარი, გენერალი **ლევან შარაშენიძე** თავის წარმომადგენლად მიავლინა. მან ხუნტის სახელით განცხადება გააკეთა და სამიტს ასე მიმართა — **„საქართველოში გაიმარჯვა რევოლუციამ და ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა!“** ერთადერთი კაცი, რომელმაც სამიტზე მყოფ ლიდერთაგან ხუნტის წარმომადგენელ გენერალ **ლევან შარაშენიძეს** ხელი არ ჩამოართვა, ბელარუსის მაშინდელი ლიდერი **სტანისლავ შუშკევიჩი** გახლდათ. უფრო მეტიც, ბელარუსის ხელმძღვანელმა ხუნტის მოციქულ **ლევან შარაშენიძეს** პირდაპირ მიახალა — **„საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაემხო, ე.წ. თავდაცვის მინისტრი, გენერალი შარაშენიძე ხუნტის წარმომადგენელია. ჩვენ ვერ ვაღიარებთ და ვერ მოვიწონებთ იმას, რაც საქართველოში მოხდა!“** ამიტომ **თენგიზ სიგუა** სიმართლეს ამბობდა, როცა აცხადებდა — ზვიად გამსახურდიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა ჩვენ თბილისის ზღვაზე და მერე სასტუმრო „თბილისში“ არ დაგვაპატიმრაო! ეს არ მოხდა იმიტომ, რომ ზვიადმა ძალიან კარგად იცოდა, რა საშინელი და ბნელი ძალები იყვნენ ჩართული ამ საქმეში. მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ძალიან დიდი იყო შანსი, „რუსთაველის ომი“ გადაზრდილიყო თბილისის ომში, ხოლო შემდეგ მთელი საქართველო გახვეულიყო ხანძარში. ცნობისათვის, ე.წ. „რუსთაველის ომის“ დროს სასტუმრო „თბილისის“ შენობაში მოკალათებული **თენგიზ სიგუასა** და სხვა ბანდიტების დაპატიმრება ნამდვილად იგეგმებოდა. კერძოდ, ექიმების ფორმაში გადაცმული შეიარაღებული მებრძოლები ვითომდაც დაჭრილების გადასარჩენად სასწრაფოს მანქანით უნდა მისულიყვნენ სასტუმრო „თბილისთან“, შესულიყვნენ შენობაში და თენგიზ სიგუა აეყვანათ, მაგრამ გეგმა ჩავარდა, რადგან ოპერაცია გაიყიდა!

**— ვინ გაყიდა ოპერაცია?**

— ამ საქმის დეტალებს ვაზუსტებ და იმედია, უახლოეს მომავალში აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო მეტს გეტყვით!

**— ჩვენ არაერთხელ შევეხეთ ე.წ. „ელიტურ ინტელიგენციას“, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა და ქვეყნის მტრების სამსახურში ჩადგა. აღარაფერს ვამბობთ გიორგი ჭანტურიასა და ირინა სარიშვილზე! როგორ ფიქრობთ, მათი მოღალატეობრივი საქმიანობის შესახებ ყველაფერი თქვით?**

— არა, მათი ღალატის წიგნის ასე ადვილად დახურვა ყოვლად წარმოუდგენელია. 1991 წლის ნოემბრის დასაწყისში **გიორგი ჭანტურიამ** ციხიდან გამოგზავნა წერილი, რომელიც ღალატისა და სამშობლოს მტრობის კლასიკურ დეკლარაციად უნდა მივიჩნიოთ. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ შეფი და ედუარდ შევარდნაძის მეკავშირე პარტიის მთავარ კომიტეტს სწერდა: **„ჩემს უფლებამოსილებას ჩემს პატიმრობის პერიოდში გადავცემ ირინა სარიშვილს. ის, ვინც დღეს სტაბილიზაციისკენ გადადგამს ნაბიჯს, საკუთარ თავს დააყენებს პარტიის გარეთ!“**

გადატრიალების ერთ-ერთი იდეოლოგი **ედუარდ გუდავა,** რომელიც საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობას სიხარულით მიესალმა, გადატრიალების შემდეგ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა — **„შევბრძოლებოდნენ არა ზვიად გამსახურდიას, არამედ ზვიადიზმის არსს!“** სხვათაშორის, ედუარდ გუდავას, მის ძმას **თენგიზ გუდავასა** და მისთანებს, უმძიმესი პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა ამერიკელმა მოაზროვნემ **ისაია გოლდშტეინმა,** რომელმაც განაცხადა: **„ოპოზიცია და დასავლეთის პრესა უსამართლოდ ამახვილებდნენ ყურადღებას ზვიად გამსახურდიას შეცდომებზე და სავსებით გვერდს უვლიდნენ წარმატებებს, რომლებიც უთუოდ შეცდომებზე მეტი იყო“.**

სხვათაშორის, ისაია გოლდშტეინმა **ვალერი ჭალიძე,** რომელიც ზვიად გამსახურდიას ამერიკაში ლანძღავდა, კრემლთან კავშირში ამხილა! ფაქტობრივად, ისაია გოლდშტეინის აზრს იმეორებდა სახელოვანი ამერიკელი სოვეტოლოგი **რიჩარდ პაიფსიც,** რომელიც ჯერ კიდევ 1991 წლის ივნისში წერდა — **„კავკასიაში მდებარე საქართველო მძიმე დაწოლას განიცდის. დასავლეთში თვლიან, რომ საქართველოში ზღუდავენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და ტოტალიტარიზმის აღდგენისაკენ მიისწრაფვიან. ეს ბრალდება აბსურდულია და მისი წყაროა საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც გამიზნულია, უცხოეთის თვალში ჩირქი მოსცხონ ქართველთა დამოუკიდებლობას!“**

შევარდნაძის ცნობილი მეხოტბე **ლადო ალფენიძე** 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას **„დემოკრატიულ რევოლუციას“** უწოდებდა, ხოლო ედუარდ ამბროსოვიჩს — **„მოვლენას ისტორიაში“,** რომელიც მან საქართველოს ცამეტ ღვაწლმოსილ მეფეს შორის ნოე ჟორდანიასთან ერთად გააერთიანა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




**ამასაც მოვესწარით!**

# ივანე ჯავახიშვილის თსუ-ში სტუდენტებს ლგბტ იდენტობის ლექციებს უკითხავენ!



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | მუშაობის შესავალი | 1/1 | სემინარი | ნინო ტაბიძე |
| 18 | ლგბტქი იდენტობა-ბიო-ფსიქო-სოციალური პერსპექტივა | 5 | არჩევითი წინაპირობა სოციალური მუშაობის შესავალი | 1/1 | ლექცია | გიორგი წოწკოლაური |
| | | | | | სემინარი | გიორგი წოწკოლაური |
| | | | | | სემინარი | გიორგი წოწკოლაური |

# განათლების სამინისტროვ, ეს ჩვენი საამაყო ცოდნის ტაძარია თუ გეი-კლუბი?!




***ამასაც მოვესწარით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლგბტ იდეოლოგიას უკვე საგნად ასწავლიან! დიახ, ამ რამდენიმე დღის წინათ თსუ-ს სტუდენტებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია და ფოტომასალა, რომ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე არჩევით საგნად სწორედ ლგბტ იდენტობის სალექციო კურსია გათვალისწინებული.***

ამ „საგანს“ სტუდენტებს ასწავლის ვინმე **გიორგი წოწკოლაური** — ავტორი სახელმძღვანელოსი **„ლგბტქი იდენტობა — ბიოფსიქოსოციალური პერსპექტივა“!**

ამ სალექციო კურსში, რომელიც თითქმის 200-გვერდიან წიგნს წარმოადგენს, განხილულია ჰომოსექსუალიზმის მთელი ისტორია, მისი დევნიდან დაკანონებამდე და გაფურჩქვნამდე! უფრო მეტიც, აღწერილია, ეგრეთ წოდებული „სექსუალური ორიენტაციის ფორმირების“ ნიუანსებიც, **ანუ როგორ უნდა აღმოაჩინოს ბიჭმა რომ გეია, ანდა როგორ უნდა იგრძნოს ჯუმბერმა რომ სინამდვილეში ლამარაა!**

ბოდიშს ვიხდი ყველა ნორმალური ადამიანისათვის ასეთი გულისამრევი დეტალებისათვის, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რითი წამლავენ ჩვენს შვილებს „ცოდნის ტაძარში“: ამ სალექციო კურსში ცალკე თავად არის გამოყოფილი **„სექსუალობა და სექსუალური პრაქტიკა“!**

მოკლედ, არ გამოვრიცხავ, მალე ისიც გავიგოთ, რომ ამ ლექციებისას სტუდენტები პრაქტიკულ კურსსაც გადიან თეორიის უკეთ აღსაქმელად და ჰომოსექსუალურ თუ ლესბოსურ ორგიებსაც აწყობენ ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის აუდიტორიებში!

**რა თქმა უნდა, გურუ-ლექტორის პირადი ჩართულობითა და პედაგოგიური ტანკგაწირვით.** მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, განგაშის ზარებია შემოსარისხებელი და განათლების სამინისტროსა და თსუ-ს მესვეურებმა ქართველ საზოგადოებას დაუყოვნებლივ უნდა განუმარტონ:

**რა არის ეს?!**

და არავითარი გამართლება არ არის ის, რომ ეს ლგბტ ლექციები მხოლოდ არჩევითია და არა — სავალდებულო-საყოველთაო! **მთავარია, რომ ეს დაუშვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში!** და თუ ასე გაგრძელდა, მალე უნივერსიტეტის „თეთრი ტაძარი“ ლგბტ ცისარტყელას ფერის საროსკიპოდ გადაიქცევა, ხოლო ეს „საგანი“ ყველასთვის სავალდებულო გახდება... **თავში ჩარტყმით!** თუ მანამდე ჭკუიდან გადასულმა ხალხმა არ გირტყათ თავში ეს და კიდევ სხვა საგნები, აქ რომ ვერ დავასახელებ!

***გიორგი გიგაური***

**კვირგვინოსნები**

**ზურაბ გურიელიძე**
*ზოოპარკის დირექტორი*



**რატომ აჰყავთ ძაღლი, თუ არ სურთ მოვლა?** მაგალითად, ბავშვს უნდა ძაღლი, რომ ითამაშოს მასთან. ცოტა ხანში მობეზრდება და აგდებენ. **ძაღლი სათამაშო არ არის,** მას თავისი ქცევა, ხასიათი აქვს. ამიტომაც, როდესაც ცხოველი აჰყავთ, ჯერ კარგად უნდა გაიაზრონ, რისთვის აჰყავთ. **პატრონი პასუხისმგებელი უნდა იყოს ძაღლის თითოეულ ნაბიჯზე. თუ ძაღლი აგრესიულია, თავს ესხმის ვინმეს, პატრონი უნდა დაისაჯოს.**

„კვირის პალიტრა“

**გუბაზ სანიკიძე**
*პოლიტიკოსი*



მე თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რადგან, ფაქტობრივად, **იდეალური მეუღლე მყავს.** მამაჩემს ირმა ძალიან უყვარდა. პატარა გოგო იყო, მაგრამ ბევრი რამ ისწავლა და გაიგო. ბევრი რამ ისწავლა დედაჩემისგან. მამაჩემი ეუბნებოდა მათ, **ნორმალური რძალ-დედამთილი ერთმანეთს ებრძვიან, თქვენ კი არანორმალურები ხართო.**

„სარკე“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციური პარლამენტარი*



**დამღუპველ კანონს აკანონებენ** — უცხოელი სტუდენტები, **ქართული, სახელმწიფო ენის გვერდის ავლით,** ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით, ჩააბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში!

„ახალი თაობა“

***ბოლო დროს ტყვიის მავნე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სიცოცხლისთვის საშიში პათოლოგიებისა და გართულებების შესახებ ბევრს საუბრობენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. ეთილირებული ბენზინი, რომლის გამონაბოლქვიც სასიკვდილო საფრთხის შემცველია. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე გვაფრთხილებს, რომ ტყვია პირველი კლასის ძლიერ ნეიროტოქსიკურ ნივთიერებას მიეკუთვნება, რომელიც ტვინს აზიანებს და ორგანიზმიდან მისი გამოდევნა, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება:***



**„კაზრეთში რომ ყველაფერს აფეთქებენ და ოქროს მოიპოვებენ, იქ ყველაფერთან ერთად ტყვიაც განიბნევა ჰაერში და ერევა მდინარეებს, რომლითაც მემწვანილე თათრები თავიანთ სავარგულებს რწყავენ და მერე ასეთი ბოსტნეული თბილისში ჩამოაქვთ გასაყიდად!“**

# რამაზ გახოკიძე:

# მაღალი წნევა, გულისა და თირკმლის უკმარისობა, ანემია, სიბრმავე, უშვილობა სწორედ ეთილირებულ ბენზინთან ერთად გამონაბოლქვი ტყვიის დამსახურებაა!

— ეთილირებული ბენზინი დეტონაციის შესამცირებლად შექმნეს, რათა ავტომანქანის ძრავში ნელი წვა მოხდეს. პირველად ასეთი ბენზინი 1921 წელს „ჯენერალ მოტორსის“ ლაბორატორიაში გამოიყენეს, როცა ბენზინს **ტეტრაეთილტყვია** დაუმატეს. ამით შეაჩერეს ძრავის „კაკუნი“ და მიაღწიეს მეორე უმნიშვნელოვანეს ეფექტს — **თუ მანამდე ერთი ლიტრი ბენზინით მანქანა გადიოდა, დავუშვათ, 20 კილომეტრს, ახლა გაიარა 100 კილომეტრი.** მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ეთილირებული ბენზინის გამოყენებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოჰყვა კატასტროფა. კერძოდ, დამწვარ ბენზინთან ერთად მანქანებიდან ჰაერში გამოფრქვეულმა ტეტრაეთილტყვიამ გამოიწვია გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო, ბავშვთა განვითარების შეფერხება და უამრავი სხვა პათოლოგია.

**— როგორც ვიცი, ეთილირებული ბენზინის გამოყენება მთელ მსოფლიოში აკრძალულია და ამ მხრივ ჩვენთან რა ხდება?**

— გაეროს მონაცემების თანახმად, ბოლო ქვეყანა, რომელიც ეთილირებულ ბენზინს იყენებდა, გახლდათ **ალჟირი,** მაგრამ ეს საშიში საწვავი იქაც აიკრძალა. ცხადია, ეთილირებული ბენზინის გამოყენება საქართველოშიც აკრძალულია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მავნე და სიცოცხლისთვის საშიში პროდუქტის გამოყენების ფაქტები მაინც ფიქსირდება ზუსტად ისე, როგორც „დუსტს“ იყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხმარება სასიკვდილო საფრთხის შემცველია.

მოგეხსენებათ, 1948 წელს **პაულ მიულერს** „დუსტის“, ანუ იმავე **„დდტ“**-ს გამოგონებისთვის ნობელის პრემია მიანიჭეს, მაგრამ 1949 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მისი გამოყენება აკრძალა, რადგან კიბოს იწვევს. საბჭოთა კავშირში „დუსტის“ გამოყენება 1970 წელს აიკრძალა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს უკიდურესად საშიში პროდუქტი დღემდე ხმარებაშია... ზოგი ძაღლებსა და კატებს აყრის „დუსტს“, რათა ცხოველებს ტილები და რწყილები მოაშოროს, ხოლო ზოგი იმავე „დუსტით“ ვენახსაც კი წამლავს. **ჩათვალეთ, რომ „დუსტით“ შეწამლული ვენახის ყურძენი და მისგან დაწურული ღვინო შხამია და კიბოს იწვევს!**

გერმანიაში დაწესებული რეგულაციების თანახმად, სავარგულები, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ითესება და მოსავალი მოჰყავთ, საავტომობილო ტრასებიდან და ავტობანებიდან 2,5 კილომეტრით უნდა იყოს მოშორებული. სხვანაირად ავტობანის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთიდან აღებულ მოსავალს არავინ იყიდის. ჩვენში ამ მიმართულებით სრული კატასტროფა და ქაოსია... **უდიდესი დანაშაულია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის ერთიან სამინისტროში არსებობა!** გარემოს დაცვა სოფლის მეურნეობას უნდა აკონტროლებდეს და თუ ამ ორ უწყებას ერთ სისტემაში მოვაქცევთ, მაშინ ერთი მეორეს როგორღა გააკონტროლებს?

ამასწინათ წავიკითხე, ნიუჯერსის შტატში, აგარაკზე, კაცმა თვითნებურად ორი ხე მოჭრა და ამის გამო 25 ათასი დოლარით დააჯარიმესო. საქართველოში კი ტყეები გაჩეხეს, მაგრამ კაციშვილს პასუხი არ უგია!

**— მაინც რა უბედურება მოაქვს გამონაბოლქვ ტყვიას, რომელსაც ეთილირებული ბენზინი შეიცავს?**

— დადგენილია, რომ აირად მდგომარეობაში ტყვია ორასზე მეტ მომწამვლელ ნივთიერებას შეიცავს. მაღალი წნევა, გულისა და თირკმლის უკმარისობა, ანემია, სიბრმავე, უშვილობა სწორედ ეთილირებულ ბენზინთან ერთად გამონაბოლქვი ტყვიის დამსახურებაა! **ტყვიას შეუძლია ადამიანის ორგანიზმში შეაღწიოს დაუზიანებელი კანიდანაც, რაც, პირველ რიგში, ნერვული სისტემის ქრონიკულ დაზიანებას იწვევს.** ამიტომ ტყვია პირველი კლასის ძლიერ ნეიროტოქსიკურ ნივთიერებას მიეკუთვნება, რომელიც ტვინს გამოუსწორებელ დარტყმას აყენებს. უბედურება ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით ამის ანტიდოტი არ არსებობს. **თუ ტყვია ორგანიზმში მოხვდა, მისი გამოდევნა, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება.**

მდგომარეობას ყველაზე მეტად ის ართულებს, რომ ტყვიას ნახევარდაშლის პერიოდი არ გააჩნია, ანუ რადიაქტიური ელემენტებისგან განსხვავებით, არ იშლება! ამიტომაა, რომ

**რადიაქტიურ ნივთიერებებს და მათ ნარჩენებს ხშირად სწორედ ტყვიის სარკოფაგში ათავსებენ, რათა მათ ადამიანზე მავნე ზეგავლენა არ მოახდინონ.**

ჯერ კიდევ 70-იან წლებში ვწერდი, რომ ე.წ. ეთილირებული ბენზინი მოსახლეობისთვის უდიდესი საფრთხის შემცველი იყო და ქალაქის ჰაერის დაბინძურების 70-80 პროცენტი სწორედ მავნე გამონაბოლქვზე მოდიოდა. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არათუ გამონაბოლქვის სახით ჰაერში არსებული, არამედ საკვები პროდუქტების შესაფუთ მასალებზე უმცირესი რაოდენობით გამოყენებული ტყვია უდიდესი საფრთხის შემცველია, რადგან ის საკვებზე გადადის და საფრთხეს გვიქმნის. უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებს, რომ ძველი რომაელები სწორედ ტყვიამ გაანადგურა.

**— გთხოვთ, დავუკონკრეტოთ მკითხველს...**

— ამ პრობლემაზე ყურადღება მიმაქცევინა უდიდესმა მეცნიერმა **ირაკლი გვერდწი-**





შვეიცარიელი ქიმიკოსი პაულ ჰერმან მიულერი

**„1948 წელს პაულ მიულერს „დუსტის“, ანუ იმავე „დდტ“-ს გამოგონებისთვის ნობელის პრემია მიანიჭეს, მაგრამ 1949 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მისი გამოყენება აკრძალა, რადგან კიბოს იწვევს!“**



# „უდიდესი დანაშაულია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის ერთიან სამინისტროში არსებობა!“

**თელმა,** რომელმაც მითხრა — მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში ეთილირებული ბენზინის გამოყენება უკვე აკრძალულია და იქნებ თბილისშიც აკრძალოთო! მივაღწიეთ იმას, რომ კომუნისტების დროს ეთილირებული ბენზინი თბილისშიც აღარ იყიდებოდა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ქვეყანა აირია და ვის რა საწვავი შემოჰქონდა, ამის გაკონტროლება წარმოუდგენელი იყო!

რაც შეეხება რომის მოსახლეობის მასობრივ განადგურებას, რომაელთა სამარხების ანალიზი ადასტურებს, რომ იმპერიის მოსახლეობა წყლის მილებად ტყვიას იყენებდა, როგორც ადვილად დასამუშავებელ და რბილ მასალას. ტყვიისგან დამზადებულმა სასმელი წყლის მილებმა რომის იმპერიის მოსახლეობა მასობრივად გაჟუჟა და გამოიწვია ბავშვთა აგრესია, ადამიანების გონებრივი ჩამორჩენილობა, უშვილობა, კიბო, ინსულტები, ინფარქტები და ათასი უბედურება!

საქართველოში ეთილირებული ბენზინი შესაძლოა აღარ იყიდება, მაგრამ გამონაბოლქვი ტყვიით ნიადაგი გაჯერებულია. **კაზრეთში რომ ყველაფერს აფეთქებენ და ოქროს მოიპოვებენ, იქ ყველაფერთან ერთად ტყვიაც განიბნევა ჰაერში და ერევა მდინარეებს, რომლითაც მემწვანილე თათრები თავიანთ საკვარგულებს რწყავენ და მერე ასეთი ბოსტნეული თბილისში ჩამოაქვთ გასაყიდად.**

კახეთში ტყვიის ჰაერში გაფრქვევას და მერე ნიადაგში მოხვედრას ძალიან უწყობდა ხელს სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარი „ალაზანი“, რომელსაც სეტყვის გამომწვევ კერებს ესროდნენ და დღესაც ესვრიან. საქმე ის გახლავთ, რომ ეს დანადგარი სწორედ **ტყვიის იოდიდის** მეშვეობით ფანტავს და შლის სეტყვის გამომწვევ იმ ცენტრებს, რომელიც ღრუბელში გაითქვიფება და მერე წვიმის სახით ნიადაგში ხვდება. ავტეხეთ ამაზე განგაში, მაგრამ უარესი მოხდა — **ტყვია შეცვალეს ვერცხლით, რომელიც ტყვიაზე უფრო შხამიანია.**

საბჭოთა კავშირის დროს გამოდიოდა ასეთი ცნობარი — „ნაციონალნი დოკლად პო ოხრანე ოკრუჟაიუშჩეი სრედი სსსრ“. მრცხვენოდა იმ ცნობარში ჩახედვა, რადგან ყველაზე უფრო დაბინძურებული ქვეყანა საქართველო იყო. დღესაც ასეა...

იმ ცნობარის თანახმად, საქართველოში ყველაზე საშიში და ტოქსიკური, ტყვიით დაბინძურებული არეალი გახლავთ ალაზნის ველი, რადგან იქ სწორედ ტყვიის შემცველ „გრადებს“ ესროდნენ სეტყვის გამომწვევ ღრუბლებს. **საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო სუფთა ტერიტორია იყო ბალტიისპირეთი.** ტექნოლოგიების განვითარებამ დამატებით ახალი უბედურება მოიტანა, რადგან გახშირდა ე.წ. „მჟავური წვიმები“, რომლებიც ჩადის ნიადაგში, შლის ტყვიას, ხოლო დაშლილი ტყვია ძალიან სწრაფად ხვდება მცენარეებში — ყურძენში, ხორბალში, მზესუმზირაში და ა.შ.

**— საქართველოში მოდური იყო ტყვიის საღებავები...**

— მაგალითად, წითელი ფერის სურინჯი, თეთრი ფერის ე.წ. „ბელილა“, რომლებითაც დღემდე ღებავენ სახლის სახურავებს... ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, ბანგლადეშიდან, ირანიდან, თურქეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ შპალერებსა და ბავშვთა სათამაშოებშიც ფიქსირდება კიბოს გამომწვევი ტყვია და კადმიუმი. უხარისხო სათამაშოებში წითელი ფერი მიღებულია სწორედ ტყვიისგან, ხოლო ყვითელი — კადმიუმისგან. ამიტომაა, რომ ბავშვთა სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა.




ამასწინათ საფრანგეთიდან ექიმმა დამირეკა და მითხრა — **გაგიჟებული ვარ, საქართველოდან ჩამოყვანილი ათი ბავშვიდან რვა სიმსივნური პაციენტია, რა ხდება საქართველოშიო?!** გიმეორებთ, რომაელების, მათ შორის, იმპერატორების, ძვლებში ტყვია აღმოჩნდა და რომის იმპერიის მოსახლეობას სწორედ ამან მოუღო ბოლო. თანაც, ტყვიის ზემოქმედების შედეგად განვითარებულ მომაკვდინებელ ეფექტს ძალიან აჩქარებდა ღვინო!

**— ღვინო?!**

— დიახ, ღვინო, რადგან რომაელები ხშირად ღვინის ამფორებსაც ტყვიისგან ამზადებდნენ. ღვინო მჟავებს შეიცავს, რომელიც ტყვიაზე ზემოქმედებდა, ტყვია ღვინოში იხსნებოდა და მისი მომაკვდინებელი ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ უმკაცრესი კონტროლია დასაწესებელი როგორც ეთილირებულ ბენზინზე, ისე იმ პროდუქტებზე, ნივთებსა და ნიადაგზე, რომლებიც, სამწუხაროდ, მთელი ამ წლების განმავლობაში ტყვიითა და მისთანა შხამებით გახლავთ გაჯერებული!

•

***ბატონი რამაზ გახოკიძის სკანდალური ინტერვიუს შემდეგ „საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტს“, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ შალვა ოგბაიძეს დავუკავშირდით და ვკითხეთ, უქმნის თუ არა ეთილირებული ბენზინი საფრთხეს მანქანის ძრავს?***





## შალვა ოგბაიძე:
## გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის შხამია, მაგრამ ეთილირებული ბენზინი ავტომობილის ძრავს არ აზიანებს!

**შალვა ოგბაიძე:** — საწვავის ოქტანობა განსაზღვრავს დეტონაციისადმი მის მედეგობას. დეტონაცია ძრავს ანგრევს. კერძოდ, თუ ჩვეულებრივი ბენზინისა და ჰაერის ნარევი 25 მეტრ/წმ სისწრაფით იწვის, დეტონაციური წვის დროს, როცა ძრავის დგუში ჯერ კიდევ არ არის მისული ზედა მკვდარ წერტილში, აალება იწყება ე.წ. „სვეჩის“ გარეშე, თვითნებურად და ძრავში, ყველა ცხელ წერტილში ჩნდება ე.წ. დეტონაციური კერები. ასეთ დროს ძრავში ალი 2500-დან 3000-მდე მეტრ/წმ სიჩქარით ვრცელდება, ანუ ჩვეულებრივი წვის სისწრაფესა და სიმძლავრეს ასჯერ აჭარბებს. ეს იწვევს დაზიანებას და ძრავა გამოსცემს წკრიალის ხმას, რაზეც მძღოლები იტყვიან — „კლაპნები ურტყამსო!“ სინამდვილეში არავითარი „კლაპნები“, ანუ სარქველები არ „ურტყამს“ და ყველაფერი დეტონაციური წვის შედეგია, როცა წკრიალის ხმა გამოიცემა დგუშის კედლიდან...

იმისათვის, რომ დაბალი ოქტანობის საწვავი „გაეკეთილშობილებინათ“, გამოიგონეს ე.წ. „წყლის შეფრქვევის“, გაზის კონდესატის ბენზინში შერევისა და ბენზინისთვის ტეტრაეთილტყვიის დამატების მეთოდები. ეს უკანასკნელი ბენზინის „გასაკეთილშობილებლად“ ყველაზე უფრო ბარბაროსული მეთოდია. სწორედ ამ გზით მიღებულ საწვავს ეწოდება ე.წ. **„ეთილირებული ბენზინი“,** რომელიც ძალიან საშიში პროდუქტია. ასეთი ბენზინი დეტონაციისადმი მედეგია, მაგრამ მისი გამონაბოლქვი, როგორც ავტომობილის კატალიზატორის, ისე გარემოსათვის კატასტროფაა! ასეთი საწვავის გამონაბოლქვი მანქანის კატალიზატორის აქტიურ ელემენტს გარსს უკეთებს. საკმარისია, ასეთი საწვავით მანქანამ ერთი საათი იმუშაოს, კატალიზატორი გადასაგდები გახდება.

რაც შეეხება თქვენს მთავარ შეკითხვას, გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მისი გამონაბოლქვი შხამია, მაგრამ ეთილირებული ბენზინი ავტომობილის ძრავს არ აზიანებს! პირიქით, „ა-76“ ბენზინს ტეტრაეთილტყვია გარკვეული დოზით რომ დაამატო, მისი ოქტანობა „რეგულარამდე“, ანუ „ა-93“-მდე მაინც აიწევს! ძრავის მაღალი კუმშვის ხარისხს სჭირდება მაღალი ოქტანობის საწვავი.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ტყვიისგან დამზადებულმა სასმელი წყლის მილებმა რომის იმპერიის მოსახლეობა მასობრივად გაჟუჟა და გამოიწვია ბავშვთა აგრესია, ადამიანების გონებრივი ჩამორჩენილობა, უშვილობა, კიბო, ინსულტები, ინფარქტები და ათასი უბედურება!“**

# «დოქტორ დოტის» შემდეგ თბილისში როტიც ჩამოვიდა!

***ე.წ. „დოქტორი დოტი“, ანუ გერმანელი დოროთი შტაინი მთელმა საქართველომ მას შემდეგ გაიცნო, რაც 2008 წლის აგვისტოს ომში ჩასვრილმა და მიწაზე ნაფორთხებმა სააკაშვილმა ცნობილი პორნომასაჟისტი ამერიკიდან სპეცრეისით თბილისში ჩამოიყვანა.***



გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როტი

ამ ვიზიტის შესახებ ჩვენ ვერასდროს ვერაფერს გავიგებდით, რომ არა თავად **„დოქტორი დოტი“,** რომელმაც ამ ყველაფრის შესახებ დაწერა და მომხდარის დასტურად სოციალურ ქსელებში ფოტოსურათებიც გამოაქვეყნა. თავიდან სააკაშვილი და მთელი მისი სამყაყეთი აკრიახდნენ — ტყუილია, ტყუილიაო! მაგრამ **„დოტმა“** სააკაშვილთან ერთად გადაღებული ფოტოებიც რომ გამოამზეურა, ნაცსექტაში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა და უაზრო თავის მართლებაც შეწყდა. სხვათაშორის, **„დოქტორ დოტთან“** დაკავშირებით სააკაშვილს ბრალი აქვს წაყენებული და გარყვნილ ნაპრეზიდენტალს ბიუჯეტის სახსრების არადანიშნულებისამებრ გაფლანგვაში ედავებიან!

რაც შეეხება **მიხეილ როტს,** ანუ „დოქტორ დოტის“ თანამემამულეს, რომელიც გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს ხელმძღვანელობს, ამ ვაჟბატონს, რომელმაც წინა კვირას საქართველოს ხელისუფლება თბილისში ვიზიტის დროს უცერემონიოდ ლანძღა, ყურები გერმანული „ავჩარკასავით“ ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა დაცქვეტილი, როცა 2023 წლის 7-8 მარტს რუსთაველის პროსპექტზე ცოდვის ტრიალი იყო. სწორედ მაშინ, **ლაზარე გრიგორიადისი და მისნაირი ნაძირალები** საქართველოს გადასაბუგად და ადამიანების ცოცხლად დასაწვავად **„მოლოტოვის კოქტეილებს“** რომ ისროდნენ, **როტი** თავისი ტვიტერის გვერდზე **„ტვიტავდა“ — „დღეს ევროპის გული თბილისში ძგერს!“**

უფრო მეტიც, **როტი ხათუნა სამნიძის, ანა ნაცვლიშვილის, თამარ კორძაიას, ეკა გიგაურისა და ნინო ლომჯარიას** მსგავსად, „ხალხის ძალის“ მიერ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ ინიცირებულ კანონს **„რუსულ კანონს“** უწოდებდა და ჩვენი მისამართით გაიძახოდა — **„ეს სამოქალაქო საზოგადოებაა, სულელო! ძალიან შეშფოთებულები ვართ უცხოური აგენტების ინიცირებული კანონპროექტით საქართველოში. ეს არის თავდასხმა დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე, მიზანმიმართული საჩუქარი რუსეთისთვის და პირდაპირი გამოწვევა ქართველი ხალხის ევროკავშირის არჩევანისთვის. არ გადაკვეთო წითელი ხაზი, ძვირფასო საქართველოს პარლამენტო!“**




მიხეილ სააკაშვილი და დოროთი შტაინი, იგივე „დოქტორი დოტი“

**პოპულიზატორად და დიდ გულშემატკივრად მოგვევლინა, მაგრამ ფაქტია, რომ მან ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა უკბინოს საქართველოს ხელისუფლებას და ქართველი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელსაც არც ერთნაირსქესიანთა ქორწინება აინტერესებს და არც როტის მორალი თუ ორალი...**

ცნობილია, რომ სააკაშვილმა „ცხელი ღამისა“ და კბენით ჩატარებული პორნომასაჟის შემდეგ **„დოქტორი დოტი“** ოქროს ყელსაბამითა და ხმლით დაასაჩუქრა. როგორც თავად დაწერა, **„დოქტორ დოტს“** ოქროს ყელსაბამი არ გაუკეთებია, რადგან ოქრო არ უყვარს, მაგრამ ხმალი შენახული აქვს. საინტერესოა, რისთვის შეიძლება გამოიყენოს **„დოქტორმა დოტმა“** სააკაშვილის ნაჩუქარი ხმალი? საკითხავია, გერმანელი ქალბატონის ხელში სააკაშვილის მიერ ნაჩუქარ ხმალს ხომ არ ექნება ზუსტად ისეთივე დატვირთვა, რის შესახებაც ავადმყოფმა და ცნობილმა ფალოსოფოსმა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** წლების წინათ აკანკალებულმა დაწერა — **„ქართვლის დედას“ რომ ვხედავ, სულ მეშინია, რამე არ წამაჭრასო!**

ცნობილია, რომ ვიდრე „საქმეს“ შეუდგებოდნენ, სააკაშვილმა **„დოქტორ დოტს“** ძალით დაალევინა ერთი ჭიქა კონიაკი, რის შემდეგაც გერმანელმა პორნომასაჟისტმა მეხსიერება დაკარგა და დილით საშინელი თავის ტკივილით გაიღვიძა. **„დოქტორი დოტი“** ვარაუდობს, რომ ჭიქაში ძლიერი ჰალუცინოგენი ჩაუყარეს.

**საინტერესოა, ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ჰერ მიხეილის „როტშიც“ ხომ არ მოხვდა იმის მსგავსი ჰალუცინოგენი, რომელმაც „დოქტორ დოტს“ მეხსიერება დააკარგვინა და მთელი ღამე სააკაშვილს სად კბენდა, დღემდე არ ახსოვს?**

**„დოქტორ დოტს“** საქართველოსთვის არაფერი დაუშავებია, სააკაშვილს **„როტით“** პორნომასაჟი ჩაუტარა, მომსახურების ფული წაიღო და წავიდა...

**„დოქტორ დოტისგან“** განსხვავებით, **მიხეილ როტი** აშკარად **როტავს,** რაც ქვეყანას შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს!

## როტმა «როტი» მოალო!

მოგეხსენებათ, საქართველოს ხელისუფლებამ, რომელსაც ამ კანონის მიღების გამო ამერიკის გაცხადებული აგენტურა პირდაპირ სახელმწიფო გადატრიალებას უწყობდა, პროექტი უკან გაიწვია და ქვეყანას დიდი უბედურება აარიდა. ახლა, როცა თითქოს ყველაფერი მიწყნარდა და ოპოზიციაშიც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, ირაკლი ღარიბაშვილის გერმანიის კანცლერთან ვიზიტის წინ **მიხეილ როტი** პირდაპირ საქართველოში ჩამოვიდა და სააკაშვილის ტელეკანალიზაციების წინ **„როტი“** მოაღო — ისაო, ესაო, ვიცით, რთულიაო, მაგრამ „ქვიარ“ თემს დაცვა უნდა და ქართველებმა სექსუალური უმცირესობების პატივისცემა და მათ მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა უნდა ისწავლოთო!

რომ გვეგონა, გერმანელი სადღაც შეკავდებოდა და გაჩერდებოდა, თქვენც არ მომიკვდეთ, გარეკა და გარეკა და თან აშკარად თითი დაგვიქნია — **საქართველოს ხელისუფლება რუსულ ნარატივს ეყრდნობა, მაგრამ „ქვიარ“ თემი პატივისცემას მოითხოვს და ამ მხრივ არც ერთნაირსქესიანთა ქორწინებაა გამონაკლისიო!**

მოკლედ, გერმანელმა როტმა მანჭვა-გრეხით, მაგრამ, ფაქტობრივად, ის გვითხრა, რაც შარვალჩახდილმა **ზურაბ-გირჩმა** კარგა ხნის წინათ უსირცხვილოდ და საქვეყნოდ განაცხადა — **ჩემი „როტი“ ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო!**

ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს საღორიის ტყის ცნობილი **„როტმისტრის“ — ელისტრაკო კილაძის** გამონათქვამს — **რა თქვენი საქმეა, თემურ ალასანიასთან ჩახუტებული რომ ვარო!**

ის ფაქტი, რომ **„დოქტორი დოტის“** შემდეგ საქართველოში **მიხეილ როტი** ჩამოვიდა, მრავლისმეტყველია იმდენად, რამდენადაც **როგორც „დოტი“, ისე როტი** დაკავშირებული არიან ე.წ. „ქვიართან“, ანუ დიდ უცნაურობასთან. საქმე ის გახლავთ, რომ **„დოქტორი დოტი“** სწორედ **„როტით“, ანუ პირით** აკეთებდა ეროტიკულ მასაჟს და კლიენტებს კბენდა... **ჩვენ არ ვიცით, სად უკბინა „დოტმა“ სააკაშვილს და იცის თუ არა მათი აღვირახსნილი ურთიერთობის შესახებ არანაკლებ აღვირახსნილმა როტმა, რომელიც თბილისში, ფაქტობრივად, სოდომისტებისა და ლგბტ კონჩიტების**



**გერმანელმა როტმა ის გვითხრა, რაც შარვალჩახდილმა ზურაბ-გირჩმა კარგა ხნის წინათ უსირცხვილოდ და საქვეყნოდ განაცხადა – ჩემი „როტი“ ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მირიან მირიანაშვილი**

*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



**სააკაშვილს** არავინ აწამებს. ის იმყოფება კლინიკის ყველაზე ძვირადღირებულ ნომერში. მას თავს დასტრიალებს პერსონალი. აგერ, გავიგეთ, რომ **ბავშვიც ჩაუსახავს პატიმრობის დროს. რუსეთის დავალებების შემსრულებელი სააკაშვილი** კომფორტულ პირობებშია, საქართველოს ხელისუფლებაც არაფერს გააკეთებს ისეთს, რაც რუსეთსა და რუსეთის კურატორებს გაანაწყენებს. გადაწყვეტილებების მიმღებებმა შესანიშნავად იციან **სააკაშვილის რუსეთთან კავშირების შესახებ.** მათ უწყიან ისიც, თუ **როგორ უზრუნველყო სააკაშვილმა პუტინის დავალებით 2008 წელს საქართველოს ჯარის დამარცხება.** ჩვენი სამხედროები, ჯარისკაცები ვაჟკაცობას იჩენდნენ, **სააკაშვილი კი ამ დროს რუსეთის დავალებას ასრულებდა.**

„ახალი თაობა“

**დავით კუხალაშვილი**

*ექსპერტი*



უკვე გვაქვს ნიშნები **არალეგალური იარაღის** გამოყენებისა. ალბათობის მაღალი ხარისხით, ე.წ. ბუფერული ზონები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ **ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვადასხვა საშუალების შემოსაზიდად,** რომლებიც მობილიზებული იქნება **სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობისათვის.**

2008 წლის მოვლენების დროს **ბევრი იარაღი დაკარგეს შეიარაღებულმა ძალებმა და ისინი, სავარაუდოდ, ხალხის ხელში აღმოჩნდა.** სახელმწიფომ უნდა დააწესოს კონკრეტული ვადა და მოუწოდოს მოქალაქეებს, ჩააბარონ იარაღი.

„კვირის პალიტრა“

**მიხეილ ყაველაშვილი**

*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ის ხალხია, რომელმაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, **ჯარისკაცების ცხედრები ჯერ გაციებულიც რომ არ იყო, ხალხს წაგებული ომი აზეიმა და რუსეთთან დათბობის პოლიტიკაზე ალაპარაკდა.** ბოდიში და უძვრებოდნენ რუსეთს — რა არ იკადრეს.

„POSTTV“

# ვანმოხდილი

## სიტყვა ართქმული ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ვანში ვანდალების წინააღმდეგ!

***როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძემ ანდერძად დაიბარა — სამტრედიას ჩემი სახელი — „გალაკტიონი“ დაარქვითო! სოფელ ჭყვიშში დაბადებულს ვანის შესახებ არაფერი დაუბარებია, რადგან პოეზიის მეფემ ბევრ ისტორიკოსზე უკეთ უწყოდა, რომ ვანი, რომელსაც დიდი ხანია, ადგილობრივი მოსახლეობა „ვაის“ ეძახის, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაიბრუნებს ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ მის თავანკარა და პირველყოფილ სახელწოდებას — სურის ან სურიონს!***

2023 წლის 6 ივნისს სწორედ მიწამიყრილ **სურიონსა** და სანახევროდ ცოცხალ **ვანს** სტუმრობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელმაც მთელ საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში უნიკალური და ჯერჯერობით უპრეცედენტო მოვლენა — **ვანის არქეოლოგიური მუზეუმისთვის სილეტოს გარდამავალი ჯილდოს მინიჭება მიულოცა.** სილეტოს პრიზი ვანის არქეოლოგიურმა მუზეუმმა, რომელიც 1985 წლის 25 სექტემბერს დიდმა ქართველმა აკადემიკოსმა **ოთარ ლორთქიფანიძემ** დააფუძნა, 6 მაისს ბარსელონაში გამართულ ცერემონიალზე მიიღო.



ირაკლი ღარიბაშვილი ვანში. 2023 წლის 6 ივნისი

იმ დღეს თბილისსა და ქუთაისში გამართული არაერთი შეხვედრისა და წარმატებით დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გაცნობის შემდეგ, ვანში ჩასული ღარიბაშვილი დაღლილი ჩანდა. **არ არის გამორიცხული, რომ პრემიერზე დამთრგუნველად იმოქმედა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის გზაგასაყარზე გაურკვეველი წარმოშობის ვანდალების მიერ აყვავებული სურიონის დაქცევის ისტორიამ, რომლის შესახებაც მუზეუმის ექსკურსიამძღოლები, ალბათ, ზედაპირულად მაინც მოუთხრობდნენ.** დიახ, შესაძლოა, ესეც იყო მიზეზი, რომ **ირაკლი ღარიბაშვილმა** თანამედროვე ვანდალების შესახებ ვანიდან არაფერი თქვა! **არადა, სათქმელი ბევრზე ბევრი აქვს!**

მკითხველს შევახსენებთ, რომ ქალაქი **სურიონი,** რომელიც ლეგენდარული კოლხეთის პოლიტიკური თუ არა, რელიგიური და კულტურული ცენტრი უსათუოდ იყო, ხელმეორედ მაშინ დაიბადა, როცა 1881 წლის 28 მაისს გაზეთმა „დროებამ“ დაწერა — **პატარა სოფელ საჩინოში მდებარე ერთ პატარა გორაკზე წვიმა ისე არ ჩაივლის, ადგილობრივებმა დიდი ან მცირე ზომის უძველესი ოქროს ან ბრინჯაოს ნივთი არ იპოვონო!**

1947 წლიდან ამ ტერიტორიაზე ინტენსიურად წარმოებს არქეოლოგიური გათხრები. ვანში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა არტეფაქტებმა მსოფლიო მას შემდეგ აალაპარაკა, რაც სამეცნიერო სამუშაოებს სათავეში დიდი ქართველი აკადემიკოსი **ოთარ ლორთქიფანიძე** ჩაუდგა. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა 1985 წლის 25 სექტემბერს ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელსაც ორი წლის შემდეგ ოქროს ფონდიც შეემატა, მაგრამ მერე ქვეყანაში მონასტერი აირია და ვანის არქეოლოგიური მუზეუმიც დაიკეტა. **როგორც მოსალოდნელი იყო, ოქროს ფონდი თბილისში გადაიტანეს, რათა სწორუპოვარი და შეუფასებელი საგანძური იმ ნაძირალებს არ ჩაეგდოთ ხელში, რომლებმაც იმ საშინელ წლებში გალაკტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმების გვერდით შემონახული და დაცული „არგოს“ გადაბუგვა მოახერხეს.** ეს იმ „არგოს“ ზუსტი ასლი გახლდათ, რომლითაც ცნობილი ინგლისელი მკვლევარი **ტიმ სევერინი** 1984 წელს ანტიკური იოლკოსიდან არგონავტების ნაკვალევზე გამოემართა და ივლისში საქართველოში, კერძოდ, ვანში, მდინარე რიონით შემოვიდა.

სხვათაშორის, **დღემდე არსებობს ეჭვები და მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ვანის განძის რამდენიმე უძვირფასესი ეგზემპლარი წყეულმა სააკაშვილმა და მისმა გაუმაძღარმა ოჯახმა „გაასუხარეს“ და მათ ნაცვლად მუზეუმში მულაჟები დააწყვეს!**

ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები არ მაქვს და არც ის მინდა, ეროვნული მუზეუმის დირექტორს, ფრიად პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ **დავით ლორთქიფანიძეს** უსაფუძვლოდ რამე ვაწყენინო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიეთ-მოეთსა და ჭორ-მართალს ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე გაირკვეს — **სააკაშვილმა და მისმა ბანდამ გაიტაცეს თუ არა ეროვნული მუზეუმიდან არტეფაქტები?**

რა რჯულის იყვნენ ის მართლაცდა ვანდალები, რომლებმაც აყვავებული და დამშვენებული **სურიონი** დააქციეს და იავარქმნეს, ჯერჯერობით მეცნიერებისთვის უცნობია, მაგრამ პრემიერ-მინისტრმაც და მთელმა საქართველომ ზუსტად იციან იმ **ვანდალების** წარმომავლობისა და ბუნაგის შესახებ, რომლებიც საქართველოს გადასაბუგად ნიადაგ მზად არიან! ამ **ვანდალებს** ზოგი ვანიდან უწყობს ხელს, ზოგი — **ვანის ქვაბებიდან,** ხოლო ზოგი — **ვანის** ტბიდან...



ერთადერთი, ვინც **ვან**დალების მხარეს არ არის და ვანიც ეძვირფასება, ბატონი **ვან** ბაიბურთი გახლავთ, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ სომხეთში დამზადებული ისეთი გარგარის არაყი მაჩუქა, იმის შემდეგ მე და ჩემი სიძე ეთილირებული სომხური წირანის უდიდესი თაყვანისმცემლები გავხდით!

მადლობა ბატონ ვანს, რომ არაყი ჩემი მენიუდან ერთხელ და სამუდამოდ ამოვარდა...

მოკლედ, ირაკლი ღარიბაშვილმა **ვანიდან ვან**დალების წინააღმდეგ თავისი სათქმელი დუმილით თქვა, თუმცა, **ყველას მიანიშნა, რომ ზუსტად იცის იმ ვირეშმაკობის შესახებ, რაც უკლებლივ ყველა არჩევნებზე ვანში ხდება.** ცხადია, აქ იმ „პირუმტკიცობას“ ვგულისხმობთ, როცა მოღალატეები და ოპოზიციასთან ფულით დაკავშირებული მეძროვეები საარჩევნო კომისიებს მიზანმიმართულად **მამალი ნაცებით** აკომპლექტებენ, რომლებიც გარეგნულად ვითომდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან და ამ დროს ნაცსექტანტების გასამარჯვებლად ყირაზე გადადიან!

**ვანში მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს საქართველოში არც „ვანიების“ მასობრივ ჩამოსვლაზე უსაუბრია და რაიონიდან აშკარად „ვანმოხდილი“ წავიდა, რადგან სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ის, რაც დღეს თუნდაც სოფელ იმერუხუთში ხდება, როცა გზა მოასფალტდა და უამრავი ინფრასტრუქტურული სიკეთე განხორციელდა, თვით კომუნისტების დროსაც კი არ მომხდარა!**

ყველაზე დიდი განაცხადი **ირაკლი ღარიბაშვილმა** გააკეთა არა ბრატისლავადან, რაბათის ციხიდან ან პენტაგონიდან, არამედ სწორედ **ვანიდან,** სადაც თავისი იმერული ტურნე დაასრულა და მთელ საქართველოს დაანახა, რომ ირგვლივ გამეფებული საყოველთაო ქაოსისა და სისხლისღვრის ფონზე საქართველო შენდება!

დასასრულ მივუბრუნდებით იმ თემას, რომლითაც წინამდებარე წერილი დავიწყეთ!

მიგვაჩნია, რომ **ვანს** სახელი უნდა შეეცვალოს, ისტორიული სამართლიანობა აღდგეს და ქალაქს ძველისძველი სახელი — **„სურიონი“** დაერქვას, მაგრამ **ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაიონის ხელმძღვანელობაში მოკალათებული და ვანდალებთან შეკრული რამდენიმე „სირიონი“ თანამდებობას ერთხელ და სამუდამოდ გამოემშვიდობება!**

### ვანს ძველისძველი სახელი – «სურიონი» უნდა დაერქვას!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი*



**ლაფანყურის მოვლენების დროს დადასტურდა, რომ საქართველოში მიმდინარეობდა ტერორისტების წვრთნა და მომზადება,** რასაც საქართველოს მაშინდელი ავტორიტარული რეჟიმის სპეცსამსახურები უწყობდნენ ხელს, დიდი ალბათობით, **რუსული სპეცსამსახურების დაკვეთით.** ეს სახიფათო პროვოკაცია იყო, საქმეში ჩვენი ქართველი მოქალაქეები იყვნენ ჩათრეული. სამწუხაროდ, **ეს საქმე ბოლომდე არ გამოუძიებიათ და, როგორც ჩანს, არც გამოიძიებენ, სანამ საქართველოში რუსეთის ძლიერი გავლენა ექნება.**

„კვირის პალიტრა“

**დიმიტრი შაშკინი**
*ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი*



ნაციონალური მოძრაობის გარეშე **„რუსული ოცნების“ მოშორება** შეუძლებელია, თუ ადამიანს ამის დანახვა არ უნდა, მიამიტია ან არ არის ფხიზელ მდგომარეობაში.

„პალიტრანიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **მოგების გასაღები** არ არის!

„იმედინიუსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



„გაახურა“ საქმე **ხაბეიშვილმა,** როდესაც ლაპარაკობს „ოცნებაზე“ — რუსულიაო. კი ბატონო, ვეთანხმები, **„რუსული ოცნებაა“ ნამდვილად,** მაგრამ შენ ვინა ხარ ამ დროს?!

„ახალი თაობა“

**გიორგი ბოტკოველი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



„ქართულ ოცნებაში“ რომ **ნგრევისა და რღვევის პროცესი დაწყებულია, იშლება, „ერთმანეთს ჭამენ“,** ეს ნამდვილად ნაციონალური მოძრაობის ბრალია.

„ინტერპრესნიუსი“

# რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!




დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-26

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***



## გია ხუხაშვილი: მე არ ვიცი, როგორ გარდაიცვალა ბადრი, მაგრამ ვიცი, რას შეეძლო, ის მიეყვანა ამ დასასრულამდე!

**გია ხუხაშვილი** 2008 წლის იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის, როგორც იტყვიან, წიხლით გამარჯვების ნიუანსების აღწერის კვალდაკვალ, **ბადრი პატარკაციშვილის** სიკვდილს იხსენებს. როგორც ცნობილია, სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაცია 20 იანვარს შედგა, პატარკაციშვილი კი 11 თებერვალს აღესრულა:

***„11 თებერვალს ბადრი გარდაიცვალა...***

***მისი გარდაცვალების მრავალი თეორია მსმენია, რადგან ასეთ დროს არავის უნდა ბუნებრივი სიკვდილის ვერსიის დაჯერება.***

***დღემდე ეს რწმენა — მჯერა-არ მჯერას საკითხია.***

*მე ამაზე ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ მისი მეუღლის მონაყოლი შემიძლია, გადმოგცეთ.* ***ინამ*** *მითხრა, რომ გარდაცვალებამდე ორი-სამი დღით ადრე* ***ბერეზოვსკისთან*** *სტუმრობის დროსაც გამხდარა ცუდად.*

***ის საკუთარ სახლში, ოჯახის გარემოცვაში, გარდაიცვალა. ვერც კორონერის შესაბამისმა ექსპერტიზამ აღმოაჩინა რაიმე საეჭვო“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 98).*

როგორც ხედავთ, ბევრისაგან განსხვავებით, **ხუხაშვილს** არავითარი ეჭვი არა აქვს იმასთან დაკავშირებით, მართლა თავისი სიკვდილით მოკვდა მისი მეგობარი თუ მოკლეს. ერთადერთი, რასაც შესაძლოა, მემუარისტის მხრიდან ერთგვარი მინიშნება დავარქვათ, არის ის, რომ ხაზგასმით ამბობს — **ბადრის მეუღლის თქმით, ის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ბერეზოვსკისთან სტუმრობის დროსაც გამხდარა შეუძლოდ!**

თუმცა, ხუხაშვილი ამით უფრო იმას ამტკიცებს, რომ ბადრის გულის პრობლემები ჰქონდა, აგერ **ბერეზოვსკისთან** სტუმრობის დროსაც იგრძნო თავი ცუდად!

მაგრამ ის, რომ ბადრი სწორედ **ბერეზოვსკისთან** გახდა ცუდად, თავისუფლად შეიძლება გახდეს ეჭვის მიზეზიც: საქართველოდან დევნილი, პოლიტიკურად გაკოტრებული პატარკაციშვილი შესაძლოა, ზედმეტი ტვირთი ან ერთგვარი მაცდუნებელიც გამხდარიყო ბერეზოვსკისათვის ბადრის მოსაშორებლად!

ბერეზოვსკი ლონდონში თავადაც დევნილი იყო რუსეთის რეჟიმისაგან და ვინ იცის, იქნებ სააკაშვილთანაც დაამყარა კონტაქტები? მითუმეტეს, ბერეზოვსკი, ბადრის სიკვდილის შემდეგ აქტიურად ჩაერთო მეგობრის ქონების მაროდიორული დატაცების მარათონში!

მეტიც, **ხუხაშვილი** არც სააკაშვილის სუსის მაშინდელი შეფის — **ერეკლე კოდუას** სკანდალურად ცნობილ ლონდონურ ვიზიტსაც იხსენებს, რომელიც ბადრის სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე შედგა და რომლის დროსაც ბადრიმ კოდუა მერაბიშვილის დაპატიმრებაზე და სააკაშვილის ხელისუფლების დამხობაზე დიდი ფულის სანაცვლოდ...

**კოდუა** კი ამ დროს ფეხსაცმელში ჩამონტაჟებული ჩამწერით იწერდა **ბადრი პატარკაციშვილთან** „სახელმწიფო გადატრიალების“ გეგმის დეტალებს...

მოკლედ, მემუარისტი ბადრის სიკვდილთან დაკავშირებით ერთ რამეზე წუხს:

***„ერთადერთი კითხვა, რომელიც მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მაწუხებდა და მაწუხებს— რატომ არ შეიძლებოდა, რომ მას მუდმივად ჰყოლოდა პირადი ექიმი გვერდზე და ამ შემთხვევაში თუ იყო შესაძლებელი მისი რეანიმირება“*** *(იქვე, გვ. 99).*

არადა, ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია: ბადრი პატარკაციშვილს იმიტომაც არ ჰყავდა მუდმივად გვერდზე პირადი ექიმი, რომ ის სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი ადამიანი იყო და სიკვდილამდე, როგორც იტყვიან, გული სად ჰქონდა, არ იცოდა!

და ყოველივე ამის შემდეგ **ხუხაშვილი** ასეთ გამაოგნებელ დასკვნას აკეთებს:

***„მოკლედ, მე არ ვიცი, როგორ გარდაიცვალა ბადრი, მაგრამ ვიცი, რას შეეძლო ის მიეყვანა ამ დასასრულამდე.***

***ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს „თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი. ბადრის სიკვდილი, თუნდაც ის ბუნებრივი მიზეზებით იყოს განპირობებული, უდავოდ იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან თვითმკვლელობამდე მიყვანის შედეგი...“*** *(იქვე, გვ. 99).*

რამდენად ადეკვატურია, პოლიტიკური დევნა თვითმკვლელობამდე მიყვანად გასაღდეს, თავად განსაჯეთ!

**სააკაშვილის რეჟიმს უამრავი არაადამიანური დანაშაული მიუძღვის, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტების განერვიულება და სტრესში ჩაგდება, „თვითმკვლელობამდე“ მიყვანა რომ ვერანაირად ვერ გამოვა, მგონი, დღესავით ნათელია!**

და კიდევ ერთი ნიუანსი: **ხუხაშვილი** ერთი სიტყვითაც არ ახსენებს „ტელეიმედის“ მაშინდელი დირექტორის **გიორგი თარგამაძის** გახმაურებულ ღალატს, როდესაც თარგამაძემ დაბლოკა **ერეკლე კოდუასთან** საუბრის პატარკაციშვილის მიერ ლონდონიდან გადმოგზავნილი აუდიოჩანაწერი, სანამ ეს სააკაშვილის ხელისუფლებამ არ გააკეთა სათავისოდ, აი, პრეზიდენტობის კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდაო...




ერეკლე კოდუა სტუმრად სააკაშვილთან. 2018 წელი, კიევი.

მემუარისტს არც ის აქვს ნახსენები, ამ საარჩევნო ღალატისთვის როგორ შეუქმნა **სააკაშვილ-მერაბიშვილმა** თარგამაძეს „ოპოზიციური პარტია“, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილიდან ორ თვეში საპარლამენტო არჩევნებში მიაღებინეს მონაწილეობა და პარლამენტშიც შეიყვანეს!

შემდეგ მემუარისტი აღწერს, როგორ დაიწყო ნაცრეჟიმმა გარდაცვლილი (**თუ მოკლული**) **პატარკაციშვილის** ქონების დატაცება:

***„ბადრის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი აქტივების დაპატრონების არაერთი მსურველი გამოჩნდა. ყველა ცდილობდა, ესარგებლა მისი ოჯახის სისუსტით, გაუცნობიერებლობით და მისი ქონების დიდ თუ პატარა „ნაჭერს“ დაპატრონებოდა, რაღაც წაეგლიჯა. ზოგიერთი მათგანი ამას ფარულად აკეთებდა, ზოგიერთი კი ხელისუფლების დახმარებით მოქმედებდა“*** *(იქვე, გვ. 99).*

მოკლედ, პატარკაციშვილების ოჯახს ბიზნესებიც „აახიეს“ და „იმედიც“!

პოდა, ხუხაშვილი იხსენებს, როგორ შეეცადა, დაეცვა ბადრის ოჯახი სააკაშვილთან პირადად შეხვედრისას:

***„ამ პერიოდში მიმიწვიეს პრეზიდენტთან სამოქალაქო საზოგადოების დახურულ შეხვედრაზე, რომელიც საკმაოდ ვიწრო წრეში იმართებოდა...***

*მე მას ვუთხარი: გასაგებია, რომ იყო* ***პოლიტიკური ომი. ვიღაცამ გაიმარჯვა, ვიღაც დამარცხდა. არ ვაპირებ აქ იმაზე საუბარს, ვინ იყო მართალი, ვინ — მტყუანი. ფაქტია, რომ ყველაფერი დასრულდა. ბადრის ოჯახში დარჩნენ მხოლოდ ქალები, რომლებიც ამ ყველაფერში არც მონაწილეობდნენ და წარმოდგენაც არა აქვთ, რა ხდებოდა. იქნებ დასრულდეს მათთან ბრძოლა და მის მეუღლეს მიეცეს საშუალება, დაიცავონ ბადრის მემკვიდრეობა ისე, რომ მათი „გაწეწვის ათასი ჯურის მოსურნე ხელისუფლების მხარდაჭერას არ გრძნობდეს-მეთქი...“*** *(იქვე, გვ. 105).*

სააკაშვილს კი ამაზე გამაოგნებელი პასუხი გაუცია:

***„გია, რომელ მეუღლეს გულისხმობ?***

***საქმე ის გახლდათ, რომ იმ დროს, ბადრის ქონების დაპატრონების მსურველთა შორის გამოჩნდა ბადრის ე.წ. „მეუღლე“, რომელიც საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა ინა გუდავაძის და ბადრის ქორწინების კანონიერებას და, შესაბამისად, თავის მოთხოვნებს აყენებდა“*** *(იქვე, გვ. 105).*

მოკლედ, ხუხაშვილის თქმით, სააკაშვილის ამ ცინიკური რეპლიკითაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ნაცრეჟიმი **პატარკაციშვილის ოჯახის** ბოლომდე გაცამტვერებას აპირებდა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ბადრის მეუღლემ **ინა გუდავაძემ** ვერ გაუძლო ამ უთანასწორო ბრძოლას და, ყველაფრის დაკარგვას ამჯობინა, დაეთმო **„ტელეიმედი“**!

როგორც მემუარისტი წერს, ის ამის გამო ძალიან შემოსწყრა **ინას**, ტელევიზია ხომ ბადრის საყვარელი და საამაყო შვილი იყო!

**ხუხაშვილი** იხსენებს, როგორ უთხრა ეს ყველაფერი **ბადრი პატარკაციშვილის** დედას:

***„ვუთხარი, რომ ყოველთვის ვეცდებოდი მათი ინტერესების დაცვას და ამას გავაკეთებდი ყოველგვარი ანგარების გარეშე, მათ გარემოცვაში ბევრისგან განსხვავებით. ვუთხარი, რომ ეს იყო ჩემი მორალური ვალი ბადრის ხსოვნის წინაშე და სხვა საფასური არ მჭირდებოდა.*** *ისიც ვუთხარი, რომ მესმის ოჯახის გადაწყვეტილება „იმედის“ დათმობასთან დაკავშირებით, მაგრამ დღიდან მე ბადრის მეუღლეს, ინას, პატივს ვეღარ ვცემ...* ***ისე გავტარა, ვითომ არ გაუგონია ჩემი ნათქვამი. მგონია, მან ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ არ მისცა რეაქცია, რადგან ოჯახის ერთიანობა იმ დროს უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო“*** *(იქვე, გვ. 107).*

აი, ასე ასრულებს მემუარისტი თავისი მემუარების ამ ნაწილს, რომელიც ბადრი პატარკაციშვილთან ურთიერთობასა და მისი იდუმალებით მოსილ სიკვდილს ეხება.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი კიბოს იმ ვერაგი ნაირსახეობების შესახებ გვესაუბრება, როგორიცაა მელანომა და ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნე. არადა, ნაადრევი დიაგნოსტიკით ორივე დაავადება სრულად განკურნებადია:***

# „ვისაც ბევრი ხალი აქვს და სოლარიუმში ხშირად დადის, მელანომის განვითარების რისკ-ჯგუფშია!“

## კახა საბახტარიშვილი:

# ფარისებრ ჯირკვალში წარმოქმნილი სრულიად უვნებელი კვანძების მიღმა შესაძლოა, კიბო იმალებოდეს!



— **მელანომა** კიბოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო აგრესიული და საშიში სახეობაა, რომელსაც სწრაფი გავრცელება და მეტასტაზირება ახასიათებს. იგი იმდენად სახიფათოა, თუ დროზე არ მივუსწარით, პაციენტი აუცილებლად დაიღუპება!

**— მაინც რამდენია ეს დრო?**

— რამდენიმე თვე ან კვირაც კი... მელანომისგან განსხვავებით, სიმსივნის სხვა ფორმების დროს ორგანიზმის იმუნური სისტემა კიბოს გავრცელებას წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ მელანომას შემთხვევაში ასე არ ხდება, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როცა მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ინტენსიურია, ხოლო კანის დამწვრობა — ხშირი. **განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც კანის ზედაპირზე მრავლობითი ხალი აქვთ. ყველაფერი სწორედ ხალიდან იწყება...**

ხალი ადამიანთა 90 პროცენტზე მეტს აქვს, ზოგს — დაბადებიდან, ზოგს — ასაკში შეძენილი. თავისთავად, ხალი სრულიად უვნებელი წარმონაქმნია... კერძოდ, კანში არსებობს გარკვეული უჯრედები — **მელანოციტები,** რომლებიც შეიცავენ პიგმენტ **მელანინს.** სწორედ ეს მელანინი განაპირობებს კანის შეფერილობას. თუ მელანოციტები გარკვეულ ადგილში კონცენტრირდება, მაშინ ის უბანი მუქი შეფერილობის გახდება, რაც სხვა არაფერია, თუ არა ხალი. ის არავითარ პათოლოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ, თუ ხალმა ულტრაიისფერი, ტრავმული ან სხვა მიზეზებით დაზიანება განიცადა, ის შესაძლოა, სიმსივნეში, ანუ მელანომაში გარდაიზარდოს! მელანომა აზიანებს კანს, შინაგან ორგანოებს და თვალსაც კი... მელანომების 90 პროცენტი კანის ფორმაზე მოდის, ამიტომაც რომ არ გამოგვეპაროს, საჭიროა, პერიოდულად დავაკვირდეთ ჩვენს კანზე არსებულ ხალებს!

**— მაინც რა ნიშნებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა მელანომა არ გამოგვრჩეს?**

— პირველ რიგში, ხალს დავაკვირდეთ! **1.** თუ იგი ასიმეტრიულია, ანუ ორ თანაბარ ნაწილად არ იყოფა; **2.** თუ ხალის გვერდები სწორი და გლუვი არ არის და გეოგრაფიულ რუკას მოგვაგონებს; **3.** თუ ხალი სისხლმდენია, ან რაიმე გამონადენი აქვს; **4.** თუ ხალის შეფერილობა არაერთგვაროვანია და მასზე შავი წერტილები გაჩნდა; **5.** თუ ხალი ზომით 6 მილიმეტრზე დიდია და დროთა განმავლობაში ზომაში იზრდება; **6.** თუ ხალის დინამიკაში ნებისმიერ ცვლილებას აქვს ადგილი (ქერქი, ნახეთქი, აქერცვლა, სისხლი და ა.შ.) და თუ ერთ-ორ თვეში ზომაში გაიზარდა; **7.** თუ ხალი გვექავება, გვეწვის, მტკივნეულია და მის ქვეშ კვანძი ისინჯება, ყველა ამ შემთხვევის დროს განგაშია ასატეხი.

საკმარისია, ამ შვიდი ნიშნიდან ერთი დაგვიდასტურდეს, რომ შესაძლოა, სახეზე გვქონდეს **მელანომა.** ასეთ შემთხვევაში კოსმეტოლოგსა და დერმატოლოგს კი არა, დაუყოვნებლივ ონკოდერმატოლოგს უნდა მივმართოთ! არსებობს სპეციალური აპარატი — **დერმატოსკოპი,** რომლის მეშვეობითაც უზუსტესად შეიძლება დადგენა, ხალი გაღიზიანებულია თუ მელანომა ვითარდება! ქირურგიული წესით დროულად მოცილებული საეჭვო ხალი მელანომის თავიდან აცილების ასპროცენტიან გარანტიას იძლევა. მითია, თითქოს ხალის ქირურგიულად მოშორებით შესაძლოა, სიმსივნე განვითარდეს! პირიქით, თუ ხალი კისერში, იღლიაში, თავის არეში, ხელისგულზე, ქუსლთან და ისეთ ადგილებში გვაქვს, სადაც ტრავმატიზაციის საფრთხე დიდია, რაგინდ კეთილთვისებიანად გამოიყურებოდეს, მისი მოცილება აუცილებელია, რადგან სრულიად უწყინარი ხალიც კი დაზიანების შემთხვევაში შესაძლოა, მელანომაში გადაიზარდოს! აღარ ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებიც სოლარიუმში დიდ დროს ატარებენ.

**დავიმახსოვროთ:** ვისაც ბევრი ხალი აქვს და სოლარიუმში ხშირად დადის, მელანომის განვითარების რისკ-ჯგუფშია! ყურადღებით დავაკვირდეთ ფრჩხილებსაც... თუ ფეხის ან ხელის ფრჩხილზე მუქი ლაქა გაჩნდა და ათი დღის განმავლობაში არ გაქრა, აუცილებლად მივმართოთ ონკოდერმატოლოგს, რადგან ფრჩხილზე გაჩენილი მუქი ლაქა ხშირად ეშლებათ სისხლჩაქცევაში, ანუ ჰემატომასა და ფრჩხილის სოკოში. მელანომა იშვიათად, მაგრამ თვალშიც შეიძლება განვითარდეს. თუ თვალის კაკალში მუქი ლაქა გაჩნდა, ეს შესაძლოა, სწორედ მელანომის მანიშნებელი იყოს. გვახსოვდეს, რომ მელანომა დასაწყისში აბსოლუტურად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ამიტომ მის გამოსაცნობად დიდი ყურადღება გვჭირდება!

**— და მაინც, რამდენად საშიშია სხეულზე ახალი ხალის გაჩენა?**

— ხმები იმის შესახებ, რომ ახალი ხალის გაჩენა კიბოს რისკს ზრდის, მითია! ახალი ხალი შესაძლოა, გამოიწვიოს ორგანიზმის ჰორმონულმა ცვლილებებმა. ხალი ხშირად უჩნდებათ ქალებს ორსულობისა და კლიმაქსის შემდგომ პერიოდშიც. ბავშვებში 6-8 წლის ასაკში ხალის გაჩენა ჩვეულებრივი ამბავია... თუ ხალი შემთხვევით დაგვიზიანდა, ის მაშინვე უნდა დავიმუშავოთ წყალბადის ზეჟანგით 30 წუთის განმავლობაში ანდა დავასხუროთ ანტისეპტიკური ხსნარი ქლორ-ჰიქსედინი. ამის შემდეგ ხალს ზემოდან ეკრება ბაქტერიოციდული პლასტირი.

მელანომის მსგავსად განსაკუთრებით საშიშია ფარისებრი ჯირკვლის კიბოც. ზოგადად, ფარისებრ ჯირკვალს ძალიან ბევრი ფუნქცია გააჩნია და როგორც მელანომას, ისე მისი სიმსივნის ნაადრევ გამოვლინებას, ბევრი უყურადღებოდ ტოვებს. ჩვენს შორის მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უთქვამთ, რომ ექოსკოპიით ფარისებრ ჯირკვალში კვანძები აღმოუჩინეს. შესაბამისად, ასეთ ადამიანებს დაუდგინდათ კვანძოვანი ჩიყვი. უმრავლესობა ამ დიაგნოზს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და, მითუმეტეს, როცა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ნორმის ფარგლებშია და პაციენტს არანაირი მკურნალობა არ ენიშნება. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს კვანძები შესაძლოა, სიმსივნეში გადაიზარდოს! ეს ხდება მაშინ, როცა კვანძები მკვრივდება, მათი ზედაპირი ხორკლიანი ხდება და ზომაშიც სწრაფად იზრდება! ასეთ დროს აუცილებელია საეჭვო კვანძის ბიოფსია, რითიც მასში სიმსივნური უჯრედების არსებობა ან არარსებობა დგინდება.

თუ ბიოფსიამ აჩვენა, რომ კვანძში ატიპური, ანუ გადაგვარებული უჯრედებია, მაშინ ასეთი კვანძები დაუყოვნებლივ უნდა ამოიკვეთოს, რაც ფარისებრი ჯირკვლის კიბოს დამარცხების ასპროცენტიან გარანტიას იძლევა! **გვახსოვდეს:** ფარისებრ ჯირკვალში წარმოქმნილი სრულიად უვნებელი კვანძების მიღმა შესაძლოა, კიბო იმალებოდეს!

ოფიციალურ მედიცინას კვანძოვანი ჩიყვის სამკურნალოდ ოპერაციული ჩარევის გარდა არავითარი სხვა საშუალება არ გააჩნია. როდესაც საეჭვო კვანძში ბიოფსია საშიშ უჯრედებს ვერ ავლენს, ჩემი კოლეგები პაციენტს ყოველ ექვს თვეში გამოკვლევის ჩატარებას ურჩევენ, ანუ პაციენტი უნდა ელოდოს, როდის გაუჩნდება ფარისებრი ჯირკვლის კიბო და ამის შემდეგ როდის გაუკეთებენ ოპერაციას! არადა, **ჰომეოპათიურ მედიცინაში თითქმის 200 წელიწადია, არსებობს რამდენიმე ეფექტური საშუალება, რომელიც არამარტო კვანძების ზრდასა და გადაგვარებას უშლის ხელს, არამედ პრაქტიკაში ბევრი მქონია შემთხვევა, როდესაც მკურნალობის შედეგად ფარისებრი ჯირკვლის კვანძები სრულად გამქრალა!** ერთ-ერთი ასეთი პრეპარატია ჰომეოპათიური წესით დამზადებული **ჭიაფერა,** ანუ **„ფიტოლიაკა“...** ამ პრეპარატს ანტისიმსივნური ეფექტი აქვს და შეუცვლელია არამარტო ფარისებრი ჯირკვლის, არამედ ყელის არეში მიმდინარე ნებისმიერი ანთებითი პროცესის დროს. **ე.წ. გლანდების, ანუ ქრონიკული ტონზილიტების მკურნალობაში ჭიაფერა საერთოდ საოცრებებს ახდენს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***






**თქვენი ჯანმრთელობისათვის!**

# «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც“ უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**

მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს“ ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.

**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია“. ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს“ თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები“ 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**




არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — **გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება.** ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები“ ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების“ ამოჭრამ.

ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები“ **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„ზულის ელექსირის“, „იმუნო-ჰერბის“, „მამოსილის“** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი: **„ტონზილინი“,** რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის“** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი“** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები“ უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არცთუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია, ხოლო **ასეულობით ბავშვი „გლანდების“ ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!**

**P.S.**

*„ტონზილინი“ საქართველოს ბაზარზე გამოსვლისთანავე **დეფიციტური წამალი გახდა.** კომპანია **„ლაზიკა-ფარმა“** და მისი **დირექტორი კახა საბახტარიშვილი** ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ **„ტონზილინი“** ყველა ბავშვსა და ზრდასრულისათვის ხელმისაწვდომი გახდეს. საუკეთესო შედეგს იძლევა **„ტონზილინისა“** და **„იმუნო-ჰერბი ფორტეს“** ერთობლივი გამოყენება. **შედეგი ჩანს მკურნალობის დაწყებიდან მე-3-4 დღესაც კი!***

**ტელ: 593-31-70-34 «კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი», ბახტრიონის ქ. №10ა**

# ნაღვლის ბუშტის დაავადება




კვების რეჟიმის დარღვევით მიღებული მსუყე საჭმელების შემდეგ ადამიანთა უმრავლესობა ყველაზე მეტად **ნაღვლის ბუშტს** უჩივის. ტკივილი იწყება **მარჯვენა ფერდის ქვეშ და გადადის ბეჭის არეში. ავადმყოფს აქვს გულისრევა, ღებინება ან ამის შეგრძნება. ტკივილის თანამდევია მუცლის შებერილობა, ბოყინი სპეციფიკური სუნითა და ლაყე კვერცხის გემოთი. ნაღვლის გაღიზიანების მახასიათებელია საერთო სისუსტე და უხალისობა.** თუ ნაღვლის ბუშტში კენჭებია, შესაძლოა, ავადმყოფს დაბალი ტემპერატურაც აღენიშნოს. ნაღვლის წვენის შეგუბებისას კი ადამიანს სახეზე ყვითელი ფერი დაჰკრავს. ამიტომ, თუ კალორიული საჭმლის მიღებისას მსგავს ნიშნებსა და მახასიათებლებს შეამჩნევთ, შემწვარი და ცხიმიანი პროდუქტების ჭამის შემდეგ მიიღეთ **კრეონის აბები, ასევე კარგია ფესტალი და მეზიმფორტე, ორიოსამი აბი ჭამის წინ ან ჭამის პროცესში.** ეს აბები შლის ორგანიზმში შემავალ ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს, აადვილებს საჭმლის მონელების პროცესს და შემაწუხებელი ტკივილიც თანდათან იკლებს. ზოგჯერ ტკივილი მწვავე ხასიათისაა, ამ დროს აღნიშნულ ფერმენტებთან ერთად შეგიძლიათ მიიღოთ ანტისპაზმური საშუალებები.

მაგრამ ნაღვლის ბუშტის გაღიზიანებას მარტოოდენ გემრიელი და უზომო ჭამა-სმა არ იწვევს. ნაღვლის ტკივილის ერთ-ერთი ძლიერი ხელის შემწყობია გაციება. ამიტომ, ვინც ნაღველს უჩივის, ზამთარში დათბილული ფეხსაცმლით უნდა იაროს.

**ნაღვლის ბუშტის ყველაზე დიდი მტერი და გამაღიზიანებელი მაინც ნერვული სტრესია. საერთოდ, ნერვული ფონი ადამიანის ორგანიზმის ყველა მტკივან წერტილზე გამანადგურებლად მოქმედებს, მაგრამ ყველაზე მეტად ნაღველს ემუქრება, რადგან ნერვული სტრესი, დარდი, მელანქოლიური განწყობა, უიმედო მდგომარეობა იწვევს ნაღვლის ბუშტის ინერკაციას — შეკუმშვას, ამიტომ ჰქვია ამ ორგანოს ნაღვლის ბუშტი.**

ამგვარი ტკივილებისადმი დაუდევარმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს **ქრონიკული ქოლეცისტიტის ჩამოყალიბება,** რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ავადმყოფისაგან კვების რეჟიმისა და დიეტის მკაცრ დაცვას მოითხოვს განუწყვეტელ სამედიცინო პროფილაქტიკასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქრონიკულ ქოლეცისტიტს შეიძლება სხვა გვერდითი გადახრებიც დაერთოს, როგორიცაა **წყლული, ღვიძლის დაავადება, პანკრეატიტი.** ეს ტრიადა კი ხშირად იწვევს ნაწლავთა დაზიანებას.

ვინც ნაღვლის ბუშტს უჩივის, მიირთვან უმთავრესად **მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული საკვები.** ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვან **ღორის ხორცსა და ალკოჰოლზე. ფრინველის ხორცი კი კანგაცლილი მიირთვან. მოერიდონ კვერცხიან და კრემიან ნამცხვრებს. შებოლილი თევზი, ძეხვეული და ლორი მენიუდან ამოიღონ. ხილიდან მათთვის საუკეთესოა ვაშლი. კარგია და მისაღები მშრალი ხაჭო, ნადუღი, ჭყინტი ყველი, მოხარშული თევზი და ძროხის მჭლე ხორცი. უნდა იკვებონ დღეში ხუთჯერ, პატარ-პატარა ულუფებით. მინერალური წყლებიდან სვან „ნაბეღლავი“ და „ბორჯომი“. პური მიირთვან წინა დღისა და კარგად გამომშრალი. მოერიდონ ყურძენს, პომიდორს, წიწაკას. მიირთვან ზეთით დამზადებული ფხალეული. თაფლი მისაღებია, ღომი კი — მიუღებელი.** თუ ამგვარად კვებას წესად გაიხდიან, თავს დაიცავენ გაციებისა და ნერვული სტრესებისგან, ისინი ნაღვლის ბუშტის მიზეზით ძვირადღირებულ სტაციონარში ნამდვილად არ მოხვდებიან.




## თუ მეტეორიზმი ხშირად განუხებთ

**გირჩევთ, რაციონიდან დროებით, განკურნებამდე ამოიღოთ კომბოსტო, ისპანახი, ლობიო, ლოლო, ყურძენი, ვაშლის ტკბილი ჯიშები, ქოლო, ხურტკმელი, ჩამიჩი, ინდისხურმა, ბურახი, ლუდი, შავი პური.**

**არასოდეს მიირთვათ უმი ბოსტნეული. მეტეორიზმს ადვილად ხსნის გააქტივებული ნახშირის 2-3 აბი წყალთან ერთად. აგრეთვე, გვირილის, კამის თესლი, კვლიავის, ფარსმანდუკის ფოთლები, ვალერიანის ფესვების ნახარში.**

### მომზადების წესი:

აიღეთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეთა თანაბარი რაოდენობა. ამ ნაკრებს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი. დადგით და გააცივეთ. მიიღეთ 5-7 დღის მანძილზე 1/3-1/4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

### მეტეორიზმი სიმპტომია

**თუ მეტეორიზმი ხშირად გაწუხებთ და ეს საკვებთან და თქვენი ჭამის კულტურასთან არ არის დაკავშირებული, აუცილებლად გაესინჯეთ გასტროენტეროლოგს, რადგან ამ შემთხვევაში გაზების მომატება შეიძლება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელიმე დაავადებით იყოს გამოწვეული.**

### სტრესი გამომწვევია

მუცლის შებერვა შეიძლება გამოიწვიოს მღელვარებამ, შიშმა, ღრმა განცდამ. ემოციური დაძაბულობა და გადატვირთვა იწვევს ნაწლავების გლუვი კუნთების სპაზმს და პერისტალტიკის გაძნელებას.

### თუ ქეიფი გელით

**სანამ სტუმრად წახვიდოდეთ, იმისთვის რომ არ დათვრეთ, უნდა დალიოთ ერთი ჭიქა კარგად დაყენებული პიტნის ჩაი. იმავეს გამეორება სტუმრობიდან დაბრუნების შემდეგ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ.**

**ნადიმის წინ კარგია აგრეთვე ლიმონიანი მაგარი ყავის დალევა. ეს სასიამოვნო პროცედურა ნადიმის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.**





## ჭამის კულტურა ჯანმრთელობის შენარჩუნებაში გვეხმარება

ჭამის დროს ყველა ჩაყლაპულ ლუკმასთან ერთად კუჭში 2-3 მლ ჰაერი ხვდება, ხოლო, თუ თქვენ სწრაფად ჭამთ, რომელსაც ცინიკოსები „ყაზარმულ“ კვებას უწოდებენ, ლუკმას კარგად და გულმოდგინედ არ ღეჭავთ, ამავე დროს, დადიხართ, იცინით და ხმამაღლა ლაპარაკობთ, ეს უკვე მეტეორიზმს, ანუ ორგანიზმში მომატებულ გაზთა წარმოქმნას უწყობს ხელს. გაზთა მოცულობა გადაყლაპული ჰაერის წილად მიდის ნაწლავებში და მუცელი გებერებათ. ჭამის კულტურა ამ უხერხულობას აგაცილებთ. თუ წყნარ გარემოში მშვიდად ისადილებთ, საკმაო დროს დაუთმობთ რაციონს, წონის მომატების დროსაც თავიდან აიცილებთ ღიპს, რომელიც შეიძლება გამხდარ ადამიანსაც ჰქონდეს. მუცლის შებერვა განსაკუთრებული რეაქციაა თქვენი ჭამის კულტურაზე. **ასაკში მყოფ ადამიანებს ხშირად აწუხებთ მუცლის შებერვა, რაც ნაწლავთა ატონიის (კუნთების დასუსტების) ბრალია.**

## კიდევ ორი სასარგებლო რეცეპტი:

### რეცეპტი I.

20 წვეთ პიტნის ნაყენს დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი და სულმოუთქმელად გამოცალეთ. ნასვამობის შეგრძნება სწრაფად გაგივლით, შეგიჩერებთ თავის ტკივილს და სიმძიმის შეგრძნებას.

### რეცეპტი II.

5-6 წვეთი ნიშადურის სპირტი ჩაასხით ერთ ჭიქა ცივ წყალში. ერთ მოყუდებაზე დალიეთ. თქვენ საგრძნობლად გამოფხიზლდებით.

### სანამ სასწრაფო მოვიდოდეს

**როგორ მოვიქცეთ ელექტროშოკის დროს?**

პირველ რიგში, დაზარალებული მოაშორეთ დენის წყაროს და გამორთეთ ელექტროობა. არ გირჩევთ დაზარალებულის ხელით გადაყვანას, რადგან დენმა შეიძლება თქვენც დაგარტყათ. შეეცადეთ, ეს დენგაუმტარი საგნით (მშრალი ცოცხით, იატაკის საწმენდი ჯოხით) გააკეთოთ. შეამოწმეთ, სუნთქავს თუ არა. თუ სუნთქვა შეჩერებულია, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა, რომელმაც ნახევარ საათს მაინც უნდა გასტანოს. სუნთქვის აღდგენის შემდეგ დამწვრობა ოდეკოლონით ან სპირტით დაუმუშავეთ.

## საოჯახო აფთიაქი

**აუცილებელია გვქონდეს:**

**პიტნის წვეთები** — იხმარება მუცლის ტკივილის, გულისრევის, პირღებინების დროს. მოზრდილს მიეცემა 10-12 წვეთი, ბავშვს — 5-8 წვეთი.

**ნიშადურის სპირტი** — (10-პროცენტიანი ამიაკის ხსნარი) ფლაკონებში ან ამპულებში — ასტიმულირებს სასუნთქ გზებს. ძლიერ სასარგებლოა როგორც გადაუდებელი დამხმარე საშუალება სუნთქვის აღსადგენად, უპირველესად, გულის წასვლისას. ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბის ან დოლბანდის ნაჭერი ფრთხილად მიაქვთ ცხვირთან და თანაც წამიერად.

**გამოიყენება ამოსაღებინებელ საშუალებად: 100 მლ წყალში 5-10 წვეთ ნიშადურის სპირტს ასხამენ. იხმარება საფენების სახით მწერების ნაკბენებზე, ანელებს ქავილს და აყუჩებს ტკივილს.**

აგრეთვე კარგია ცოფიანი ცხოველის ან ქვეწარმავლის ნაკბენ ადგილზე წასასმელად, როგორც პირველადი დახმარება.

## კვირგვინოსნები

**ეკა ჩხეიძე**
*მსახიობი*



თეატრიდან რომ მოვდივარ ხოლმე, **ერთსა და იმავე ბენზინგასამართ სადგურზე ვასხამ საწვავს და უკვე ვცნობ იქაურ ბიჭებს.** ერთხელაც, ერთ-ერთი მომესალმა, როგორც ყოველთვის, რვა მარტი იყო და ყვავილებს არიგებდნენ, მეც გადმომცა, **საწვავს მისხამს და უცებ მეუბნება, ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, მინდა, ბანკიდან 2 ათასი დოლარი გამოვიტანო სესხად და თავდებში დამიდგებითო**? გადავირიე, რას მეუბნები, ჩემი კრედიტი არ მეყოფა, რომ კიდევ შენი ავიკიდო-მეთქი და რა სასტიკი ყოფილხართო, მითხრა.

„თბილისელები“

**დათო არჩვაძე**
*მომღერალი*



ჩემი ცოლისთვის **ყველაზე ძნელად აღსაზრდელი და ურჩი ბავშვი მე აღმოვჩნდი.** საქართველოს მუსიკალურ სფეროში მაინც **კლანური სისტემაა.** ყველას თავისი მფარველი ჰყავს და ვინც მოერგება ამ წყობას, ის არის წარმატებულიც, **მორიდებულები და თავდახრილები კი იჩაგრებიან.**

„სარკე“

**გიგა კვენეტაძე**
*სიმღერების ავტორ-შემსრულებელი*



გახედვით, როგორ არ გამიხედავს, მაგრამ **გულში ღალატი არ გამივლია.** ბევრს უთქვამს: ისეთი პროფესია გაქვს, არ გვჯერა, ასე რომ ამბობო. მაგრამ დამიჯერეთ, **9 წელია, მე და მარი ერთად ვართ და მისთვის არ მიღალატია.**

„თბილისელები“

**ანი გიუნტერი**
*ტელეწამყვანი*



**გადასარევია ცხოვრება** საყვარელ მამაკაცთან, მაგრამ ასევე **ბედნიერია ცხოვრება მის გარეშეც.**

„სარკე“

# როგორ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე 20 წლით

*პროფილაქტიკა ჯანმრთელობის შენარჩუნების ყველაზე უბრალო და სანდო საშუალებაა. გამოცდილი ექიმების მიერ შედგენილი ცხრილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გიკარნახებთ, როდის და რომელ სპეციალისტს უნდა მიაკითხოთ. ყურადღება! ჩვენი ცხრილი რეკომენდებულია ჯანმრთელი ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც არ აწუხებს არავითარი ქრონიკული დაავადება. მათ კი, ვისაც აწუხებს ქრონიკული დაავადება, სჭირდებათ ექიმის უფრო გულდასმითი და ინდივიდუალური დაკვირვება.*

| წლოვანება | რა პერიოდულობით | რომელ ექიმს უნდა მიმართოთ | რა სახის გამოკვლევა უნდა ჩაიტაროთ | რატომ უნდა მოიქცეთ ასე |
|---|---|---|---|---|
| **20-30 წელი** | ყოველ 2 წელიწადში ერთხელ | **სტომატოლოგი, გინეკოლოგი (უროლოგი), ოფთალმოლოგი, თერაპევტი** | სისხლის საერთო ანალიზი, სისხლის ანალიზი ჰეპატიტზე, იმუნოდეფიციტზე, არტერიული წნევის გაზომვა, საშვილოსნოს ყელის გასინჯვა, ფილტვების ფლუოროგრამა, მცირე მენჯის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა. | რათა გამოირიცხოს: ანემია; სისხლის დაავადება; საშვილოსნოს ყელის კიბო; საკვერცხეების კისტა, ჰიპერტონიის ჩამოყალიბების ადრეული ნიშნები; ტუბერკულოზი. |
| **30-40 წელი** | ყოველ 1-1,5 წელიწადში ერთხელ | **სტომატოლოგი, გინეკოლოგი (უროლოგი), ოფთალმოლოგი, თერაპევტი, მამოლოგი, ენდოკრინოლოგი** | იგივე, რაც ზემოთ, პლუს სისხლის ლიპიდური პროფილის, სისხლში შაქრის, ქალებში — სარძევე ჯირკვლების, მამაკაცებში — პროსტატის ულტრაბგერითი გამოკვლევა. | ამ პერიოდში აქტიურდება ათეროსკლეროზის — ინფარქტებისა და ინსულტების საფუძვლის — ჩამოყალიბება. მათი თავიდან აცილება შესაძლებელია დროული მედიკამენტოზური და დიეტური კორექციის მეშვეობით. ქალებში მატულობს სარძევე ჯირკვლების კიბოს ჩამოყალიბების რისკი. |
| **40-50 წელი** | ყოველწლიურად | **სტომატოლოგი, გინეკოლოგი (უროლოგი), ოფთალმოლოგი, თერაპევტი, მამოლოგი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი** | მამოგრაფია — 2 წელიწადში ერთხელ, გასტროსკოპია — 2 წელიწადში ერთხელ. ფარისებრი ჯირკვლების ჰორმონები. თვალის შიდა წნევის გაზომვა. მსხვილი ნაწლავის გამოკვლევა. მამაკაცებისთვის — ხოლტერის მონიტორირება ან სტრეს-ტესტი (სადღეღამისო ელექტროკარდიოგრამა გამომამჟღავნებს გულის რიტმის დარღვევას). | შესაძლებელია გულის იშემიური დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენა (განსაკუთრებით კაცებში). მამაკაცებს შეიძლება გაუჩნდეთ პროსტატის ადენომა, ქალებს — საშვილოსნოში, საკვერცხეებში ონკოლოგიური პროცესები. დიდია მსხვილი ნაწლავის, კუჭის კიბოს რისკი. შესაძლებელია ჰიპოთირეოზის, გლაუკომის გაჩენა (იწვევს დაბრმავებას). |
| **50 და მეტი** | ყოველწლიურად | **სტომატოლოგი, გინეკოლოგი (უროლოგი), ოფთალმოლოგი, თერაპევტი, მამოლოგი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი, სისხლძარღვების ქირურგი, გერონტოლოგი** | იგივე, რაც ზემოთ, პლუს დენსიტომეტრია (ძვლის სიმკვრივის გამოკვლევა ოსტეოპოროზის ასაცილებლად), ქალებისთვის — ხოლტერის მონიტორირება. კოაგულოგრამა (შედედებაზე სისხლის ანალიზი). სისხლძარღვების დოპლერის გამოკვლევა (თავის ტვინის სისხლით მომარაგების ულტრაბგერითი დიაგნოსტირება). ფლუოროგრამის ნაცვლად — წელიწადში ერთხელ ფილტვების რენტგენი. | ამ პერიოდში თავს იჩენს თრომბოზებისკენ მიდრეკილება და მათი გართულება (სასიკვდილო შედეგით). ფილტვების რენტგენი ფილტვებში ონკოლოგიური პროცესების გამორიცხვის უფრო ზუსტი ინსტრუმენტია, ვიდრე ფლუოროგრამა. |

## აღმოაჩინეთ და მოარჩინეთ

მოურჩენელი ავადმყოფობა არ არსებობს. დღეს სიკვდილიანობის უმეტესი შემთხვევა ონკოლოგიურ და გულსისხლძარღვოვან დაავადებებზე მოდის. მათი მორჩენა შეიძლება ადრეულ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში.

არის ისეთი დაავადებანი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ვითარდება, და თუ 30 წლის ასაკში გამოვავლენთ მიდრეკილებას მათ მიმართ, მაშინ 60 წლის ასაკში შეიძლება კიდეც დაგვავიწყდეს. მეცნიერმა მედიკოსებმა გამოითვალეს: **თუ ჯანმრთელობას მიხედავთ, სიცოცხლეს 20-30 წლით გაიხანგრძლივებთ.**

არ გადადოთ ექიმთან მისვლა, თუ გაწუხებთ:

- **ყაბზობა, კუჭის აშლილობა;**
- **სხეულის ნებისმიერ ნაწილში ტკივილები, რომლებიც ტრავმით არ არის გამოწვეული;**
- **სისხლი შარდში, განავალში, ნერწყვში;**
- **სხეულზე გამონაყარი;**
- **ახალი ხალები ან ძველების ზრდა;**
- **შეშუპებების გაჩენა;**
- **წონაში მკვეთრი კლება;**
- **მუდმივი სისუსტე, თავბრუხვევა, თავის ხშირი ტკივილი.**

ყველა ავადმყოფობა სიმპტომით თავს არ იჩენს. ასეთ შემთხვევაში პროფილაქტიკური გასინჯვა პრობლემის ადრეულ სტადიაში გამოვლენის ერთადერთი საშუალებაა.

## მხოლოდ ციფრები

ანკეტირების ბოლო მონაცემებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩივილები გამოთქვეს:

**კაცების — 30,8 პროცენტმა;**
**ქალების — 43,2 პროცენტმა.**

დაავადებულთაგან ექიმებს მიმართეს:

**კაცების — 44,4 პროცენტმა;**
**ქალების — 43,6 პროცენტმა.**



## წვრილი წელი დიდ მკერდზე უკეთესია

ქალის სხეულის რომელი ნაწილი უყვართ მამაკაცებს ყველაზე მეტად? ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ვერავითარი მკერდი პოპულარობით ვერ შეედრება... ქალის წვრილ წელს. ეს უპირატესობა ათასწლეულობით არ იცვლება.

კირკიტა ამერიკელებმა შეისწავლეს ასი ცნობილი მწერლის შემოქმედება და გამოავლინეს ქალის იდეალური სხეული — იგი უნდა ჰგავდეს ან გიტარას, ან ქვიშის საათს. ქალის ასეთი სხეული ჯანმრთელობის დასტურია. ასეთი ფორმა მოწმობს მუცლის ქონის დაბალ დონეს და **ქალური სასქესო ჰორმონების მაღალ დონეს. წვრილი წელი თითქოს აწვდის მამაკაცს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქალი ჯანმრთელ ბავშვებს შობს. ამიტომაა, რომ კაცები მას ქვეშეცნეულად მიმზიდველად მიიჩნევენ. სახის სწორი ნაკვთები ჯანმრთელ გენებზე მიგვანიშნებს და ამიტომ ითვლება ადამიანი ლამაზად.**

ესე იგი, **არსი პირველადია, გარეგნული ფორმა — მეორადი და პირველის ქვეშეცნეული აღქმიდან გამომდინარეობს.**



## როგორი პოზა ემუქრება პოტენციას

ესპანელმა სექსოლოგებმა დაადგინეს, რომ სექსუალურ აშლილობათა 40 პროცენტი (ქალებსა და მამაკაცებში) განპირობებულია ძილის დროს ტანის არასწორი მდებარეობით.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის პოტენციაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მინიმუმ **ორი პოზა.** ერთი **მუცელზე წოლაა.** ტანის სიმძიმე აწვება შარდის ბუშტს, ირღვევა სისხლის მიმოქცევა. მეორე **ძალიან მაღალი თავსასთუმალია.** ამ შემთხვევაში ტვინი არასაკმარისად მარაგდება სისხლით. სისხლის ცუდი ცირკულაცია კი აქვეითებს ჰიპოფიზის უნარს, გამოყოს ჰორმონები, მათ შორის, სასქესოც. მკვლევრები გვირჩევენ, ისე დავწვეთ, რომ მარტო ჩვენთვის კი არა, ჩვენი შინაგანი ორგანოებისთვისაც სასიამოვნო და მოსახერხებელი იყოს.

## ერთი ფინჯანი ყავა მოთელვის წინ და კუნთები არ გეტკინებათ

დიდი ხნით შესვენების შემდეგ ადამიანები ვარჯიშს რომ იწყებენ, **პირველი კვირის განმავლობაში კუნთების ტკივილს გრძნობენ:** მწვრთნელები, როგორც წესი, ურჩევენ, მოითმინონ ეს ტკივილი. მაგრამ ჯორჯიის შტატის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები გვირჩევენ, კუნთების ტკივილის მოსახსნელად პირველ კვირას გამოვიყენოთ კოფეინი (ზომიერი დოზით, რასაკვირველია). **კარგი იქნება, თუ მოთელვის წინ ორ ფინჯან ყავას დალევთ. ეს შეგიმცირებთ ტკივილის შეგრძნებას.** მაგრამ მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ კოფეინით არ უნდა გავერთოთ, რადგან ზოგიერთ ადამიანს შეიძლება აუჩქარდეს გულისცემა, შეაწუხოს უძილობამ და სხვა.

## კვირგვინოსნები

**ნიკა მენგელია**
*ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში*



ინფლაცია შეიძლება შემცირდეს, მაგრამ **ფასები მაინც არ დაიკლებს.** ეროვნული ბანკის მიზანია **კომერციული ბანკების კარგად ყოფნა** და მათთან ერთად **ხალხის ძარცვა.**

„ახალი თაობა“

**მარიკო ებრალიძე**
*მომღერალი*



ახლახან ახალ ბინაში გადავედით და **მთელი საოჯახო ტექნიკა ჩემი დაზოგილი თანხით შევიძინეთ.** უნდა გენახათ, როგორი ამაყი ვიყავი, რომ ამდენი ფულის დაგროვება მოვახერხე!

„სარკე“

**თაკო კორინთელი**
*„პოსტფოლის“ გადაცემა „ფოლიონის“ წამყვანი*



ქმარს ჩემი შემორიგება არ უჭირს. **ვიცით, როდის უნდა დავუწიოთ ტემპერატურას,** რომ ურთიერთობა არ გადახურდეს.

„სარკე“

**ლელუკა ყიფშიძე**
*ზურა ყიფშიძის ქალიშვილი*



**კარგი დედამთილი ვიქნები.** ნიკუშას ჰყავს ძალიან კარგი შეყვარებული. **ვგიჟდები იმ გოგოზე და ჩემს შვილს ვაძლევ შენიშვნას, რომ ნერვები არ მოუშალოს.**

„სარკე“

**ლეონარდო დიკაპრიო**
*მსახიობი*



**პაპარაცები ზოგჯერ თავს ძალიან მაბეზრებენ და ამ დროს შეიძლება აგრესიულიც გავხდე, მაგრამ ვიცი, რომ თავი უნდა გავაკონტროლო.**

„სარკე“

**ჯონი დეპი**
*მსახიობი*



**მე საკმაოდ მორცხვი ადამიანი ვარ.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ნიშნები, წყენა და საპასუხო რეაქცია

*— ამბიციური ლომი გარშემო მყოფებისგან რას ელოდება? მასთან ურთიერთობისას რა არ უნდა დავარღვიოთ და რისგან უნდა შევიკავოთ თავი ანდა როგორ იქცევა იგი სერიოზული განაწყენებისას? ტყუპი კრიტიკაზე როგორ რეაგირებს და ასეთ სიტუაციაში რატომ ჯობს, დროულად გაეცალოთ? რის გარეშე ხდება უინტერესო მისთვის კონფლიქტი? თევზების ნიშნით დაბადებულ ქალბატონთან რატომ მოეთხოვებათ სხვა ნიშნით დაბადებულ მამაკაცებს მეტი დელიკატურობის გამოვლენა? ბოდიშის მოხდის შემთხვევაში, მგრძნობიარე თევზები რას განიცდიან და როგორ რეაგირებენ? მერწყულისათვის წყენა რას უტოლდება და სერიოზული განაწყენებისას ხშირ შემთხვევაში როგორია მისი ბუნებრივი რეაქცია? გარეგნულად მდგრადი, თუმცა, მყიფე და სათუთი თხის რქისთვის, რა არის მნიშვნელოვანი და დიდ დარტყმასა და გულისტკივილს რა მიაყენებს? მგრძნობიარე კურო ნებისმიერ კრიტიკის შემცველ გამონათქვამს როგორ განიცდის და რა არის ამის მიზეზი? ემოციური, მგრძნობიარე კირჩხიბი, წყენის თვალსაზრისით, რატომ იკავებს პირველ ადგილს და ბოდიშის მოხდისას რა უნდა გაითვალისწინოთ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ იმის განხილვა, თუ როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს, ზოგადად, ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელს განაწყენების შემთხვევაში. მინდა, შევახსენოთ მკითხველს, რომ ამჯერად ტრადიცია დავარღვიეთ და ბოლო (მეთორმეტე) ადგილზე გასული ნიშნიდან დავიწყეთ ჩამოთვლა.**

— **საპატიო მე-7 ადგილი თამამად შეგვიძლია ლომის ნიშნით დაბადებულს მივაკუთვნოთ, რომელიც გარშემო მყოფთა მხრიდან სიყვარულს, აღფრთოვანებას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ღრმა პატივისცემას მაინც ელის. ლომისთვის ძალზე პრინციპულია, აღიარება და დაფასება იგრძნოს.** იმდენად ესაჭიროება ამის გაგება, რომ ყველასგან ითხოვს საკუთარი შრომის, მოღვაწეობის, ქმედებების შეფასებას. სწორედ ამ მომენტში არ უნდა დავარღვიოთ მასთან ურთიერთობისას ზღვარი და ყოველმხრივ თავი შევიკავოთ კრიტიკისა და შენიშვნისგან. აუცილებლობის შემთხვევაში კი სასურველია, მოვიძიოთ გზა, რომლითაც უფრო შერბილებულად და ტაქტიანად მივანიშნებთ შეცდომებზე. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, გული ძალიან საგრძნობლად ვატკინოთ. **ლომი** მარტივ წყენას ადვილად უმკლავდება და ივიწყებს. სერიოზული განაწყენებისას კი, თუმცა, კეთილშობილებას გამოავლენს, არასდროს იჩხუბებს და არც პრეტენზიებს წამოაყენებს, მაგრამ სამუდამოდ შეწყვეტს კავშირს იმ ადამიანთან, ვინც შეურაცხყოფა მიაყენა, დაამცირა, ჭორი მოუგონა ან რაიმე სხვა გზით ატკინა გული.

**მე-6 ადგილს იკავებს ტყუპის ნიშნით დაბადებული, რომლისთვისაც გულისტკენა ერთგვარი გასართობია. საკმარისია, მას რაიმე კრიტიკის მსგავსი უთხრათ, რომ მაშინვე აქეთ შემოგიტევთ და რეაქცია მიზეზზე ათჯერ უფრო ძლიერი იქნება. ასეთ სიტუაციაში ჯობს, ფინალს არ დაელოდოთ და დროულად გაეცალოთ.** ამასთან, მან დიდხანს დარდი და განცდა არ იცის, ამიტომ მალევე მშვიდდება და ივიწყებს. რეალურად **ტყუპს** ესაჭიროება პირისპირ მდგარი მოწინააღმდეგე. ამის გარეშე კონფლიქტი და დიდხანს ამაზე ფიქრი მისთვის უინტერესო ხდება.

**მე-5 ადგილი კი შეგვიძლია, მივაკუთვნოთ თევზებს, კერძოდ, ამ ნიშნით დაბადებულ ქალბატონებს, რომლებთანაც სხვა ნიშნის მამაკაცებს მეტი დელიკატურობის გამოვლენა მოუწევთ. საქმე კი იმაშია, რომ თევზების წყენა ძალიან ადვილია. ისინი ყოველ წვრილმანზე მყისიერად რეაგირებენ და ამის გადალახვას და წყენის დავიწყებას დიდხანს უნდებიან.** საბედნიეროდ, ამ ნიშნის წარმომადგენელი გულისტკენის გამო არც სკანდალს აწყობს და არც კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს, არამედ ყველაფერს გულის სიღრმეში ინახავს და ძალიან განიცდის. ბოდიშის მოხდის შემთხვევაში, ფორმალურად, ბოდიშს მიიღებს და შესაძლოა, აღარ შეიმჩნიოს, მაგრამ მის გულში ეს განცდა კიდევ დიდხანს დარჩება.

**მე-4 ადგილი ეკუთვნის მერწყულს და ამ შემთხვევაში ყველაფერი მეტად საინტერესო, უჩვეულო და უცნაური შეიძლება იყოს, რადგან მერწყულის განაწყენება მასთან განშორებას ნიშნავს. იგი, როგორც კი აწყენინებ, მაშინვე გივიწყებს და ამით ამ ისტორიას გადაფურცლავს.** ცხადია, ეს წვრილმან კრიტიკას და უკმეხობას არ ეხება, მაგრამ სერიოზული გულისტკენის შემთხვევაში, იგი ჩხუბს ან საქმის გარჩევას არ დაიწყებს და არც სამაგიეროს გადახდაზე იფიქრებს. უბრალოდ, ამ ადამიანს თავისი ცხოვრებიდან მოიკვეთს, რადგან ასეთი გულისტკენა მისთვის ბოროტებას უტოლდება. **ბოროტ ადამიანებთან ურთიერთობა კი მას არ შეუძლია. მერწყულის** სერიოზული გულისტკენა შესაძლოა იმითაც გამოიხატოს, რომ მან აუკრძალოს ახლობლებს ამ ადამიანის ხსენებაც კი. შეხვედრისას თვალს გაუსწორებს, მაგრამ გამარჯობის ღირსადაც არ ჩათვლის, როგორც უცნობს, ისე მოექცევა და ეს თამაში კი არა, **მერწყულის** ბუნებრივი რეაქცია იქნება.

**მე-3 ადგილს კი განაწყენების თვალსაზრისით თხის რქა იკავებს, რომელიც გარეგნული მდგრადობის მიუხედავად, საკმაოდ მყიფე, სათუთი ბუნებისაა. ამ ნიშნის წარმომადგენლისთვის მეტად მნიშვნელოვანია გარშემო მყოფთა შეფასებები. განსაკუთრებით დადებითი, რამეთუ, სხვაგვარს, უბრალოდ, არ აღიარებს, ამიტომ მისი ცოდნის, მუშაობის, გარეგნობის, ჩაცმულობის, გემოვნების თუ სხვა რაიმეს გაკრიტიკება იმდენად დიდ დარტყმას მიაყენებს, რომ, შესაძლოა, ძალიან დაითრგუნოს და ატირდეს კიდეც.** შემდგომ კი შეეცდება, მოიძიოს ისეთი ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობენ და შეაქებენ. შესაბამისად, უმჯობესია, **თხის რქას** არ აწყენინოთ და კრიტიკის ნაცვლად სხვა გზა აირჩიოთ.

**მე-2 ადგილი ამ მიმართებით, შეგვიძლია კუროს მივანიჭოთ. იგი მეტად მგრძნობიარე ნიშანია და რაღაცით თევზებს მოგვაგონებს, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო სიღრმისეულადაც განიცდის ყოველივეს და ფიქრითა და დარდით თავს იტანჯავს. ნებისმიერი კრიტიკის შემცველი გამონათქვამი შესაძლოა, მან საწყენად მიიღოს, საკუთარ თავში ჩაიკეტოს და განმარტოვდეს. ამის მიზეზი კი მისი უშრეტი ფანტაზიაა, რომელიც ზოგჯერ უარყოფით სახეს იღებს და თავდაჯერებულობას უმცირებს.** ამ დროს მისი მისამართით ნათქვამი ნებისმიერი შენიშვნა, უკმეხი ხუმრობა ან კრიტიკა განსაკუთრებულად მტკივნეული ხდება. შემდგომ კი, რაც არ უნდა ებოდიშოთ, აზრი არ ექნება. ამ წყენის მკურნალი დროა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **კურო** შინაგან პრობლემებს ადვილად უმკლავდება და გულისტკენასაც ადვილად ივიწყებს.

ამ ჩამონათვალში, **პირველი საპატიო ადგილი უკავია კირჩხიბს. ამ ზოდიაქოს ნიშნის ტიპური წარმომადგენლის განაწყენება, მისთვის გულისტკენა ძალიან ადვილია, რადგან ყველაზე მგრძნობიარე და ბუტია ნიშანია.** ცალკე საკითხავია, უკვე განაწყენებული **კირჩხიბისთვის** ბოდიშის მოხდაც, რამეთუ, თავის მართლებას და რაიმეს მომიზეზებას თუ შეეცდებით, შესაძლოა, უფრო გააბრაზოთ. შესაბამისად, უმჯობესია, მკაფიოდ, უბრალოდ, მოუბოდიშოთ. უთხარით, რომ შეგეშალათ და სხვა არაფერი დაუმატოთ, რათა შემთხვევით არაფერი ზედმეტი არ წამოგცდეთ და საქმე არ გაართულოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ **კირჩხიბი** გაბუტვისას განმარტოებას ამჯობინებს და საკმაოდ დიდხანს ინელებს გულისტკენას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 12 – 18 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**საქმიანობისას მოერიდეთ იმპულსურობას და გაუაზრებელ გადაწყვეტილებას, პროვოკაციებს არ აჰყვეთ და არსებული მდგომარეობა შეინარჩუნეთ. სამომავლო გეგმა ახლობლებისა და პარტნიორთა მოწონებას დაიმსახურებს. ახალი ინფორმაციის ათვისება და კავშირების დამყარება ჯერჯერობით გაგიჭირდებათ. ეჭვიანობის გამო შესაძლოა, შეყვარებულთან სერიოზული პრობლემები გაჩნდეს. სასურველია, მძიმე ფიზიკური შრომით ან ვარჯიშით ორგანიზმი არ გადატვირთოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**კარიერულ აღმასვლას, შესაძლოა, ფარულმა მტრებმა ხელი შეუშალონ. ახალი იდეების მიუხედავად, საქმის დაწყება ბევრ სირთულეს დაუკავშირდება. შესაძლოა, მემკვიდრეობის მისაღებად დავა მოგიწიოთ. გარდა ამისა, ზედმეტი მოთხოვნების გამო, პრობლემები შეიქმნას მეუღლესთან ან შეყვარებულთან, კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობას მეტ ყურადღებას მიაქცევთ. უცხოელებთან ურთიერთობა კი მინიმუმამდე შეამცირეთ და მოგზაურობებიც დროებით გადადეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ნურავისთან იკამათებთ და კონფლიქტებსაც მოერიდეთ. თანამშრომლობისას და სხვისი იდეის შეფასებისას არაობიექტური ნუ იქნებით. ეგოიზმი მოთოკეთ და სხვათა მოსაზრებანი გაითვალისწინეთ. საკუთარი შესაძლებლობები სწორად გათვალეთ და დამოუკიდებლად მუშაობას მეტი დრო დაუთმეთ. ამგვარად მეტ ყურადღებას მიიქცევთ და წარმატებასაც ადვილად მოიპოვებთ. სასიყვარულო ურთიერთობა უფრო სასიამოვნო გახდება, თუ ემოციას ბოლომდე მიეცემით და გრძნობას უსასყიდლოდ გასცემთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**რთული პერიოდია. მთლიანად პირადი პრობლემები შეგიპყრობთ. შესაძლოა, ექსტრემალურ სიტუაციებშიც მიიღოთ მონაწილეობა. მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა საკუთარ ჯანმრთელობას არ ავნოთ. ინტუიციას მოუსმინეთ. შესაძლოა, ფინანსური პრობლემების მოგვარება მოგიწიოთ. ამ კვირაში მატერიალური მხარე უფრო დაგაინტერესებთ, ვიდრე სულიერი. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. სასიყვარულო ურთიერთობისას ეჭვიანობას მოერიდეთ. მოგზაურობა გადადეთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ეცადეთ, სურვილები დააკონკრეტოთ. ოჯახის წევრები, მეუღლე ან შეყვარებული ყოველმხრივ გაგიწევენ დახმარებას. ინტრიგებსა და ხრიკებს მოერიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დიდხანს მოგიწიოთ შეცდომების გამოსწორება და გარკვეული ხარჯის გაღება. მოგზაურობა გადადეთ და გადაადგილებების რიცხვიც შეამცირეთ. მოწამვლის ალბათობაც არსებობს, ამიტომ საკვები თუ სასმელი წინასწარ შეამოწმეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**იმპულსურ ქმედებებსა და ემოციურობას მოერიდეთ, რათა ეს უსიამოვნებების, კონფლიქტების და, რიგ შემთხვევაში, ტრავმის მიზეზი არ გახდეს. მეგობრული ურთიერთობა, შესაძლოა, სასიყვარულოში გადაიზარდოს, თუმცა, სტაბილური და ხანგრძლივი არ იქნება. ამ პერიოდში ორიგინალურობა წარმატებას არ მოიტანს. ენერგეტიკა დაქვეითებას იწყებს, ამიტომ ხშირად დაისვენეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება არ არის სასურველი, რადგან არსებული ინფორმაცია საკმარისი არ არის.**

**სასწორი** (24.09-22.10)
**ძველი დაუსრულებელი საქმეები სასწრაფოდ დასრულებას ითხოვს. დაღლისა და პასიური განწყობის მიუხედავად, ძალაუფლებას ბოროტად ნუ გამოიყენებთ და სამუშაო დროს გართობასა და პირად ინტერესებზე ნუ დახარჯავთ. ოჯახის წევრებისა და ნათესავების რჩევები გაითვალისწინეთ. კარგი იქნება, თუ ამ დროს საყვარელი ადამიანი მორალურ დახმარებას გაგიწევთ. მოგზაურობას მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობის მდგრადობა შეინარჩუნოთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**შესაძლოა, სრულიად ახალ მიმდინარეობებს ჩაეყაროს საფუძველი, ხოლო ხშირი კონტაქტებისას ბევრ თანამოაზრეს შემოიერთებთ. კარგია სამსახურის შეცვლაც. შესაძლოა, ოკულტურ მეცნიერებებში გარკვევაც მოინდომოთ. შეყვარებულს ემოციებს ნუ დაუმალავთ და პრეტენზიები დროულად გამოთქვით, რათა უსიამოვნებანი აიცილოთ. გადაადგილებების რიცხვი მოიმატებს, ამიტომ ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ, რათა არ გადაიღალოთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**შინაგანი დაძაბულობა არ მოგცემთ ღიად მოქმედების საშუალებას. საქმეებში დაპირისპირებების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია, ფარულად იმოქმედოთ, მიმდინარე მოვლენებს დააკვირდეთ, დეტალები გამოიკვლიოთ და დასკვნები გააკეთოთ. შესაძლოა, დაქორწინებული ადამიანის მიმართ გრძნობა გაგიჩნდეთ ან პარტნიორთან ფარული ურთირთობა მოინდომოთ. მოგზაურობა კი გადადეთ და ხალხის თავშეყრის ადგილებსაც მოერიდეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**უცნობებთან ურთიერთობას მოერიდეთ, რათა თქვენი კონტაქტები, არაორდინალურობა, ცხოვრების სტილი და შემოსავალი განხილვის საგნად არ იქცეს. სახლში დასვენებისას, შესაძლოა, არაერთი პერსპექტიული იდეა დაგებადოთ, რომელთა განსახორციელებლადაც გარკვეული დრო დაგჭირდებათ. იმიჯის, ინტერიერის ან დღის განრიგის შეცვლა თქვენს განწყობაზე დადებითად აისახება. ეცადეთ, დაისვენოთ და პირად თუ სასიყვარულო ურთიერთობების გაღრმავებას მეტი დრო დაუთმოთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**წინდახედულად იმოქმედეთ და კანონს ნუ დაარღვევთ. მატერიალური პრობლემები მეტ ყურადღებას ითხოვს. ახალი ინფორმაცია შეამოწმეთ და ნურც ახალგაცნობილებს მიენდობით. ეცადეთ, დაღლისა და აგრესიის შემოტევისგან ჯანსაღი ემოციების საშუალებით გათავისუფლდეთ. პირადი პრობლემების გადაწყვეტაში ან შეყვარებულთან დაკავშირებული დარდის გაქარწყლებაში მეგობრები და ნათესავები დაგეხმარებიან. ეს კვირა ხელს არ შეგიწყობთ მოგზაურობასა და გადაადგილებებში.**

**თევზები** (19.02-20.03)
**გარკვეულმა ცვლილებებმა შესაძლოა, თქვენი ყოფა გაართულოს. უძრავ ქონებასთან ან ბინასთან დაკავშირებული საქმეები ბევრ დროს მოგთხოვთ. ნუ გარისკავთ და განცხადებების კეთებას მოერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ალკოჰოლსა და მძიმე საკვებზე უარი თქვით. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. საბუთებსა და ფულს გაუფრთხილდით და უცნობ ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობას ნუ დაიწყებთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 12, 15, 17 და 18 ივნისი

**4 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 07.44 საათზე.**
**18 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი 08.39 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 12 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.36 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 02.05 საათზე, ჩადის 14.37 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 02.40 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს იდეალების მიმართ თქვენი რწმენა შემოწმდება. ზედმეტად ხისტი და ცინიკური ნუ იქნებით. ემოციები დაიოკეთ, ნუ იკამათებთ. ეფექტური იქნება თირკმლების, შარდსასქესო სისტემის, კანის მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის, ცეცხლსასროლი იარაღისა და მჭრელი საგნების, ტანსაცმლის შესაძენად. ნუ გადაღლით თვალებს. არ არის სასურველი პლასტიკური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა:** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 13 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.46) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 02.27 საათზე, ჩადის 15.47 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 02.47 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.27 საათიდან 22.47 საათამდე. **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა კონტაქტებისთვის, ახალი ნაცნობობისა და შთაბეჭდილებისთვის. ამავდროულად, დღეს, ხვალ და ზეგ მაღალი იქნება კონფლიქტების ალბათობა, ნუ აჰყვებით პროვოკაციას. შემოწმდება მეგობრობის სიმტკიცე. ეფექტური იქნება ენდოკრინული სისტემის, ყელის, შარდსასქესო სისტემის, თირკმლების, კანის მკურნალობა. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, წესების დარღვევა, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, კაპიტალდაბანდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 14 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.37 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 02.50 საათზე, ჩადის 16.57 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.56 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები**: დღეს ზედმეტი პატივმოყვარეობა, ეგოიზმი დაიოკეთ. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. შესაძლოა, ძველი საქმიდან მოულოდნელად სარგებელი მიიღოთ. საღამოს ენერგია იკლებს, ამიტომ დაისვენეთ. იკრძალება ყვირილი, გაკიცხვა, განკითხვა, ბრაზის გამოვლენა. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. ტრავმული დღეა. მოერიდეთ კისრის მკვეთრ მოძრაობას, ორპირ ქარს. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედებანი. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარჯანი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 15 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.37 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 03.16 საათზე, ჩადის 18.08 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.06 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებით იყავით! დღეს ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს. რთული, ტრავმულ-ავარიული დღეა. მოერიდეთ ორპირ ქარს, კისრის მკვეთრ მოძრაობას, ცივი და გაზიანი სასმლის მიღებას. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, სახლის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამშენებლო მასალების შესაძენად, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ვაჭრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარჯანი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 16 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.53) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 03.46 საათზე, ჩადის 19.16 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 03.20 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.36 საათიდან 05.53 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ყურადღება გმართებთ! პრობლემა შესაძლოა, ყველაზე არასასურველ მომენტში წარმოიქმნას. ფინანსებსა და ძვირფას ნივთებს გაუფრთხილდით. ეცადეთ, დღეს და ხვალ არ იკონფლიქტოთ. მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნას. მაღალია ჭორების, ინტრიგის, მოტყუების, ქურდობის, დაცინვის ალბათობა. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, ალკოჰოლის მიღება, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა რეკლამა-აუქციონებისთვის, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სავაჭრო გარიგებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, ინფორმაციის გაცვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, სერდოლიკი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 17 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.38 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 04.22 საათზე, ჩადის 20.22 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 03.42 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პლანეტა **სატურნი** რეტროგრადული ხდება, რაც დაგვაბრუნებს ძველ საქმეებთან, არასწორ დადგენილებებთან ან კანონებთან. ითხოვს მათ გადახედვას, ანალიზსა და გამოსწორებას. დღეს მოერიდეთ პროვოკაციებს. კარგია იუმორის გამოვლენა. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება. კარგი დღეა ინფორმაციის გაცვლისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, რეკლამისა და აუქციონისთვის, მშენებლობისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 18 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.54) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.05 საათზე, ჩადის 21.21 საათზე (**ახალმთვარეობაა,** პიკი — 08.39 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.24 საათიდან 15.58 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** რთული დღეა. **ახალმთვარეობა** განაპირობებს აგრესია-დეპრესიას, კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს. მაღალია დაცინვის, მოტყუების, ინტრიგების ალბათობა. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა, საიდუმლოს გამხელა, ზედმეტი ლაპარაკი, ფულის სესხება-გასესხება, ყიდვა-გაყიდვა. **სასიკეთოა ლოცვა, სხვების დალოცვა.** დღე მშვიდად გაატარეთ. კარგი დღეა საღამოს საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მკერდი, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ქარვა, ზურმუხტი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.






## საეკლესიო კალენდარი

✝ **12 ივნისი. ორშაბათი.** ღირსისა **ისააკ აღმსარებელისა,** დალმატის მონასტრის იღუმენისა; ღირსთა მამათა ტატიანესი და ნესტერეონისა.

✝ **13 ივნისი. სამშაბათი.** მოციქულისა **ერმისა,** სამოცდაათაგანისა; მოწამისა **ჰერმესისა;** მოწამისა ფილოსოფოსისა.

✝ **14 ივნისი. ოთხშაბათი.** ღირსთა მოწამეთა: მღვდელმონაზონისა **შიო ახლისა, დავით მწირისა, გაბრიელისა, პავლესი და გაბრიელისა, გარეჯელთა,** ლეკთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: იუსტინე ფილოსოფოსისა და სხვა იუსტინესი და მათთანა: ხარიტონისა, ხარიტასი, ეველპისტესი, იერაქსისა, პეონისა და ვალერიანესი.

✝ **15 ივნისი. ხუთშაბათი. ნიკიფორე აღმსარებელისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **16 ივნისი. პარასკევი.** მოწამეთა: **ლუკილიანესი, კლავდისა, იპატისა, პავლესი, დიონისესი და ქალწულმოწამისა პავლესი;** მღვდელმოწამეთა: ლუკიანე ეპისკოპოსისა, მაქსიანე ხუცისა, ივლიანე დიაკონისა, მარკელინესი და სატურნინესი.

✝ **17 ივნისი. შაბათი. მიტროფანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამეთა: ფრონტისისა, სევერინესი, სევერიანესი და სილანესი; მოწამისა კონკორდისა; მღვდელმოწამისა ასტისა, დურაჰის ეპისკოპოსისა; ღირსისა ზოსიმესი, ეგვიპტის ბაბილონელი ეპისკოპოსისა; წმიდათა მენელსაცხებლეთა დედათა: **მართასი და მარიამისი, მართალ ლაზარეს დათა.**

✝ **18 ივნისი. კვირა.** ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, ათონის წმიდა მთაზე და რუსეთს განბრწყინვებულთა; მღვდელმოწამისა დოროთესი, ტვირელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: **მარკიანესი, ნიკანდროსი, იპერიქესი, აპოლონისა, ლეონიდესი, არიოსისა, გორგისი, სელინისა, ერინისა და პამბოსი.**



**18 ივნისი – ხსენება მღვდელმოწამისა დოროთესი**




**შევიძენ**

ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!

591 71 99 00



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

GIDMEDI

**გიდმედი**

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

*574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90*

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. მედიანა; 9. მოკო; 11. სომელიე; 12. ლაქია; 14. როკფორი; 15. ზორბა; 16. იკებანა; 17. კვატა; 18. ნირვანა; 19. რამპა; 20. ორიგამი; 24. პეონი; 25. კიროსი; 28. ნაომი; 29. აფერისტი; 30. შიკი; 32. ლავანდა; 33. სიმი; 35. ტეტანუსი; 36. მორფი; 37. ტანკეტი; 38. როტა; 39. ფილიპიკა; 43. ლიანა; 44. რინიტი; 47. ჯავა; 48. სარანდონი; 49. ბანი; 51. ფეოდალი; 54. აბორიგენი; 59. ლავსანი; 60. სეტერი; 61. პრიმიტივი; 62. კურანტი; 63. ჩივილი.

შვეულად: 1. ესკიმო; 2. ამპერი; 3. ალპაკა; 4. მერანი; 5. დეკარტი; 6. ავოკადო; 7. ალიკაპი; 8. ოქტაგონი; 9. მაზარინი; 10. კარამბოლი; 13. საბატინი; 21. რეფრენი; 22. გურმანი; 23. მუსკუსი; 25. კილიტა; 26. რევანში; 27. სანთელი; 30. შამილი; 31. კარდალა; 33. სირაჯი; 34. მოტივი; 39. ფოსტა; 40. ლარგო; 41. პონტი; 42. კლოზე; 44. რიფი; 45. ნეოგენი; 46. ტრაპეზი; 49. ბილიკი; 50. ნავარა; 52. ვარნა; 53. სილიო; 55. ბარი; 56. რემა; 57. გეტა; 58. ნევა.

**გალიანომერიავაზარისკიბობინაპალმირაუტიფარი**
**მანიკიურიუმიაკინიკაპიტალონილოსიონიანისილა**

| ინგლისელი დიზაინერი | მუნიციპალიტეტი | ქუჩა ქიუდოში | მარხილით მთიდან დაშვების სახეობა | ლაბისებრი საღეჭი პროდუქტი | დარბაზობა | ძველი საომარი იარაღი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბადით შემოსაზღვრული სადგომი ცხოველებისთვის | ოთახი სასტუმროში | გარეული ცხოველი | ალალბედზე მოქმედება | მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზეც ფირი ეხვევა | პეტერბურგის პოეტური სახელი (წიგნ.) | თამამი, მოურიდებელი, თავხედი |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 4. სამკუთხედის წვეროდან მოპირდაპირე გვერდის შუა წერტილამდე გავლებული ხაზი; 9. ყავის ნაირსახეობა; 11. ღვინის დეგუსტატორი; 12. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 14. ფრანგული ყველი; 15. დიდი, მსხვილი; 16. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 17. იხვი (კუთხ.); 18. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 19. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 20. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 24. ტყის ყაყაჩო, იორდასალამი; 25. სპარსეთის მეფე; 28. მოდელი ... კემპბელი; 29. ყალთაბანდი; 30. გარეგნული ბრწყინვალება; 32. ეთერზეთოვანი მცენარე; 33. საკრავზე გაბმული მავთული; 35. მწვავე ინფექციური დაავადება, გაშეშება; 36. ნარკოტიკული ნივთიერება; 37. პატარა სწრაფმავალი ტანკი; 38. იტალიელი კომპოზიტორი; 39. მკაცრი მამხილებელი გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ; 43. მსახიობი ... ასათიანი; 44. სურდო; 47. რაიონი შიდა ქართლში; 48. ამერიკელი მსახიობი ქალი; 49. კაცის სასიმღერო ხმა; 51. მიწისა და ყმის მფლობელი მსხვილი მემამულე (ძვ.); 54. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლე; 59. ხელოვნური ბოჭკო; 60. მონადირე ძაღლის ჯიში; 61. შესრულების ტექნიკა მარტივი, უბრალო; 62. კოშკის ძველებური საათი, რომელიც უკრავს; 63. საჩივრის შეტანა სასამართლოში.

შვეულად: 1. ნაყინის სახეობა; 2. ელდენის ძალის საზომი ერთეული; 3. ღამის ჯიშის ცხოველი; 4. ტატოს ლექსი; 5. ფრანგი ფილოსოფოსი; 6. ტროპიკული ხილი; 7. ხის აღვირი; 8. რვაკუთხედი; 9. ფრანგი კარდინალი; 10. ბილიარდის წითელი ბურთი; 13. არგენტინელი ჩოგბურთელი გაბრიელა ...; 21. ტაეპები, რომელიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება; 22. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული; 23. ნივთიერება, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიაში, მუშკი; 25. ფოლგა; 26. სამაგიეროს გადახდა დამარცხებისათვის; 27. ცვილი; 30. კავკასიის მთის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაური; 31. მომცრო ქვაბი; 33. ღვინით მოვაჭრე; 34. მუსიკალური ნაწარმოების ჰანგი, კილო; 39. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 40. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 41. იტალიელი რეჟისორი; 42. გერმანელი ექსფეხბურთელი; 44. წყალქვეშა კლდე; 45. დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის მეორე ნახევარი; 46. სადილი, ნადიმი; 49. საცალფეხო გზა; 50. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 52. ქალაქი ბულგარეთში; 53. ერთგვარი საჭმელი სოკო; 55. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 56. ცხენების ჯოგი; 57. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 58. მდინარე რუსეთში (ლენინგრადში).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ხელის ფრჩხილების მოვლა | ესკიმოსების ნავი | რუსული „ოსკარი“ | სალი, მაგარი კლდე | მდინარე აფრიკაში | მსახიობი ონისე ... | ალიყური |
|---|---|---|---|---|---|---|

| გერმანელი მწერალი | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი | სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიაში | კაუჭი | ფასიანი ქაღალდის ძირითადი ნაწილი | ერთგვარი პარფიუმერული ხსნარი | ქალაქი თურქეთში | მე-6 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 12 – 18 ივნისი №27 (1491)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


